პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 12—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 8ა, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან — 80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— გერმანიის ელჩად საბჭ. კავშირში ასახელებენ ფონ-დირკსენს.
— პროფმოძრაობის მემარცხენე ფრთის დიდი გამარჯვება.
— ტრამვაელთა გამგეობის არჩევნებში ვარშავაში მემარცხენეებმა გაიმარჯვეს.
— სიმშილობა ბესარაბიაში. — მთავრობა არავითარ დახმარებას არ უწევს დამშეულებს.
— მაკედონელთა ორგანიზაციებმა გააძლიერეს ტერორი ბულგარეთში.
— გრიგალი საფრანგეთის სანაპიროებთან. — დაიღუპა მრავალი გემი.
— მოსკოვში ჩავიდა თურქეთის ახალი ელჩი.

სამშაბათი, 27 ნოემბერი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 274 (2317)

საბჭოთა არჩევნებისათვის

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მიმართვა

საოლქო და სამაზრო კომიტეტებს და თბილისის კომიტეტს

საბჭოების გადარჩევის მომავალ კამპანიას ეძლევა განსაკუთრებით დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა საბჭოთა რესპუბლიკების მთელ საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ჩვენი სოციალისტური მშენებლობის სიძნელენი უთუოდ ჰპოვებენ გამოხატულებას ამ კამპანიაში და ის უფრო გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში ჩატარდება, ვიდრე წარსული კამპანიები, ვინაიდან კოლოსალურად გაიზარდა მოსახლეობის ყველა ჯგუფების პოლიტიკური აქტივობა.

მასების აქტივობის ზრდის, საბჭოების მუშაობის თვალსაჩინო გაცხოველების და სოციალისტურ მშენებლობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის პირობებში საბჭოების გადარჩევის კამპანია წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას იმისათვის, რომ შემოწმებულ იქნას საბჭოებში წარმოებული მთელი პრაქტიკული მუშაობა და პარტიის მიერ მასებისათვის ხელმძღვანელობის გაწევის საქმე.

უკეთებთ რა ჯამს ჩატარებულ მუშაობას, ჩვენ საერთოდ თვალსაჩინო დადებითი ბალანსი გვაქვს საბჭოების გადარჩევის წინ სოციალიზმის მშენებლობის ყველა დარგში.

საერთაშორისო დამოკიდებულების დარგში აშკარა წარმატებას მიაღწია მშვიდობიანობის პოლიტიკამ, ომის წინაალმდეგ ბრძოლის პოლიტიკამ, რომელსაც მშრომელი მასების და სოციალისტური მშენებლობის სასარგებლოდ მტკიცედ და თანამიმდევრობით ატარებდა საბჭოთა ხელისუფლება კომუნისტური პარტიის მოხერხებული ხელმძღვანელობით, მიუხედავად ბურჟუაზიული სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკის გაძლიერებისა საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ. პარტიამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია განიარაღების საკითხში იმპერიალისტების ნამდვილი ზრახვებისა და თანამედროვე საერთაშორისო სოციალ - დემოკრატიის მოღალატური როლის გამოაშკარავებით და მთელ მსოფლიოს მშრომელთა ფართო მასების ყურადღების დარაზმვით ომის საფრთხის საკითხის ირგვლივ.

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მნიშვნელობის გაძლიერების საქმეში უდიდესი როლი ითამაშა კომუნისტური ინტერნაციონალის მე-6 კონგრესმა, რომელმაც მთელი სიგრძე-სიგანით დასვა საკითხი ომის საფრთხის შესახებ, რომელიც საბჭოთა კავშირს ემუქრება, და მისცა საერთაშორისო პროლეტარიატს და აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებს იარაღი პრაქტიკული ბრძოლისათვის საბჭოთა კავშირის დასაცავად და საერთაშორისო — სოციალისტური რევოლიუციის მოსამზადებლად.

განვლილ წელს ჩვენ თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს სამეურნეო მშენებლობის დარგშიაც; მეურნეობაში ჩვენ ვხედავთ სოციალისტური სექტორის შემდგომ ზრდასა და განმტკიცებას და კაპიტალისტური ელემენტების თანდათან განდევნას ჩვენი ქვეყნის მთელი ეკონომიური ცხოვრებიდან. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია გაძლიერებული ტემპით სწარმოებს. სახალხო მეურნეობის ზრდის საფუძველზე განუწყვეტლივ უმჯობესდება მშრომელთა ფართო მასების მატერიალური მდგომარეობაც, მთელ საბჭოთა კავშირში გადასახადებისაგან განთავისუფლებულია უღარიბესი და მცირე შეძლების საშუალო გლეხობის მეურნეობათა 35 პროცენტი, ხოლო საქართველოში — 50 პროცენტი. აგრეთვე ადგილი აქვს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას კოლექტივიზაციისა და მაშინიზაციის საფუძველზე. თვალსაჩინოდ გაიზარდნენ სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის ბიუჯეტით გაღებული ასიგნობანი. იზრდება სასოფლო - სამეურნეო კრედიტი და ღარიბი გლეხობისათვის დახმარების გაწევა; ფართოდ არის დაყენებული გლეხობისათვის სათესლე მასალით დახმარების აღმოჩენა და სხვ.

მე-15 პარტყრილობის გენერალური ხაზის წარმატებით განხორციელება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, მშრომელთა ფართო მასების კულტურული დონის აწევის, ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე გადამჭრელი შეტევის და მათთან დაკავშირებული დროებითი დაბრკოლებების გადალახვის დარგში მოითხოვს პარტიისა და მთელი მუშათა კლასის ძალ-ღონის მაქსიმალურად შემოკრებას.

ჩვენი დაბრკოლებების საფუძველს შეადგენენ დაქუცმაცებული და დაქსაქსული წვრილი გლეხური მეურნეობანი, რომელნიც გავლენას ახდენენ მთელი სამეურნეო სისტემის გეგმიან მოწესრიგებაზე. ჩვენი დაბრკოლებების საფუძველს შეადგენს აგრეთვე მოსახლეობის მოთხოვნილებათა ზრდა, რომელთა დაკმაყოფილებას ვერ ასწრებს ჩვენი მრეწველობა მისი სწრაფი განვითარების მიუხედავად.

სიძნელეებს აღრმავებს ის გარემოებაც, რომ სოციალისტურ შეტევას, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინაალმდეგ, უკანასკნელნი უპასუხებენ გააფთრებული კონტრ-შემოტევით.

საქართველოს პირობებში კაპიტალისტური ელემენტების კონტრ-შემოტევა გამოხატულებას პოულობს აგრეთვე ნაციონალისტურ - შოვინისტური ტენდენციების გამოცოცხლებაში.

ყოველივე ეს ერთგვარ მერყეობასა და ქანაობას წარმოშობს მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის უფრო ჩამორჩენილ ფენებში. ეს მერყეობა გამოიხატება ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელების, კულაკთან გადამჭრელ ბრძოლაზე ხელის აღების, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის შეწყვეტის მოთხოვნაში და სხვ.

საბჭოების გადარჩევის კამპანიის პროცესში საჭიროა განუმარტოთ მშრომელთა ფართო მასებს ამ სიძნელეთა და აგრეთვე მათ გადასალახავად პარტიის მიერ მიღებულ ღონისძიებათა დროებითი ხასიათი.

საჭიროა გამოეცხადოს გადამჭრელი ბრძოლა ამ სიძნელეთა გაზვიადებას, დაბნეულობის, დაფრთხობის განწყობილებებს, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გამოხატულებას და ყოველგვარ გადახვევას ჩვენი სოციალისტური მშენებლობის გენერალური ხაზიდან.

სოციალისტური მშენებლობის აქტიური გაშლა სოფლად და ამ საფუძველზე კულაკის წინაალმდეგ შეტევის თანამიმდევრობით გატარება აუცილებლად აძლიერებს სოფლის პოლიტიკურ ძალთა გამიჯვნას და ამწვავებს კლასობრივ ბრძოლას. სოფლის ეხლანდელი მდგომარეობა ხასიათდება სწორედ იმ გამწვავებული ბრძოლით, რომელსაც აწარმოებენ კულაკები ღარიბი გლეხებისა და მოჯამაგირეების წინაალმდეგ. კულაკები და მათი მოკავშირენი გააფთრებულ აგიტაციას ეწევიან ჩვენი საგადასახადო პოლიტიკის წინაალმდეგ (რომლის მთავარი სიმძიმე კულაკურ ფენას აწვება), კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის წინაალმდეგ, ღარიბი გლეხობისათვის დახმარების გაწევის წინაალმდეგ და სხვ.

სოფლად წარმოებული კლასობრივი ბრძოლის ახალ მომენტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ეხლა კულაკები გამოდიან უფრო მჭიდროდ შეკავშირებულნი და ორგანიზაციულად უფრო დარაზმულნი.

ცეკას პლენუმმა ჯამი გაუკეთა საბჭოების წარსულ გადარჩევას და აღნიშნა, რომ... „პარტიის ზოგიერთი უჯრედების მხრივ ბევრ სოფელში ადგილი არ ჰქონდა საკმაო ხელმძღვანელობას, ხოლო ადგილ-ადგილ სრულებითაც არ იყო ასეთი ხელმძღვანელობა და როგორც ყოველივე ამის შედეგს, ჩვენ ვხედავთ, რომ ზოგიერთ ადგილას საშუალო გლეხთა ჯგუფები იჩენენ მერყეობას და ექცევიან კულაკების გავლენის ქვეშ, ნაწილობრივ ადგილი აქვს ღარიბი გლეხობის სუსტ დარაზმვას და მის პასივობას“...

თუ მხედველობაში მივიღებთ წარსული გადარჩევის გამოცდილებას და აგრეთვე კულაკების დიდ კლასობრივ შეკავშირებას, — პარტიის ძირითად ამოცანას მომავალ გადარჩევის კამპანიაში წარმოადგენს ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირეების დარაზმვა, მათი აქტივობის გაძლიერება, მათთან საშუალო გლეხობის დაკავშირება და ამ ბლოკის კულაკებისათვის დაპირისპირება. ამ მიზნით მთელი მოსამზადებელი კამპანია და თვით გადარჩევის კამპანია უნდა ჩატარდეს პროლეტარიატის, ღარიბი გლეხობისა და მოჯამაგირეების საშუალო გლეხობასთან დაკავშირების გაძლიერების, და კულაკების განმარტოების თვალსაზრისით.

გადარჩევის კამპანია სოფლად უნდა ჩატარდეს ლენინის შემდეგი თეზისის ნიშან ქვეშ: „უნდა შეგვეძლოს შეთანხმების მიღწევა საშუალო გლეხობასთან, ერთი წუთითაც არ შევწყვიტოთ ბრძოლა კულაკთან და მტკიცედ დავეყრდნოთ მხოლოდ ღარიბ გლეხობას“.

პარტორგანიზაციებმა მხედველობაში უნდა მიიღონ საბჭოების წარსული გადარჩევის გამოცდილება და ულმობელი ბრძოლა გამოუცხადონ მენშევიკური და სხვა ანტისაბჭოთა პარტიების ნამსხვრევებს, რომლებიც კულაკებთან ერთად უთუოდ შეეცდებიან გამოიყენონ ჩვენი დაბრკოლებები იმისათვის, რომ მიიმხრონ საშუალო გლეხობის ნაწილი საბჭოებში გაძრომის მიზნით.

მომავალ საარჩევნო კამპანიაში ძირითადი ლოზუნგია საბჭოების მუშაობის შემდგომი გაცხოველება.

საბჭოების მუშაობის გაცხოველების გარეშე, სოციალისტურ მშენებლობაში მასების აქტიური და ფართო მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია იმ გრანდიოზული ამოცანების განხორციელება, რომლებიც დგანან ჩვენი ქვეყნის წინაშე.

გადარჩევის კამპანია უნდა ჩატარდეს საბჭოების პრაქტიკული მუშაობის შემოწმების ნიშან ქვეშ, ამ მხრივ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საანგარიშო კამპანიის მოწყობას.

ეხლა, როდესაც თვითკრიტიკის ლოზუნგი წარმოადგენს პარტიის გენერალურ ხაზს, მით უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა ამომრჩევლისათვის ანგარიშის ჩაბარებას. წინდაწინვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კულაკი შეეცდება თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის გამოიყენოს თვითკრიტიკა. თვითკრიტიკა კულაკების ხელში შეიძლება გადაიქცეს მოხერხებულ იარაღათ ჩვენს წინაალმდეგ, ვინაიდან კულაკს ეხერხება კეთილი სურვილების ნიღაბის აფარება — ის ისე მოგვაჩვენებს თავს, თითქოს სურს „დაეხმაროს“ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას და მათი „გაკრიტიკებით“ შეეცდება თავისი პოზიციების განმტკიცებას.

ამ გარემოებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს თვითკრიტიკის შეწყვეტა ღარიბი და საშუალო გლეხობის მხრივ, პირიქით სწორედ თვითკრიტიკის საშუალებით უნდა დავრაზმოთ ღარიბი გლეხობა და მოჯამაგირენი, ხოლო მათ ირგვლივ საშუალო გლეხებიც. საანგარიშო კამპანია უნდა გადაიქცეს ფართოდ განვითარებული პროლეტარული თვითკრიტიკის ასპარეზად. აქ ამოცანა მხოლოდ იმაშია, რომ თვითკრიტიკის იარაღი ჩვენს ხელში შევინარჩუნოთ, დავუქვემდებაროთ იგი ჩვენს ამოცანებს, წავართვათ კულაკს იმის საშუალება, რომ კრიტიკა ჩვენს წინაალმდეგ გამოიყენოს. პარტიისა და კომკავშირის ორგანიზაციები, მუშები, მუშა და გლეხ ქალთა დელეგატები და ღარიბ გლეხთა ჯგუფები მაგალითის მაჩვენებელნი უნდა იყვნენ თვითკრიტიკის მოწყობისა და ფართოდ გაშლის საქმეში და საბჭოთა აპარატის ყველა ნაკლის გამოააშკარავებასა და ფართოდ განხილვაში.

საარჩევნო კამპანიის მსვლელობის პროცესში მეტად მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს ახალი საბჭოებისათვის კანდიდატების წამოყენების სისტემის თავის დროზე მომზადება და გაუმჯობესება. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ამომრჩეველთა ფართო მასების განხილვის საგნად გავხადოთ არა შემთხვევითი კანდიდატურები, არამედ საბჭოთა ჭეშმარიტი აქტივის უკვე წინასწარ შერჩეული და შემოწმებული კადრები, რომლებიც შესძლებენ აწარმოონ საბჭოებში ნაყოფიერი ხელმძღვანელი მუშაობა.

საჭიროა ავიღოთ მტკიცე კურსი მოჯამაგირეებისა და მოჯამაგირე ქალების, ღარიბი გლეხებისა და ღარიბი გლეხი ქალების, ხელმოკლე საშუალო გლეხების, აქტიური და საბჭოთა ხელისუფლების ერთგული დემობილიზაციაქმნილი წითელ არმიელების საბჭოებში ჩაბმის გაძლიერებაზე.

გადარჩევის კამპანიის მსვლელობაში საჭიროა ყოველმხრივ გაეწიოს ანგარიში ნაციონალურ უმცირესობათა ინტერესებს, საჭიროა ენერგიულად წამოვაყენოთ საბჭოებში მათი წარმომადგენლობა.

მიმდინარე წელს გადარჩევის კამპანიაში დიდი როლი უნდა ითამაშოს კოოპერაციამ საერთოდ და, კერძოდ სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციამ.

კულაკი უთუოდ გაილაშქრებს ჩვენი კოოპერაციის წინაალმდეგ და დაუპირისპირებს მას ღარიბი და საშუალო გლეხობის კოოპერატიულად შეუკავშირებელ მასებს: ის ყოველნაირად შეეცდება სახელი გაუტეხოს კოლმეურნეობებს, საკრედიტო ამხანაგობებს, შეეცდება დაუმტკიცოს ღარიბ გლეხს, რომ კოოპერაცია არავითარ სამეურნეო დახმარებას არ უწევს ღარიბ გლეხობას. კულაკს შეუძლია ერთგვარ წარმატებებს მიაღწიოს იმ შემთხვევაში, თუ კოოპერაცია თავის სიმაღლეზე არ აღმოჩნდა. ამიტომაც კოოპერაციის, კერძოდ სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის, მთელმა სისტემამ ეხლავე უნდა დაიწყოს მზადება აქტიური მონაწილეობის მისაღებად გადარჩევის კამპანიაში და უნდა გამოიყენოს ეს კამპანია იმის ცხადსაყოფად, თუ რა მიღწევები აქვს კოოპერაციას ღარიბი გლეხობისათვის სამეურნეო დახმარების გაწევის საქმეში. კოოპერაციამ საარჩევნო კამპანია უნდა გამოიყენოს აგრეთვე იმისათვის, რომ შეამოწმოს თავისი მუშაობა და გასწმინდოს თავისი აპარატი უცხო და ანტისაბჭოთა ელემენტებისაგან

გადარჩევის კამპანია ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში უნდა ჩატარდეს მუშათა მასების ასპროცენტიანი მონაწილეობის ნიშან ქვეშ. პარტორგანიზაციებმა მთელი ყურადღება იმას უნდა მიაქციონ, რომ მთელი მუშათა მასის მწყობრმა და შეგნებულმა მონაწილეობამ არჩევნებში და არჩევნების შედეგებმა თვალსაჩინოდ დაამტკიცოს მუშათა კლასის ჰეგემონია ჩვენი ქვეყნის მთელ პოლიტიკურ ცხოვრებაში

ამ მხრივ პროფკავშირებს ეკისრება საპასუხისმგებლო ამოცანა—ჩაატარონ თავიანთ წევრებში დიდი მოსამზადებელი მუშაობა, რათა პროფკავშირის ერთი წევრიც კი არ აღმოჩნდეს ისეთი, რომ მონაწილეობა არ მიიღოს არჩევნებში.

უნდა შევსძლოთ, რომ ქალაქის საბჭოების შემადგენლობაში გავადიდოთ იმ მუშებისა და მუშა ქალების რიცხვი, რომლებიც უშუალოდ არიან ჩაბმულნი წარმოებაში.

საბჭოების გადარჩევის კამპანიაში ჩვენი ლოზუნგები უნდა იყოს:

მასების კიდევ უფრო დარაზმვა სოციალისტური მშენებლობის ამოცანების ირგვლივ;

შემდგომი ენერგიული შეტევა ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინაალმდეგ;

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და მშრომელთა ფართო მასების კოოპერაციაში ჩაბმა;

გადამჭრელი ბრძოლა სოციალისტური მშენებლობის გენერალური ხაზიდან გადახვევის ყოველგვარ ცდებთან.

მუშათა კლასის და სოფლის მშრომელი მასების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი აწევა;

მასების ინტერნაციონალური აღზრდა და ულმობელი ბრძოლა ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველგვარ გამოხატულებასთან;

პროლეტარიატის, ღარიბი გლეხობის და მოჯამაგირეთა პოზიციების გაძლიერება და საშუალო გლეხთან კავშირის განმტკიცება;

ულმობელი ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და სახელმწიფო აპარატის სხვა ნაკლოვანებებთან;

პროლეტარული თვითკრიტიკის განვითარება და საბჭოთა დემოკრატიის საფუძვლების განმტკიცება;

საბჭოების მუშაობის გაცხოველება მათში მუშებისა და მუშა ქალების, გლეხებისა და გლეხი ქალების ფართო მასების ჩაბმით;

საბჭოებში ასარჩევად აქტიური მოჯამაგირეებისა და მოჯამაგირე ქალების და ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენლების ენერგიულად დაწინაურება;

ჩვენი ქვეყნის ძლიერებისა და თავდაცვის უნარის ყოველმხრივ განმტკიცება.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

მოსკოვში ეკონომიური მოლაპარაკების მიზნით ჩავიდა გერმანიის დელეგაცია

შტრეზემანი საჭიროდ თვლის „სახელმწიფოებრივი შეგნების“ განმტკიცებას გერმანელ მენშევიკებში

ჩინეთ-იაპონიის მოლაპარაკების ჩაშლა.-იაპონიას არ სურს ჯარების გაყვანა შანდუნიდან

არეულობა სპარსეთში.-გამოსვლები მთავრობის წინაალმდეგ თავრიზში, ისპაჰანში და შირაზში

გერმანიის დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი 26 ნოემბერი. მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის დელეგაცია საბჭოთა კავშირთან ეკონომიური მოლაპარაკების დასაწყებათ. დელეგაციის თავმჯდომარეა გერმანიის სახალხო მეურნეობის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი პოსე. (ადს)

მელითონეთა ბრძოლა გერმანიაში

რეფორმისტებს სასამართლოს „მიუდგომლობის“ იმედი აქვთ

ბერლინი, 25 ნოემბერი. დუისბურგის ოლქის შრომის სასამართლოში ირჩევა პროფკავშირების აპელაცია. სასამართლოს პირველმა ინსტანციამ საქმე მრეწველების სასარგებლოდ გადასწყვიტა. რეფორმისტ ლიდერებს იმედი აქვთ, რომ სასამართლოს მეორე ინსტანცია „მიუდგომლობას“ გამოიჩენს.

დუისბურგის საგაფიცვო კომიტეტი, რომელიც პროფკავშირთა რევოლიუციონური ფრთის გავლენის ქვეშ იმყოფება. მოუწოდებს ლოკაუტგამოცხადებულ მუშებს, მოაწყონ დემონსტრაცია საქმის გარჩევის დროს. ამასთან ერთად განზრახულია გაიმართოს დემონსტრაციები და კრებები ქალაქის იმ მთავარ რაიონებში, რომლებსაც ლოკაუტი შეეხო. (ადს).

ბრძოლის გაძლიერება რეფორმისტების ღალატის წინაალმდეგ

ბერლინი, 25 ნოემბერი. ახალგაზრდობის წარმომადგენელთა კონფერენციამ, რომელიც მოიწვია ლოკაუტ გამოცხადებულ რაიონში ბრძოლის ხელმძღვანელმა ცენტრალურმა კომიტეტმა, დაადგინა—გააძლიეროს ბრძოლა რეფორმისტების მოღალატეობის წინაალმდეგ. კომკავშირის ორგანიზაციების ავტორიტეტი საგრძნობლად იზრდება, რაც სჩანს იქიდან, რომ დიდძალი ახალგაზრდობა აცხადებს კომკავშირში შესვლის სურვილს (ადს).

მრეწველთა სოლიდარობა

ბერლინი, 25 ნოემბერი. გერმანიის ლითონის მრეწველთა კავშირის გარდა, რეინ-ვესტფალიის მრეწველებს თანაგრძნობა გამოუცხადეს გერმანიის მრეწველთა კავშირის პრეზიდიუმმა და სრულიად გერმანიის მრეწველობის კავშირის პრეზიდიუმმა. ამ ორგანიზაციებმა დაადგინეს, მატერიალური დახმარება აღმოუჩინონ რეინ-ვესტფალიის იმ მრეწველებს, რომლებიც მუშებს ებრძვიან.

სამმაგი შანტაჟი

ბერლინი, 25 ნოემბერი. შრომის საოლქო სასამართლომ დუისბურგში განიხილა პროფკავშირების საპელიაციო საჩივარი პირველი ინსტანციის შრომის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. საოლქო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და დამქირავებლებს მიუსაჯა სასამართლო ხარჯების გადახდა.

მემარცხენე პროფესიონალური უმცირესობის წრეებში აღნიშნავენ, რომ საოლქო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება, რომელიც თავისი ფორმით თითქოს იმას ნიშნავს, რომ დამქირავებელთ უარი უთხრეს მათ მიერ პროფკავშირებისადმი წარდგენილ სარჩელზე არსებითად სამმაგ შანტაჟს წარმოადგენს ლოკაუტ- გამოცხადებულ მელითონეთა მიმართ. ჯერ ერთი, ეს გადაწყვეტილება ადასტურებს მუშების მიერ უარყოფილ საბედისწერო გადაწყვეტილებას, მეორე—შესაძლებლობას აძლევს დამქირავებელთ განაგრძონ ლოკაუტი, რადგანაც მათ შეუძლიათ განასაჩივრონ გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში, მესამე —საბაბს აძლევს რეფორმისტებს წინანდებურად ამტკიცონ, რომ ბრძოლა სწარმოებს მხოლოდ იურიდიული საკითხის გარშემო, რომ ამით მოადუნონ ლოკაუტ-გამოცხადებულთა ენერგია და მათ ხელი აალებინონ ბრძოლაზე.

იმავე დღეს, როდესაც საოლქო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა, სახალხო პარტიის პლენუმზე შტრეზემანმა აშკარად დაუჭირა მხარი კოალიციას სოციალ-დემოკრატიასთან.

შტრეზემანმა, რომელსაც დამსწრენი მქუხარი ტაშით შეხვდნენ, განაცხადა, რომ ბურჟუაზია „დაინტერესებულია სახელმწიფოებრივი აზრის განმტკიცებით სოციალ- დემოკრატიაში“ და უნდა ითანამშრომლოს მასთან, რათა არ დაუშვას კომუნიზმის გაძლიერება. შტრეზემანის ეს განცხადება ნათელს ჰფენს საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების პოლიტიკურ მოტივებს. (ადს)

იაპონია-ჩინეთის მოლაპარაკების ჩაშლა

ტოკიო, 25 ნოემბერი. მთელი პრესა აღიარებს, რომ მოლაპარაკება იაპონიის გენერალურ კონსულს იადასა (შანხაიში) და **ნაციონალური მთავრობის მინისტრის ვან ჩუენ-ტინ შორის**. რომელიც ნანკინში სწარმოებდა, **უშედეგოდ დამთავრდა.**

გაზეთების უმრავლესობა ფიქრობს, რომ იაპონიას მართლაც არ შეუძლია დანიშნოს განსაზღვრული ვადა იმისათვის, თუ როდის გაიყვანს ჯარს შანდუნის პროვინციიდან.

გაზეთების აზრით, **შემდგომი მოლაპარაკება უნაყოფო იქნება**, თუ ნაციონალური მთავრობა უარს არ იტყვის თავის მოთხოვნაზე, რადგან მომავალში სწორედ ნაციონალურმა მთავრობამ უნდა უზრუნველჰყოს მშვიდობიანობა შანდუნის პროვინციაში. (ადს)

პეკინი, 25 ნოემბერი. ინგლისური ორგანო „პეკინ ენდ ტიანცზინ ტაიმს“-ი კომენტარიებს უკეთებს ჩინეთსა და იაპონიას შორის ნანკინში წარმოებული მოლაპარაკების უშედეგოდ დამთავრებას და სწერს, რომ იაპონიას არ შეუძლია დააკმაყოფილოს ჩინეთის ნაციონალური მთავრობის მოთხოვნილება იაპონიის ჯარის შანდუნის პროვინციიდან გაყვანის სწორი თარიღის დანიშვნის შესახებ. გაზეთი აცხადებს, რომ იაპონიისათვის მეტად საძნელო იქნება ხელი აიღოს ისეთ მნიშვნელოვან საწინდარზე, როგორიცაა შანდუნის პროვინცია, თუნდაც იმ შემთხვევაში, რომ ჩინეთში უფრო ხელსაყრელი მდგომარეობა იყოს. (ადს)

მაკედონელთა ტერორისტული მოქმედების გაძლიერება

ვენა, 25 ნოემბ. სოფიიდან მიღებული ცნობით, მაკედონელთა არალეგალურმა ორგანიზაციებმა, რომელთაც ხელმძღვანელობს მიხაილოვი, გააძლიერეს ტერორისტული მოქმედება. ბულგარეთის პოლიტიკური წრეების აზრით, მიხაილოვი ცდილობს დააშინოს პრემიერი ლიაპჩევი, რომელიც ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიური გამოსვლის შემდეგ სოფიაში მტრულ პოზიციას დაადგა მაკედონელთა მიმართ. მიხაილოვი იმუქრება სოფიაზე თავდასხმით.

„ნეიე ვინერ ტაგებლატ“-ის სოფიელი კორესპონდენტის ცნობით, **ბულგარეთის მთავრობამ გადასწყვიტა, გადაიყვანოს პროვინციიდან სოფიაში ჯარის ნაწილები, ვინაიდან სოფიის გარნიზონი თითქოს თანაუგრძნობს მიხაილოვს.** იმავე გაზეთის ცნობით, ბულგარეთის მთავრობა იხილავს საკითხს სოფიაში საალყო წესების გამოცხადების შესახებ. (ადს).

მაკედონელთა არალეგალური ორგანიზაციების ლიკვიდაციის საკითხი

ვენა, 25 ნოემბ. სოფიიდან მიღებული ცნობით, შესდგა პარლამენტის იმ კომისიის სხდომა, რომელსაც დავალებული ჰქონდა სეფე სიტყვის საპასუხო ადრესის დამუშავება. სხდომაზე განხილულ იქნა საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარი საკითხები. პრესის ცნობების თანახმად, საგარეო საქმეთა მინისტრი ბუროვი თავის სიტყვაში შეეხო ინგლისის და საფრანგეთის ელჩების დიპლომატიურ გამოსვლას სოფიაში. ხსენებული ელჩები მოითხოვდნენ გადამწყვეტ ბრძოლას მაკედონელთა არალეგალურ ორგანიზაციებთან. ბუროვმა განაცხადა, რომ ბულგარეთმა უნდა აღადგინოს შინაური მშვიდობიანობა და მოაწესრიგოს მეგობრული ურთიერთობა მეზობლებთან, რის წინასწარ პირობას წარმოადგენს მაკედონელთა არალეგალური ორგანიზაციების ლიკვიდაცია (ადს).

ვინ იქნება გერმანიის ელჩი საბჭოთა კავშირში

ბერლინი, 25 ნოემბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„გაზეთების არაოფიციალური ცნობებით, გერმანიის ელჩად საბჭოთა კავშირში განზრახულია დაინიშნოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის განყოფილების გამგე დირკსენი“. (ადს)

საბჭოთა სკოლის გახსნა თეირანში

თეირანში, 25 ნოემბერი. მოხდა საბჭოთა სკოლის საზეიმო გახსნა, რომელსაც დაესწრო პრემიერი, სასახლის მინისტრი, მეჯლისის დეპუტატები, განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსი და საზოგადო მოღვაწეები. კრება გახსნა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა სპარსეთში დავთიანმა, რომელმაც აღნიშნა სკოლის მნიშვნელობა საბჭოთა კავშირისა და სპარსეთის დაახლოვებისთვის [illegible] ძალების მომზადების საქმეში. საპასუხო სიტყვაში სპარსეთის განათლების მინისტრმა აღნიშნა,— ეს სკოლა იმის მაჩვენებელია, რომ მეგობრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის კიდევ უფრო განმტკიცდება. (ადს)

ირლანდია-საბჭ. კავშირის ურთიერთობა

ირლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

ლონდონი, 25 ნოემბერი. ბერლინიდან მიღებული ცნობით, ირლანდიის თავისუფალ სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაკ გილიგანმა განაცხადა:

„თუ გამოირკვა, რომ ვაჭრობა რუსეთსა და ჩვენს ქვეყანას შორის ბრკოლდება იმის გამო, რომ ამ ქვეყნებს შორის დადებული არ არის შეთანხმება საბ. რუსეთის საკითხი თვალსაჩინოთ წაიწევს წინ იმ ქვეყნების მორიგ სიაში, რომლებთანაც სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის დაწესების საკითხი განსახილველია“.

გილიგანი უარჰყოფს, რომ საბჭოთა კავშირსა და ირლანდიას შორის ოფიციალური ურთიერთობის არ არსებობა წარმოადგენს ინგლისის მთავრობასთან არსებული განსაზღვრული შეთანხმების შედეგს.

ლიბერალური „მანჩესტერ გარდიან“-ი კომენტარიებს უკეთებს გილიგანის განცხადებას, იწონებს მას და სწერს, რომ ეს განცხადება შესასწავლ ნიმუშად გამოდგება ინგლისში.

„ახირებული იქნება ის მდგომარეობა,—სწერს გაზეთი—როდესაც ირლანდიას თავისი ელჩი ეყოლება მოსკოვში, მაშინ, როდესაც რუსეთს არ ჰყავს ოფიციალური დელეგაცია ლონდონში.“ (ადს).

ინგლის-იაპონიის კავშირის განახლებაზე ოცნებობენ

ტოკიო, 25 ნოემბერი. გაზეთ „ასახი“-ს ლონდონელი კორესპონდენტი სწერს, რომ თუმცა ინგლისში მეტად დაინტერესებულნი არიან იაპონიასთან თანამშრომლობით, საკითხით და ზოგიერთი წრეები აქტიურ აგიტაციას ეწევიან ამ თანამშრომლობისათვის.მაგრამ ფაქტები მაინც მოწმობენ, რომ ინგლის-იაპონიის კავშირის აღდგენა შეუძლებელია. კავშირის აღდგენას ხელს უშლის უმთავრესად ის, რომ მას შეუძლია გაართულოს დამოკიდებულება ამერიკასთან. (ადს).

არეულობა სპარსეთში

თეირანი, 25 ნოემბერი. სპარსეთის მთავრობის უკანასკნელმა ღონისძიებებმა, რომლებიც ეხება სამღვდელოების უფლებებს და აგრეთვე სამხედრო ბეგარის შემოღებამ სპარსეთის ზოგიერთ კუთხეში, კერძოდ კი, თავრიზში, ისპაჰანში და შირაზში დიდი არეულობა გამოიწვია. უკვე მთელი თვეების განმავლობაში გუბდებოდა ადგილობრივ ხელისუფლების აგენტების თვითნებობის ნიადაგზე და სამხედრო ბეგარის გატარების დროს ჩადენილ ბოროტმოქმედებათა ნიადაგზე წარმოშობილი უკმაყოფილება. მაგრამ ამ უკმაყოფილებამ თავი იჩინა მას შემდეგ, რაც შეურაცხყოფილმა სამღვდელოებამ დაიწყო აგიტაცია „პეხლევი“-ს ქუდისა და ევროპიული ტანსაცმელის შემოღების წინაალმდეგ, და აგრეთვე იმ ხმებთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა ქალების მიერ ჩადრის მოხსნას. ამიტომ მთელ რიგ ადგილებში მოძრაობამ კლერიკალური ხასიათი მიიღო, თუმცა აქ თავი იჩინა აგრეთვე მოსახლეობის ფართო მასების (ვაჭრების, ხელოსნების) უკმაყოფილებამ ახლანდელი რეჟიმით, რომელიც მეტის-მეტად არღვევს დემოკრატიზმის პრინციპებს და არ იღებს ზომებს ქალაქისა და სოფლის მასების მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

როგორც თავრიზიდან იტყობინებიან, იქ პროტესტის ნიშნად რამდენიმე დღით დაიხურა ბაზარი დავდაპირველად დემონსტრანტებმა, რომლებიც მეჩეთში შეგროვდნენ, ვაჭრების მამასახლისებისაგან შემდგარი დელეგაცია გაუგზავნეს გენერალ- გუბერნატორს სამხედრო ბეგარის გაუქმებისა და ახალი რეფორმების მომხრე ზოგიერთი გაზეთების დახურვის შესახებ მოსალაპარაკებლად. მოლაპარაკებას არავითარი შედეგი არ მოჰყვა. მეორე დღეს პოლიციის საშუალებით ბაზარი ნაწილობრივ გაიღო, მაგრამ ქალაქის სხვადასხვა უბნებიდან გამოჩნდნენ დემონსტრანტები და ბაზარი ისევ დახურეს. პოლიციას სურდა ბაზრის დახურვისთვის ხელი შეეშალა, მაგრამ მას სცემეს და გაჰფანტეს. სცემდნენ ყველა გამვლელთ, რომელთაც „პეხლევი“-ს ქუდი ეხურა. ვრცელდებოდა პროკლამაციები, რომლებიც მოითხოვდნენ შაჰის გადაყენებას. აღელვებულ ბრბოში აღმოჩნდა სამი გადაცმული პოლიციელი, რომელთაც ბრბომ თვითგასამართლება მოუნდომა. ორმა მათგანმა გაქცევით უშველა თავს. მესამე კი იქვე მოჰკლეს.

რაიონებიდან ჯარის ნაწილების ჩამოსვლის შემდეგ ხელისუფლება მკაცრი ზომების მიღებას შეუდგა:

ქალაქში სამხედრო წესები იქნა გამოცხადებული. ბაზარში გაყვანილ იქნა პოლიციის გაძლიერებული რაზმები. მეჩეთისაკენ გზა შეჰკრეს. ღამით დაპატიმრებულ იქნა 150 კაცამდე, ამათში ცნობილი ვაჭრები, მოლები და აგრეთვე გაზეთ „ფერიად“-ის რედაქტორი.

ასეთივე ამბები დატრიალდა შირაზშიაც. იქიდან მიღებული ცნობების თანახმად, 2—3 დღის განმავლობაში ბაზარი დახურული ყოფილა, აუარებელი ხალხი, უმთავრესად ქალები, დემონსტრატიულად დადიოდა ქალაქში და ჰკიცხავდა მთავრობასა და შაჰს. დემონსტრანტები ქვებით ამსხვრევდნენ ფარნებს, ყველა გამვლელთ აძრობდნენ „პეხლევი“-ს ქუდს. ფანატიკოსების დიდ ბრბოს, ბაირაღის მაგივრად, წინ მიჰქონდა ჯოხზე ჩამოცმული „პეხლევი“-ს ქუდი. იგი გაჩერდა ბაზრის მახლობლად და წარმოსთქვა ლოცვა „ხეთმეემენ-იუჯიბ“— შაჰის სიკვდილისათვის.

ბრბოსა და პოლიციის შეტაკების დროს მოკლულ იქნა 2 კაცი, დაიჭრა 8, დაპატიმრებულია ვაჭრები, ხელოსნები, მოლები და აგრეთვე რამდენიმე ათეული ქალი.

რეპრესიული ზომების გაძლიერების შემდეგ მოძრაობამ იკლო. ამჟამად გარეგნულად თუმცა მშვიდობიანობაა, მაგრამ მდგომარეობა კვლავ რთულია. (ადს)

„ხელები შორს საბჭოთა კავშირისაგან!“

ვენა, 25 ნოემბ. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, მუშურ-გლეხური ბლოკის სრულიად რუმინეთის ყრილობის გამო, გაიმართა მასიური მიტინგი, რომელზედაც გამოვიდნენ ყრილობის დელეგატები. მომხსენებლებმა ფარდა ახადეს ომის მზადებას საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ და მოუწოდეს პროლეტარიატს— ხელი შეუშალოს ამ მზადებას.

მიტინგის მონაწილენი მქუხარე ოვაციებით შეხვდნენ ლოზუნგებს „ხელები შორს საბჭოთა კავშირისაგან“ და „ხელს ნუ უშლით სოციალისტურ მშენებლობას საბჭოთა კავშირში“.

მიღებულ რეზოლიუციებში მიტინგის მონაწილენი აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან ებრძოლონ ომის მზადებას საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ, და მოითხოვენ ლიბერალური პარტიის მთავრობის მიერ შემოღებული განსაკუთრებული კანონების გაუქმებას, ცენზურისა და „ოხრანკის“ გაუქმებას, სამოქალაქო თავისუფლებების აღდგენას, კომპარტიის ლეგალიზაციას და ამნისტიას პოლიტიკურთათვის. (ადს).

სიმშილობა ბესარაბიაში

ვენა. 25 ნოემბერი. რუმინეთიდან მიღებული ცნობით, კიშინევში შესდგა ბესარაბიის კოოპერატიული ბანკების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც დაადასტურა, რომ ბრატიანუს მთავრობას არაფერი არ გაუკეთებია ბესარაბიის დამშეული მოსახლეობის დასახმარებლად. დაადგინეს მანიუს მთავრობას გაეგზავნოს მემორანდუმი ბესარაბიის, განსაკუთრებით სამხრეთ მაზრების კატასტროფიული მდგომარეობის შესახებ და ეთხოვოს დახმარება. ბუქარესტში გაემგზავრა სპეციალური დელეგაცია მემორანდუმის ჩასაბარებლად. (ადს)

რეპარაციების საკითხი

ბრიანის „ცდები“

პარიზი, 25 ნოემბერი. პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის სხდომაზე გამოვიდა ბრიანი რომელმაც იმედი გამოსთქვა, რომ გამართული მოლაპარაკება რეპარაციებისა და რეინის ოლქის ევაკუაციის შესახებ წარმატებით დამთავრდება. ბრიანმა აღნიშნა, რომ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის სესია შესდგება მომავალ წელს.

გერმანიის მთავრობის მემორანდუმი

პარიზი, 25 ნოემბ. პრესის ცნობით, გერმანიის ელჩმა პარიზში ფონ გეშმა პუანკარეს გადასცა გერმანიის მთავრობის მემორანდუმი, რომელიც წარმოადგენს პასუხს მოკავშირეთა მემორანდუმზე სარეპარაციო გადასახადების საბოლოოდ მოწესრიგების შესახებ.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ გერმანია კვლავ აყენებს მოკავშირეებისათვის მიუღებელ მოთხოვნილებას გერმანიის ფინანსიური შესაძლებლობის წინასწარ გამორკვევის შესახებ „დამოუკიდებელ“ ექსპერტების მიერ. (ადს)

ანტისაბჭოთა გეგმები

ვენა, 25 ნოემბერი. უნგრეთის გაზეთი „კელეტი უიშაგ“— აქვეყნებს სამხრეთ-სლავიის გაზეთების ცნობას იმის შესახებ, რომ მოლაპარაკებაში რუმინეთის ახალ პრემიერ მანიუს და გენერალ ლერონს შორის მონაწილეობას იღებდა რუმინეთის ახალი გარეშე საქმეთა მინისტრი მირონესკუ.

გაზეთის სიტყვით მოლაპარაკების შედეგათ მიღწეულია შეთანხმება, რომ საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ ომის შემთხვევაში პოლონეთ-რუმინეთის არმიას ხელმძღვანელობას გაუწევენ საფრანგეთის გენერალური შტაბის ოფიცრები და სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობას მიიღებს საფრანგეთის სამხედრო ფლოტის 5 ერთეული. (ადს).

შეტაკება ბულგარეთში

ვენა, 25 ნოემბერი. სოფიიდან მიღებული ცნობით, ხასკოვში გამართულ ხათაარიგო უნტერ-ოფიცერთა ყრილობაზე მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება. მწვავე კონფლიქტს, ერთის მხრივ, ცანკოვის მომხრეებსა, ხოლო მეორეს მხრივ, ვოლკოვის (სამხედრო მინისტრი) და მიხაილოვის (მაკედონელთა ბელადი) მომხრეებს შორის, მოჰყვა თავდასხმა ცანკოვის მომხრეებზე, ყრილობის დელეგატებზე პოპოვსა და აპოსტოლოვზე. აპოსტოლოვი მოჰკლეს, პოპოვი მძიმედ დაჭრილია. თავდამსხმელები, რომელთა შორისაც ერთი პოლიციის ყოფილი [illegible] აღმოჩნდა, დააპატიმრეს.

ამხ. სტალინის წერილი

მოსკოვი, 26 ნოემბ. ამხ. სტალინის წერილში „კატუშკა“-ს და იარცევის ფაბრიკის (სმოლენსკის გუბერნია) მუშებისადმი ნათქვამია:

„ვესალმები თქვენს მიერ დაწყებულ საქმეს—შეჯიბრების მოწყობას საბჭოების საარჩევნო კამპანიის საუკეთესოდ ჩატარებაზე. საბჭოების,—მუშათა კლასის დიქტატურის ორგანოს არჩევნები თვით მუშათა საქმე უნდა იყოს. თქვენი მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში არ ამოიწურება მხოლოდ იმით, რომ ჯეროვნად, ბოლშევიკურად ჩაატაროთ ქალაქის საბჭოს არჩევნები თქვენს ქალაქში.

უფრო ძნელი, მაგრამ უფრო საჭირო ამოცანაა უშუალო მონაწილეობის მიღება საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში სოფლად. საბჭოების არჩევნების შედეგი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მიიღებენ მონაწილეობას კამპანიაში ქალაქის მუშათა კლასი, სოფლის მოჯამაგირენი და ღარიბი გლეხები, თუ რამდენად მოახდენენ გავლენას არჩევნების მსვლელობაზე, რამდენად გაიყოლიებენ საშუალო გლეხს, შეუტევენ კულაკს და ამგვარად უზრუნველჰყოფენ მუშათა კლასის ხელმძღვანელობას სოფლად. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ექნება თქვენ მიერ დაწყებულ მიტინგ-შემოწმებას, რომელიც ფეხზე დააყენებს მუშებს არჩევნებში ფართო მონაწილეობის მისაღებათ.

გისურვებთ წარმატებას.

სტალინი“.

ბრწყინვალე გამარჯვება

ვარშავა, 25 ნოემბერი. ვარშავის ტრამვაის მუშათა პროფკავშირის გამგეობის არჩევნებში ბრწყინვალედ გაიმარჯვა მემარცხენე ფრთამ. წინასწარი გამოანგარიშებით, მემარცხენე ფრთის კანდიდატებმა მიიღეს ხმების 90 პროცენტი. ახალი გამგეობის 11 წევრიდან 9 მემარცხენე ფრთის წარმომადგენელია, ერთი უპარტიო და ერთი პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრი. ტრანსპორტის მუშათა ცენტრალურმა გამგეობამ, რომელსაც ხელმძღვანელობენ პოლონეთის ძველი სოციალისტური პარტიის წევრები, არჩევნები გააუქმა. (ადს).

რუმინეთის მუშურ-გლეხური ბლოკის ყრილობა

ვენა, 25 ნოემბერი. რუმინეთის მუშურ-გლეხური ბლოკის ორგანოს— „ინაიტე“-ს ცნობით, ბუქარესტში გაიმართა რუმინეთის მუშურ- გლეხური ბლოკის ყოველწლიური ყრილობა. დელეგატები, აღწერდნენ რა მდგომარეობას ადგილებზე ახალი მთავრობის შექმნის შემდეგ, აღნიშნავდნენ, რომ ტერორი და ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრა კვლავ გრძელდება და განსაკუთრებით მკაცრ ხასიათს იღებს ბესარაბიაში და დობრუჯაში. ყრილობამ გამოააშკარავა, რომ მუშურ- გლეხურ ბლოკის შიგნით არსებობს ოპორტუნისტული სულისკვეთება, რომლის გამომხატველი არიან ორადეა-მარეს კომიტეტის ზოგიერთი წევრები და აგრეთვე უნიტარული პროფკავშირების გამოჩენილი მოღვაწენი. ყრილობამ მკაცრად გაილაშქრა ამ ოპორტუნისტული სულისკვეთების წინაალმდეგ და დაამტკიცა ცეკას მიერ შემუშავებული ახალი პროგრამის პროექტი. ყრილობამ აირჩია ახალი ცეკა. აღმასრულებელი კომიტეტის მდივნად არჩეულ იქნა დორეანუ. (ადს)

გემების დაღუპვა

პარიზი, 25 ნოემბერი. საფრანგეთის ნაპირებზე ძლიერი ქარიშხალია. დაიღუპა მრავალი გემი. საფრანგეთის მეთევზეთა გემმა გადაარჩინა გასკონის ყურეში დაღუპული იტალიური გემის „ბარბარა“-ს რაზმი 15 კაცის შემადგენლობით. ალჟირთან დაიღუპა გემი „კოტიე“. დაიხრჩო 12 კაცი. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

დამატებითი არჩევნები სენ-დენის მეხუთე ოლქში

პარიზი, 26 ნოემბერი. დასრულდა დამატებითი არჩევნები სენ-დენის (პარიზის მახლობლადაა) მეხუთე ოლქში. დამატებითი არჩევნები დანიშნული იყო ბოკანოვსკის მოადგილის ასარჩევათ. (ბოკანოვსკი—რადიკალი იყო. იგი შედიოდა ანას წინად გადამდგარ მთავრობაში და ეკავა ვაჭრობის მინისტრის პოსტი. დაიღუპა აეროპლანის კატასტროფის დროს). კომუნისტების კანდიდატმა, მუშა ბარრომ მიიღო 3.960 ხმა; რესპუბლიკანელების კანდიდატმა ბლაკებელერმა, რომელიც გამოდიოდა კომუნისტებთან ბრძოლის ლოზუნგით მიიღო 3.709 ხმა, რესპუბლიკანელთა კავშირის კანდიდატმა მიიღო—2,171 ხმა, დემოკრატებისამ —1.640 ხმა, მემარცხენე რესპუბლიკანელების კანდიდატმა—708 ხმა, სოციალისტებისამ — 478 ხმა. დანარჩენი 1.500 ხმა გაიწილა სამმა კანდიდატმა.

ვინაიდან არც ერთ კანდიდატს არ მიუღია ხმების აბსოლიუტური უმრავლესობა, ამიტომ მოხდება ხელახალი კენჭის ყრა, რომლის შემდეგ არჩეულათ ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმების შედარებით უმრავლესობას მოაგროვებს.

არჩევნების შედეგების გამოცხადებას იქვე თავმოყრილი მუშები მიესალმნენ „ინტერნაციონალის“ მღერით. მუშებმა სცადეს მოეწყოთ დემონსტრაცია, მაგრამ პოლიციამ ისინი გაჰფანტა. ორი მუშა დაპატიმრებულია.

აპრილში მომხდარ არჩევნების დროს ბოკანოვსკიმ მიიღო 8.766 ხმა, კომუნისტმა ონელმა —4,207 ხმა, სოციალისტების განდიდატმა —1.357 და რადიკალ-სოციალისტების კანდიდატმა—280 ხმა. (ადს).

გერმანიის მემორანდუმი

ბერლინი, 26 ნოემბერი. პრესის ცნობით გერმანიის მემორანდუმში სარეპარაციო საკითხების შესახებ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ჯერ კიდევ არ მომწიფებულა დრო, სარეპარაციო პრობლემის მატერიალურ საფუძველზე მსჯელობისათვის. გერმანიის თვალსაზრისით, კომისიამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოარკვიოს გერმანიის ფინანსიური შესაძლებლობის საკითხი.

იტალიელი პოლიტემიგრანტის პროცესი

პარიზი, 26 ნოემბერი. დაიწყო იტალიელი პოლიტიკური ემიგრანტის, მუშა მოდუნოს საქმის გარჩევა. მოდუნომ 1927 წლის სექტემბერში პარიზში მოჰკლა იტალიის ვიცე-კონსული გრაფი ნარდინი.

მოდუნოს იცავს ადვოკატი ტორრეს.

რეიხსტაგის სხდომა გადადებულია ხუთშაბათამდე

ბერლინი, 26 ნოემბერი. საგარეო პოლიტიკაზე კამათის დამთავრების შემდეგ რეიხსტაგის სხდომა გადაიდო ხუთშაბათისათვის.

საბჭოთა კავშირის მეგობრები გერმანიაში

ბერლინი, 26 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების აღმასკომმა გერმანიაში გადასწყვიტა ჩაატაროს ფართო კამპანია ომის საშიშროების შესახებ, რომელიც ემუქრება საბჭოთა კავშირს. (ადს)

უკრაინელების პროცესი

ვარშავა, 26 ნოემბ. დეკემბერში ლვოვში დაიწყება უკრაინელების საქმის გარჩევა. პასუხისგებაში მიცემულია 26 კაცი. მათ ბრალდება „კომუნისტური მოღვაწეობა ტრიანოპოლის ოლქში“. (ადს)

ლვოვში მომხდარი ამბების გარშემო

ვარშავა, 26 ნოემბერი. გაზეთების ცნობით, ლვოვში უკანასკნელად მომხდარი ამბების გამო დაწყებული გამოძიება დასრულებულია. (საქმე ეხება უკრაინელების დარბევას ლვოვში, რაც მოხდა 1—2 ნოემბერს უკრაინა-პოლონეთის ომის ათი წლის თავზე).

რეპრესიები ლოძის გაფიცულთა წინაალმდეგ

ვარშავა, 26 ნოემბერი. პოლიციამ დახურა ლოძში პროფკავშირის ის შენობა, სადაც მოთავსებული იყო ვიძევსკის მანუფაქტურის გაფიცულ მუშათა კომიტეტი. კომიტეტი გაფიცულებს შორის ანაწილებდა საბჭოთა კავშირის მუშებისაგან გაგზავნილ ფულად დახმარებებს. გაზეთ „ფოლკსცეიტუნგის“ ცნობით, პოლიციის ასეთი რეპრესიული ზომები გამოწვეულია, იმით, რომ გაფიცულ- [illegible] გამოგზავნილი დახმარება მიიღო სეიმის კომფრაქციამ. (ადს)

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ბამბის დამზადება

მოსკოვი, 26 ნოემბერი. ვაჭრობის კომისარიატის ცნობით, პირველ ნოემბრამდე დამზადებულია 217 ათასი ტონა ბამბა, რაც შარშანდელთან შედარებით 31 პროცენტით ნაკლებია; დამზადების სიმცირე აიხსნება იმით, რომ დამზადების კამპანია დაგვიანებით დაიწყო. ნოემბრის პირველ ათ დღეში დამზადებამ მებამბეობის ყველა რაიონებში იმატა 30 პროცენტით, შარშანდელთან შედარებით.

მუშა და გლეხ - კორესპონდენტთა ყრილობის სხდომების გადაცემა რადიოთი

მოსკოვი, 26 ნოემბერი, მუშა და გლეხ - კორესპონდენტთა მნიშვნელოვანი სხდომები გადაცემული იქნება რადიოთი. თათბირზე იმუშავებს კომისია მუშ-გლეხკორთა მოძრაობის საკითხებზე ნაციონალურ ოლქებში და რესპუბლიკებში.

საგეგმო ორგანოების საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 26 ნოემბერი. დღეს გაიხსნა საკავშირო ფინსახკომის და მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების საგეგმო ორგანოთა საკავშირო თათბირი.

სამღვდელოების აქტივობის ზრდა

მოსკოვი, 26 ნოემბ. „პრავდა“ წერილში „ხუცების შეტევა“ კვლავ მიუთითებს სამღვდელოების პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებაზე და აღნიშნავს, რომ ხუცები ნიღაბით იყენებენ საბჭოთა ლოზუნგებს.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმის რეზოლიუცია

სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრები 1928--29 წლისათვის

რეზოლიუცია ამხ. რიკოვის მოხსენების გამო, მიღებული ერთხმად საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმის მიერ 1928 წლის 24 ნოემბერს

მოსკოვი, 26 ნოემბერი.

1. განვლილი სამეურნეო წლის შეჯამებული ციფრები მოწმობენ მუშათა კლასის, საბჭოთა ხელისუფლების და პარტიის დიდ მიღწევებს. მსხვილი მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 22,5 პროცენტით (ნაცვლად წარსული წლის 18,2 პროცენტისა და საგეგმო და საკონტროლო ციფრების 15,8 პროცენტისა); განსაზოგადოებული ძირითადი ფონდების ხვედრითი წონა გაიზარდა 52,4 პროცენტით (ნაცვლად წარსული წლის 51,4 პროცენტისა); კაპიტალური ხარჯები და განსაზოგადოებული სექტორი შეადგენს 54,6 პროცენტს, (ნაცვლად წარსული სამეურნეო წლის 45,7 პროცენტისა). სათანადოთ გაიზარდა პროლეტარიატის რიცხვი, მოიმატა მისმა წილმა ეროვნულ შემოსავალში და შეიქმნა მატერიალური ბაზა მისი კლასობრივი პოზიციების შემდგომი განმტკიცებისათვის, სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებას ხელს უწყობდა პირველი მნიშვნელოვანი წარმატებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განსაზოგადოების დარგში: კოლმეურნეობათა ნათესი სივრცე გაიზარდა 0,87 მილიონ ჰექტარიდან 1,70 მილიონ ჰექტარამდე, საბჭოთა მეურნეობების ნათესი სივრცე გაიზარდა 1,26 მილიონ ჰექტარიდან 1,30 მილიონ ჰექტარამდე, კოლმეურნეობათა საერთო პროდუქცია გაიზარდა 103 მილიონ მანეთიდან 189 მილიონ მანეთამდე, საბჭოთა მეურნეობების საერთო პროდუქცია გაიზარდა 195 მილიონ მანეთიდან 206 მილიონ მანეთამდე. ამავე დროს, წინა პლენუმის გადაწყვეტილებათა თანახმად, დაიწყო საბჭოთა ახალი დიდი მარცვლეულის მეურნეობების მოწყობა.

2. პარტიის ძირითად ამოცანას და მის გენერალურ ხაზს შეადგენს ჩვენი ქვეყნის შემდგომი ინდუსტრიალიზაცია, სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის რაც შეიძლება სწრაფი ტემპით ზრდა, გლეხობის შეკავშირება კოოპერაციაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოლექტიური ფორმების ზრდა (კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი) და სხ. შავი მეტალურგიის, მანქანათმშენების, ელექტრომშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის განვითარება, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია და მაშინიზაცია,,საწარმოო საშუალებათა წარმოების ხვედრითი წონის სისტემატიურად გადიდება—ყველაფერი ეს აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის, კერძოთ—სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის და აუცილებლად მოითხოვს მთელი საწარმოო პროცესის რაციონალიზაციის უფრო მეტ ზრდას, მეცნიერების უფრო ფართოდ გამოყენებას და დასავლეთ ევროპისა და ამერიკის გამოცდილებისა და ცოდნის რაც შეიძლება სრულად გამოყენებას, სოციალისტური მშენებლობის პროცესში მასების ფართოდ ჩაბმის, მასების მატერიალური კეთილდღეობის ზრდისა და 7 საათი სამუშაო დღის სისტემატიურად გატარების ნიადაგზე, ტექნიკური კადრების მუშაობის თვისებრივი ამაღლების, მეცნიერებისა და ტექნიკის, სამეურნეო მმართველობისა და, საერთოდ, მეურნეობის პრაქტიკის უფრო მეტად დაკავშირების ნიადაგზე პარტიამ გადაჭრით და მტკიცედ უნდა განაგრძოს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის კურსი.

საერთაშორისო მდგომარეობა, კაპიტალისტური სახელმწიფოების უდიდესი ტექნიკური წარმატებანი, ომის საფრთხე და სხვ. თავის მხრივ სავსებით გადაუდებლად ხდიან ამ ამოცანების განხორციელებას.

ცეკას პლენუმი, იღებს რა მხედველობაში იმას, რომ აუცილებლად უნდა დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს ტექნიკურად და ეკონომიურად, აღნიშნავს, რომ ამ ამოცანების გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ინდუსტრიის განვითარების უაღრესი ტემპით, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციით და საერთოდ პარტიისა და მუშათა და გლეხთა მასების მაქსიმალური მობილიზაციით.

3. მაგრამ სოციალიზმის უდიდეს მონაპოვარს განვლილ სამეურნეო წელს თან ხლევდა დიდი სიძნელენი და კრიზისის ხასიათის მოვლენები, რომლებიც, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა ვსძლიოთ პარტიისა და მუშათა კლასის ძალებით, მისი მარცვლეულის დარგების სექტორი. განსაკუთრებით და კერძოდ ძალზე ჩამორჩენილია და ნელი ტემპით ვითარდება. ეს მაშინ, როდესაც, როგორც უკვე აღნიშნა ცეკას ივლისის პლენუმმა, „სოფლის მეურნეობის და, განსაკუთრებით, მარცვლეული დარგების მეტად დაბალი დონე... შეიცავს სოციალისტურ ქალაქსა და წვრილ-გლეხურ სოფელს შორის არსებული კავშირის გაწყვეტის საფრთხეს და, მაშასადამე, მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნის ძირითადი პირობის დარღვევის საფრთხეს". მარცვლეულის პრობლემა, შავი ლითონების, საამშენებლო მასალის და, საერთოდ, საქონლის დიდი ნაკლებობა, რეზერვების პრობლემა, ექსპორტის დიდად ჩამორჩენა (უმთავრესად იმის გამო, რომ პური გამორიცხულ იქნა მისი შემადგენლობიდან) და, მაშასადამე, იმპორტის ჩამორჩენა და, ბოლოს, ვალიუტის განმტკიცების პრობლემა,—ასეთია სამეურნეო ფრონტის უმთავრესი ნაწილები, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ.

4. ამ სამეურნეო საკითხებიდან უმთავრესია სოფლის მეურნეობის საკითხი. მარცვლეულის მეურნეობის დარგში მნიშვნელოვნად ნაკლები იქნა შესრულებული გეგმით ნავარაუდევი. ყველა მარცვლეული კულტურის საერთო მოსავალი 1926—27 წელს შეადგენდა 4 747 მილიონ ფუთს, 1927—28 წელს—4.164 მილიონ ფუთს, 1928—29 წელს—4.585 მილიონ ფუთს. მაგრამ სასურსათო მარცვლეულის კულტურების (ჭვავი და პური) საერთო მოსავალი 1928—29 წელს 200 მილიონი ფუთით ნაკლები იყო წინა წელთან შედარებით. ეს გამოიწვია შემოდგომის ნათესის დაღუპვამ უკრაინასა და ჩრდილო კავკასიაში. პურის ცენტრალიზაციაქმნილი დამზადების დინამიკა გვიჩვენებს, რომ პურის დამზადება 1926—27 წელს დავიდა 662 მილიონ ფუთამდე, (ექსპორტი ამ რაოდენობიდან შეადგენდა 142 მილიონ ფუთს) და 1927—28 წელს—627 მილიონ ფუთამდე, (ექსპორტს თითქმის სრულებით არ ჰქონია ადგილი).

ყველა ეს პროცესი მარცვლეულის მეურნეობაში ვითარდება ისეთ პირობებში, როცა პურეულის ნათესის სივრცე 1928 წელს შეადგენდა ომის წინადროინდელი დონის 90,1 პროცენტს, პურეულის საერთო პროდუქცია—78 პროცენტს და საქონლის ნაწილი—56 პროცენტს (საბჭოთა კავშირში) მაშინ, როდესაც კავშირის მთელი მოსახლეობა ყოველ წლიურად იზრდება 2,3 პროცენტით, ხოლო ქალაქის მოსახლეობა—4 პროცენტით, როდესაც იზრდება თითეულ სულზე პურის მოხმარების ნორმა, განსაკუთრებით სოფლად.

სოფლის მეურნეობის მეორე უდიდეს დარგში—მესაქონლეობაში ადგილი აქვს ზრდის ტემპის შენელებას. გლეხების მთელი საქონელი, თუ მსხვილფეხა საქონელთან შეფარდებით ვიანგარიშებთ, წარსულ წელთან შედარებით პროცენტულად იძლევა შემდეგ დინამიკას: 1926—27 წელს—106,5 პროცენტი, 1927—28 წელს—104,9 პროცენტი, 1928—29 წელს—102,2 პროცენტი, ამასთან საბაზრო მესაქონლეობის მთელ რიგ რაიონებში (ურალი, ვიატკა, ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონი) ადგილი აქვს გლეხების საქონლის ზრდის შეჩერებას. კერძოდ, უნდა აღინიშნოს, რომ რძის მეურნეობის დაქუცმაცებასთან დაკავშირებით, ძალიან ეცემა კარაქის მეურნეობის საქონლიანობა. ყოველივე ეს მოითხოვს, რომ გაძლიერებულ იქნას გლეხურ მეურნეობათა შეკავშირება საწარმოო კოოპერაციაში და საბჭოთა მეურნეობების გამოყენება მსხვილი მესაქონლეობის განსავითარებლად.

ტექნიკური კულტურების დარგში ადგილი აქვს მნიშვნელოვან ზრდას: ტექნიკური კულტურების საერთო პროდუქცია 874 მილიონ მან.-დან (1926—27 წლის ფასებით) 1925 26 წელს და 756 მილიონ მან.-დან 1926—27 წელს გაიზარდა 901 მილიონ მან.-მდე 1927-28 წელს. ტექნიკური კულტურების ნათესის სივრცე ამ ჟამად 58,5 პროცენტით აღემატება ომის წინადროინდელ დონეს. მიუხედავად ასეთი ზრდისა, ტექნიკური კულტურები სრულებით უმნიშვნელო როლს თამაშობენ მთელ გლეხურ მეურნეობაში, ხოლო მრეწველობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მხრივ ისინი კვლავ ძლიერ დეფიციტიანი არიან, რაიც აყენებს ტექნიკური კულტურების შემდგომი გაძლიერებით განვითარების ამოცანას. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ მარცვლეული მეურნეობა მთელი სოფლის მეურნეობის მთავარი ნაწილია. ამიტომ მარცვლეულის მეურნეობის მაჩვენებლები გადამწყვეტია მთელი სოფლის მეურნეობისათვის და მისი განვითარების, განსაკუთრებით მარცვლეულის მეურნეობის განვითარების, ძალიან ჩამორჩენა საფრთხეს ქმნის ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის.

ამასთან ერთად უკანასკნელი წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობაში თავი იჩინა მრავალმა დადებითმა რეკონსტრუქტიულმა მომენტებმა. იზრდება წინასწარ დახნულის ნათესის პროცენტი, რომელიც 1926 წელს შეადგენდა 29,1 პროცენტს, 1927 წელს 32,1 პროცენტს. იზრდება მრავალმინდვროვანი თესლბრუნვის სივრცე, რომელიც 1925 წელს შეადგენდა 3.664.000 ჰექტარს, ხოლო 1927 წელს გაიზარდა 9.429.000 ჰექტარამდე. მნიშვნელოვნად იზრდება ნათესები და, მაშასადამე, ღარიბთა და მცირე შეძლების საშუალო მეურნეობათა ხვედრითი წონაც. სოფლის მეურნეობის საქონლის საბაზრო პროდუქციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს განსაზოგადოებული სექტორი. იზრდება სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფა მუშა-საქონლით და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით. 100 ჰექტარზე 1926—27 წელს მოდიოდა 25,6 სული მუშა-საქონელი, 1928—29 წელს 27,4. სასოფლო-სამეურნეო მანქანები 100 ჰექტარზე მოდიოდა 1926—27 წელს 9 მან.90 კაპ., 1928—29 წელს—11 მან. 94 კაპ.. სასოფლო სამეურნეო მანქანების დამზადება 93 მილიონი მან.-დან 1926—27 წელს გაიზარდა 190 მილიონ მან.-მდე (ომის წინა დროინდელ მანეთებით) 1928—29 წელს და შეადგენს ომის წინა დროინდელი დონის 280 პროცენტზე მეტს.

ამიტომ პლენუმი სავსებით დაუსაბუთებლად სთვლის ამხ. ფრუმკინის მტკიცებას, რომ სასოფლო-მეურნეობა, განსაკუთრებით მისი მარცვლეული ნაწილი, დეგრადაციის პროცესს განიცდის.

მაგრამ მიუხედავად ამ დადებითი პროცესებისა, არახელსაყრელი ტენდენციები სოფლის მეურნეობის განვითარებაში იმდენად ძლიერია, რომ 1928—29 წლისათვის პურის დამზადების და პურის მიწოდების გეგმის შესრულება ძალიან გაძნელდება.

მოსავლის შემცირება გამოწვეულია იმით, რომ წინა ორი წლის განმავლობაში ნათესის სივრცის ზრდის შენელების საერთო ფონზე 1928-29 წელს ადგილი ჰქონდა ხუთი მილიონი ჰექტარი შემოდგომის ნათესის დაღუპვას. მაგრამ აქედან მთავრობის მიერ თავის დროზე და უაღრესად ენერგიულად გაწეულ დახმარების წყალობით, სამ მილიონ ჰექტარზე მეტი ხელახლა იქნა დათესილი. ამასთან ერთად უკრაინის სამხრეთ რაიონები და ჩრდილოეთ კავკასია, რომლებიც დაზარალდნენ შემოდგომის ნათესის დაღუპვით, ხელმეორედ დაზარალდნენ ივლისში გვალვისაგან.

5. პურის დამზადების დამაკმაყოფილებელი მსვლელობა პირველ კვარტალში ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ პურის ცენტრალიზაციაქმნილი დამზადების დასახული წლიური გეგმა მთლიანად შესრულდება. ცეკა ავალებს ადგილობრივ ორგანიზაციებს არა თუ არ შეასუსტონ, არამედ კიდევაც გააძლიერონ ყურადღება პურის დამზადების საქმისადმი, რათა გაუმჯობესდეს ჩვენი ქვეყნისათვის პურის მიწოდება და შესაძლებლობის მიხედვით, უზრუნველყოფილ სათესი მასალის ფონდების შექმნა, რაც საჭირო იქნება გაზაფხულზე ღარიბი გლეხობისა და ხელმოკლე საშუალო გლეხებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს ჩვენი ქვეყნის სასურსათო ბალანსის უკიდურესად დაძაბულ მდგომარეობას და მოუწოდებს პარტიას, უდიდესი სიფხიზლით ადევნოს თვალყური პურის დამზადების მსვლელობას და უდიდესი ენერგიით იბრძოლოს მომჭირნეობის რეჟიმისათვის პურის ხარჯვის დარგში და ჩვენი პურის რესურსების ყოველგვარი ფლანგვის წინააღმდეგ. ამავე დროს ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს იმ ფაქტის უდიდეს პრინციპიალურ-პოლიტიკურ მნიშვნელობას, რომ პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ საკმაოდ შესძლეს პურის დამზადების გადაყვანა საგანგებო ზომების მეთოდებიდან ნორმალურ მეთოდებზე.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ ივლისის პლენუმის მიერ მიღებული ღონისძიებანი, კერძოდ პურის ფასების გადიდება, სავსებით მართებული გამოდგნენ და შემდეგ წინასწარ პირობებს არამარტო პურის დამზადების მიმდინარე კამპანიის დამაკმაყოფილებელი განვითარებისათვის, არამედ გლეხის მეურნეობის უფრო სწრაფი აღორძინებისათვისაც. პლენუმი მიუთითებს ყველა პარტიულ ორგანიზაციას, რომ პურის დამზადების შემდგომი წარმატებით მსვლელობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ საქმის განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს მთელი პარტია, განსაკუთრებით სოფლის ქვედასაფეხურის პარტიული ორგანიზაციები, და თუ გლეხების ძირითად მასაში გამართება ფართო პოლიტიკური მუშაობა პურის დამზადების საქმის ირგვლივ, თუ პურის დამზადებას აქტიურად შეუწყობს ხელს ღარიბი გლეხობა და საბჭოთა და კოოპერატიული აქტივი და ამ რიგად დასძლევს კულაკური ფენის ცდას—განზრახ აგიტაცია პურის გაუცემლობისათვის.

ჩვენი ქვეყნის სასურსათო და ნედლეულის ბალანსის დაძაბული მდგომარეობა სამეურნეო გეგმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გადაუდებელ ამოცანად ხდის იმას, რომ 1929 წელს შევსძლოთ ნათესის სივრცის გაფართოვება 7 პროცენტით და მოსავლიანობის გადიდება 3 პროცენტით.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მიაქცევს პარტიის ყველა წევრის ყურადღებას ამ დირექტივის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და მისი შესრულების უზრუნველსაყოფად ყველა ღონისძიების მაქსიმალური ენერგიით განხორციელებაზე. ამ ღონისძიებათა შორის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიწოდების მნიშვნელოვან გაძლიერებასთან ერთად, სხვადასხვა აგრონომიული ღონისძიებებისათვის ფინანსების მიწოდების ერთად თვალსაჩინო ზრდასთან ერთად და მიწათმოწყობის სამუშაოთა გაძლიერებასთან ერთად, რაც გათვალისწინებულია 1928-29 წლისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოფლის ეკონომიკასთან დაკავშირების და მასზე ზეგავლენის მოხდენის ახალი მეთოდი—კონტრაქტაცია, რომელზედაც მიმდინარე წელს ნავარაუდევია 300 მილიონამდე მანეთის დახარჯვა.

ც. კ.-ის პლენუმი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ საჭიროა ყინვებისა და გვალვისაგან თვალსაჩინოდ დაზარალებული უკრაინისა და ჩრდილოეთ - კავკასიის მარცვლეული მეურნეობის დაცვა და შეძლებისამებრ განვითარება, იგი ავალებს პოლიტბიუროს, რომ სამხოლოდ გაითვალისწინოს საჭირო ღონისძიებანი 1928-29 წლის გეგმებში.

6. სოფლის მეურნეობა მრეწველობის ბაზაა; სოფლის მეურნეობის ზრდა არის ინდუსტრიალიზაციის სასურსათო და სანედლეულო ბაზის ზრდა. ინდუსტრიის ხანგრძლივი ზრდა ობიექტიურად შეუძლებელი ხდება სოფლის მეურნეობის სათანადო ზრდის გარეშე. გეგმით გათვალისწინებული ვარაუდი მრეწველობაში ზედმეტად ხორციელდება, სოფლის მეურნეობაში კი საკმაოდ ვერა სრულდება, ეს ითქმის განსაკუთრებით მარცვლეული მეურნეობის შესახებ. შეფერხება საფეიქრო ინდუსტრიაში (სელი და ბამბა ვერ შემოვიტანეთ, რადგან პური არ გვეყოფოდა), ერთგვარი დეზორგანიზაციის მოვლენანი სხვადასხვა დარგებში (რიგებისა და პურის ცუდად მიწოდების გამო და სხვ.), ინდუსტრიალიზაციისათვის დიდი მნიშვნელობის საექსპორტო ვარაუდების დარღვევა, — ყველა ეს უარყოფითი სიმპტომები იმ სიძნელეთა კონკრეტულ გამოხატულებს წარმოადგენენ, რომლებსაც ინდუსტრიალიზაციის საქმე განიცდის სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის გამო. მრეწველობის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო ბაზის განვითარების ერთმანეთისაგან კვლავ დაშორების საფრთხე მომდინარეობს უმთავრესი საფრთხეა. სოფლის მეურნეობის ზრდის მეტის-მეტი ჩამორჩენის მიზეზია როგორც მისი საუკუნეობრივ დაქვეითება, დაქუცმაცება და უკიდურესად დაბალი ტექნიკური დონე, ისე სხვადასხვა, უმთავრესად, კონიუნქტურული მომენტი.

უკვე ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებით კონიუნქტურული მომენტები, რომლებიც ხელს უშლიდნენ სოფლის მეურნეობის საკმაოდ სწრაფ ზრდას, საგრძნობლად იქნენ თავიდან აცილებულნი (პურის ფასის გადიდება, საგანგებო ზომების გაუქმება, სოფლისათვის საქონლის მიწოდების გაძლიერება, დახმარება გლეხებს თესვის დროს და სხვ.). ამავე დროს 1928-29 წელს ხდება პირველი გარდატეხა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის ძირითად სტრუქტურული მიზეზების მოსპობაში, საშუალებასაც წარმოადგენს ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა მასიური გაერთიანება კოოპერაციაში, მოსახლეობის გადიდება, დაქუცმაცებულ წვრილ მეურნეობათა თანდათანი გაერთიანება მსხვილ მეურნეობებში უმაღლეს ტექნიკურ საფუძველზე, ძველ საბჭოთა მეურნეობების გაძლიერება და ახალ საბჭოთა მეურნეობების შექმნა და სხვ.

მრეწველობის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო ბაზის განვითარების ერთმანეთისაგან დაშორების გაძლიერების საფრთხე უაღრეს სიძნელეებს უქმნის, რადგან კლასობრივ განწყობილების თვალსაზრისით იგი საფრთხეს ნიშნავს მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითადი მასების კავშირისათვის. არსებულ სიძნელეები დაკავშირებულნი კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან ქალაქად და სოფლად, თანდათან გაძლიერებულ წინააღმდეგობასთან, რომელსაც სოციალისტურ შეტევას უწევენ ქვეყნის კაპიტალისტური ელემენტები, კერძოდ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში გაძლიერებული კულაკები. პარტიის წარმატებათა აუცილებელ პირობას სოფლად წარმოადგენს გარკვეული კლასობრივი ხაზის სასტიკი დაცვა მუშაობის ყველა დარგში. ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობა, მჭიდრო კავშირი საშუალო გლეხთან და შეტევის კვლავ გაძლიერება კულაკის წინააღმდეგ,—პარტიის პოლიტიკის მუდმივ საფუძვლის წარმოადგენენ. კერძოდ, საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც პარტიას და მთავრობას აქვთ დასახული ღარიბი გლეხობის დასახმარებლად.

ამგვარად, საშუალო და ღარიბ გლეხობისადმი პროლეტარიატის დამოკიდებულების საკითხი პირველ რიგში სდგება პარტიის წინაშე. მუშათა კლასს ამჟამად უდიდესი საშუალება მიეცა,რომ გამარევოლუციონერებელი ზედგავლენა მოახდინოს როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკაზე, ისე ეკონომიურ ურთიერთობათა რეკონსტრუქციაზე სოფლად მათი განსაზოგადოების მიზნით.

ამ გამარევოლუციონერებელ ზედმოქმედებას სოფლის მეურნეობაზე პროლეტარიატი მხოლოდ მაშინ განახორციელებს, თუ ინდუსტრია სწრაფი ტემპით განვითარდება და გაძლიერდება სოციალისტური მრეწველობის ხელმძღვანელი და გარდამქმნელი როლი; ამ მხრივაც მძიმე ინდუსტრია და საწარმოო საშუალებათა წარმოება მთავარი იარაღია მთელი სახალხო მეურნეობის, სხვათა შორის, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის. სწორედ საწარმოო საშუალებათა წარმოება და მძიმე მრეწველობის განვითარება წარმოადგენს დასაყრდნობ პუნქტს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის.

7. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის კურსის მტკიცედ გატარებასთან და მიმდინარე წელს მთავრობის მიერ დასახულ კაპიტალურ დაბანდებათა ზრდის უზრუნველყოფასთან ერთად საჭიროა ზომების მიღება, რომ გაძლიერდეს სოფლის მეურნეობა საერთოდ, მარცვლეულის მეურნეობა კერძოდ, სასურსათო პურეულის წარმოება განსაკუთრებით; საჭიროა ყოველმხრივ განვითარდეს სოფლის საწარმოო ძალები, უფრო და უფრო შეიზღუდოს მისი ექსპლოატატორული კაპიტალისტური ელემენტები, შეიქმნას საბჭოთა მეურნეობანი, ყოველნაირად ხელი შეეწყოს სოფლის მეურნეობის კოლექტიურ ფორმებს (კოლექტიური მეურნეობანი, კომუნები, არტელები და სხვ.), ყოველნაირად გაძლიერდეს ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების სამეურნეო სტიმულები ც. კ.-ის პლენუმი აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის ზრდის წაქეზების საქმეში პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ყველა საჭირო ზომა არ მიიღეს რომ უზრუნველყოთ გლეხურ მეურნეობათა ძირითადი მასის სერიოზული წინსვლა.

ამასთანავე ერთად ც. კ. აღნიშნავს, რომ მიღწევები საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობაში,, მოპოვებულ პირველ წარმატებათა მიუხედავად, სრულიად არ არის საკმარისი.

საბჭოთა ახალი მეურნეობების გაძლიერებულ მშენებლობასა და საბჭოთა ძველი მეურნეობების გაუმჯობესებასთან ერთად საჭიროა კოლექტიური მეურნეობების შემდგომი როგორც რაოდენობითი, ისე თვისებრივ ზრდას. ცეკას პლენუმი იწონებს საკონტროლო ციფრების მიერ გათვალისწინებულ ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორისთვის მხარის დასაჭერად ის მოთხოვნები, რომლებსაც ქალაქის მრეწველობის ძლიერი ზრდა უყენებს სოფლის მეურნეობას, შესაძლებელია დაკმაყოფილებულ იქნას მხოლოდ სოფლის მეურნეობის განვითარების, მისი პროდუქციის ზრდისა, ქალაქისა და სოფლის შორის საქონლის ტრიალის გაფართოვებისა და დაჩქარების და სასოფლო-სამეურნეო ექსპორტის აღდგენის და ზრდის პირობებში.

საშუალო შეძლებისა და ღარიბი გლეხების ინდივიდუალური მეურნეობის განვითარებისთვის ხელის შეწყობის გზით, მათი საწარმოო ძალებისათვის ფართო სარბიელის მიცემით, პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ თანდათან უფრო მეტი გავლენა უნდა მოახდინონ გლეხის მეურნეობაზე იმით, რომ დაამყარონ სოფელთან საწარმოო კავშირი (მძიმე ინდუსტრიის გაძლიერება, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა და სხვ.), უნდა შეეწყოს მისი ტექნიკური ბაზა კოოპერაციაში გლეხობის ჩაბმის გზით ხელი შეუწყონ მეურნეობის განმტკიცებას მოაწყონ საბჭოთა მეურნეობების ისე, რომ მათ თანდათან უფრო მეტი კულტურულ-აგრონომიული გავლენა იქონიონ ინდივიდუალურ მეურნეობაზე, მოიყვანონ მოძრაობაში ზეგავლენის ახალი საშუალებანი, მაგ. კონტრაქტაციის მეთოდები და სხვ.

8. უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიეცეს აგროტექნიკისა და ზოოტექნიკის ყოველგვარ სახეს, და, ამავე დროს, ხაზგასმით აღინიშნოს, რომ სათანადო ტექნიკური ღონისძიებებს მხოლოდ მაშინ და მხოლოდ იმ პირობებში შეუძლიათ რეალური ეფექტი მოგვცენ, თუ ისინი მოძრაობაში მოიყვანილი იქნებიან თვით გლეხის სამეურნეო ინტერესებით.

ამიტომ გლეხობის ძირითადი მასის სამეურნეო ინტერესის ყოველმხრივ წაქეზება ამჟამად ჩვენი ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანაა. ამჟამად ამას იკუთვნის შემდეგი საკითხები: პირველი საკითხი—საქონლით სოფლის მომარაგება, მეორე საკითხი—ფულის სისტემის განმტკიცება, მესამე საკითხი— სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, მეოთხე საკითხი—რევოლუციური კანონიერების განმტკიცება და გლეხის მეურნეობაზე ზეგავლენის მოხდენის ფორმათა გაუმჯობესება.

9. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწორი პოლიტიკის თვალსაზრისით საჭიროა, რომ ყოველნაირად უზრუნველყოფოდეს სოფლის მომარაგება საწარმოო საშუალებებით და პირადი მოხმარების საგნებით.

პურისა და ნედლეულის სათანადო მიწოდების უზრუნველსაყოფად შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მეტის რაოდენობით დამზადებულ ის საქონელი, რომელიც შეიძლება სოფლის ბაზარზე იქნას გამოტანილი, დამზადებული საქონლის შედარებითი ნაკლებობა, რომელიც ვერ ჰფარავს სწრაფად გაზრდილ გადახდის უნარიან მოთხოვნილების (მიუხედავად იმისა, რომ სამრეწველო პროდუქცია ყოველწლიურად იზრდება), ნაკლებობა, რომელსაც მნიშვნელოვნად გამომდინარეობს მსხვილი კაპიტალური დაბანდების ფაქტიდან (შენდება ფაბრიკები, ქარხნები და საცხოვრებელი სახლები, რომლებიც უდიდეს—პირად და საწარმოო—საჭიროებას წარმოადგენენ და რომლებიც ჯერ კიდევ არ უშვებენ ბაზარზე პროდუქციას),—ეს ნაკლებობა ვერ გადასცდება და არც უნდა გადასცდეს გარკვეულ საზღვრებს, რადგანაც ინდუსტრიალიზაციის საქმის საფრთხე შეიძლება აქედანაც გაუჩნდეს. აქედან გამომდინარეობს ის კურსი, რომელიც მიმართულია საქონლის შიმშილის შენელებისა და, ბოლოს, სრული დაძლევისაკენ.

10. მახლობელი წლისათვის ამ დირექტივიდან გამომდინარეობს შემდეგი:

ა) საჭიროა სავსებით უზრუნველყოფილ იქნას ინდუსტრიის განვითარების აღებული ტემპი ჯგუფის „A"-ს მიმართ (მძიმე ინდუსტრია, მანქანათმშენება, ქიმია და სხვ.). ამასთან, რამდენადაც შესაძლებელია, ისე უნდა მოვახდინოთ სახსრების კონცენტრაცია, რომ დახარჯვა თანხების, განაწილებულ იქნას უფრო ვიწრო ფრონტზე მშენებლობის დაჩქარების მიზნით და იმ ვადის დაჩქარების მიზნით, როდესაც შესაძლებელი იქნება ექსპლოატაციის დაწყება როგორც ახალი ქარხნებისა, ისე იმ ქარხნებისა, რომლებშიც განახლებულ იქნა მოწყობილობა.

კერძოთ, საჭიროა სასწრაფოდ დამთავრდეს აგება სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნისა, როსტოვის სას.-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნისა და სხვ.

ბ) მსუბუქი ინდუსტრიისა და მისი მძიმე ინდუსტრიასთან დამოკიდებულების საქმეში საჭიროა დაყრდნობა მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებზე:

„ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის თანახმად, პირველ რიგში უნდა გაძლიერდეს საწარმოო საშუალებათა წარმოება ისე, რომ მძიმე და მსუბუქი ინდუსტრიის, ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის ზრდა, ე. ი. მათი საწარმოო მოთხოვნილება უმთავრესად უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა კავშირის მრეწველობის საკუთარი ძალებით.

სცნობს რა სწორად სიმძიმის ცენტრის გადატანას წარმოების საშუალებათა წარმოებაზე, ამავე დროს საჭიროა მხედველობაში იქნას მიღებული საფრთხე სახელმწიფო კაპიტალების მეტის-მეტი დაბანდებისა მსხვილ მშენებლობაში, რომლის რეალიზაციაც ბაზარზე რამდენიმე წლის შემდეგ ხდება. მეორეს მხრით, საჭიროა იქნეს გათვალისწინებული, რომ მსუბუქი ინდუსტრიის უფრო სწრაფი ბრუნვა (პირველი მოხმარების საგანთა წარმოება) საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ მისი კაპიტალები მძიმე ინდუსტრიის მშენებლობისათვის მსუბუქი ინდუსტრიის განვითარების პირობებში.

გ) საჭიროა გულდასმით გადაისინჯოს არასამრეწველო ხასიათის კაპიტალურ დაბანდებათა ციფრები იმ მიზნით, რომ შემცირდეს სათანადო საბიუჯეტო ასიგნობანი.

დ) მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში საჭიროა გადამწყვეტი გარდატეხა თვისებრივ მომენტზე მაქსიმალურ გაუმჯობესებისათვის (თვითღირებულების შემცირება, მშენებლობის ეფექტივობა, შრომის ნაყოფიერების გადიდება და სხვ.).

ე) დახმარება გაეწიოს შინამრეწველობის, ხელოსნობის და სხვ. განვითარებას და აცილებულ იქნას თავიდან მათი ადმინისტრატიული დევნის ყოველგვარი შესაძლებლობა.

თუ ამასთანავე უაღრესი ყურადღება მიექცევა ჩერვონეცის შემსყიდველობითი ძალის შენარჩუნებას, სესხისი და საკრედიტო გეგმების უდიდეს მოაზრება-მოფიქრებას და ექსპორტის უდიდესნაირი განვითარებას, ყოველივე ეს საჭირო პირობები იქნება როგორც სამეურნეო განვითარების ნორმალური მსვლელობისათვის, ისე საქონლის სიმცირის შენელებისათვის.

11. სამეურნეო საქმიანობის სტიმულების გაძლიერებისა და გლეხურ მეურნეობაზე ზედმოქმედების ფორმათა გაუმჯობესების საკითხთან უახლოესი კავშირი აქვს რევოლუციური კანონიერების საკითხს. თუ ეს არ იქნება, თუ არ მოწესრიგდება მოსახლეობისათვის წინდაწინვე ცნობილი ნორმების სასტიკად დაცვა, შეუძლებელი გახდება მეურნეობის გაძლიერის რწმენა, სამეურნეო ანგარიშიანობისა და ინდივიდუალური გეგმა, ე. ი. შეუძლებელი გახდება გლეხური მეურნეობის საწარმოო ძალთა ზრდა. რევოლუციური კანონიერების საკითხი შემთხვევით არ წამოუყენებია ცხოვრებას, ვინაიდან რევოლუციონურ კანონიერებას ითხოვს სამეურნეო საჭიროება. ამ თვალსაზრისით ასეთივე მნიშვნელობა აქვს სამეურნეო დირექტივების მეტ მოფიქრება-მოაზრებას, მეტ სიმკვიდრეს, რაც საშუალებას მისცემს ინდივიდუალურ მწარმოებელს, რომ განსაზღვრული სამეურნეო ანგარიში-ვარაუდი იქონიოს.

12. ამასთან დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საკითხიც. წარსული წლების გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ გლეხურ მეურნეობაზე ზემოქმედების ეს მნიშვნელოვანი იარაღი ისე უნდა გარდაიქმნას, (და თან დაცულ იქნას მისი ახლანდელი პრინციპები) რომ მან ხელი არ შეუწყოს გლეხურ მეურნეობათა დაქუცმაცებას, მაშასადამე, არ გამოიწვიოს სოფლის საწარმოო ძალთა შემცირების ერთგვარი ტენდენცია.

ამისათვის სოფლის მეურნეობის გადასახადის პროგრესიულ-საშემოსავლო ხასიათთან ერთად საჭიროა მისი შესწორება შემდეგ საფუძვლებზე: 1) გადაჭრით აიკრძალოს ინდივიდუალური დაბეგვრის შესახებ არსებული კანონის გაფართოვებული გამოყენება; ეს კანონი სისწორით შეფარდებულ უნდა იქნეს მხოლოდ კულაკური მეურნეობის ყველაზე უფრო მდიდარი ნაწილის მიმართ, განსაკუთრებით იმ კულაკური მეურნეობების მიმართ, რომელთა შემოსავლის სავსებით გამორკვევა შეუძლებელია საერთოთ დაბეგვრის დროს; ამასთან უნდა დაიბეგროს მეურნეობათა არა უმეტეს 3 პროცენტისა; 2) მოხდეს სავალდებულო აღრიცხვა არა მარტო მეურნეობის შემოსავლის საერთო თანხისა, არამედ მზამეტთა რაოდენობისაც; 3) დაცულ იქნას საგადასახადო ნორმების სავალდებულო სიმტკიცე, შემოღებულ იქნას სასტიკი სასჯელი გადასახადის აკრეფის დროს არსებულ ნორმებიდან გადახვევისათვის; 4) გაუმჯობესდეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის ტექნიკა, მოხდეს მისი ზედმიწევნით შეფარდება ცალკე რაიონების თავისებურობასთან.

პლენუმი იწონებს იმ ზომებს, რომლებიც მთავრობამ მიიღო მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესამსუბუქებლად საშუალო გლეხთა ჯგუფებისათვის.

13. გადადის რა, ზემოდ აღნიშნულ ჩარჩოებში, სამეურნეო პოლიტიკის ცენტრალურ ამოცანებიდან მრეწველობის განსაკუთრებულ ამოცანებზე, პლენუმი აღნიშნავს მნიშვნელოვან მიღწევებს მრეწველობის მუშაობის რიცხობრივ მაჩვენებლების დარგში (საქონლის საერთო პროდუქციის ზრდა) და ზოგიერთ მიღწევებს თვისებრივ მაჩვენებლების მხრივ (პირველად გადაჭარბება შრომის ნაყოფიერების ზრდამ სამუშაო ხელფასს, თვითღირებულების შემცირება, ნაყოფიერად გამოყენებული კაპიტალური თანხების დაბანდების ზრდა კაპიტალის ბრუნვის დაჩქარება, ახალი წარმოებების შექმნა და სხვ.); ამავე დროს პლენუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თვისებრივი მიღწევები მრეწველობის მუშაობაში არ არის საკმარისი.

თვითღირებულების შემცირება, რომელიც აქამდის მიღწეულია მრეწველობაში, არ შეეფერება იმ დიდძალ თანხებს, რომლებიც დაბანდებულია მრეწველობაში. წარმოების ტექნიკური რეკონსტრუქცია და მისი რაციონალიზაცია აქამდის საგრძნობლად ჩამორჩება ინდუსტრიის რიცხობრივ ზრდას. ჩვენ მიერ მსოფლიო ტექნიკის უკანასკნელ მიღწევების შეთვისების ნელი ტემპი თავის გამოხატულებას პოულობს ჩვენი ქარხნების მიერ საზღვარგარეთული მოწყობილობის ნელი ტემპით და არარაციონალურ შეთვისებაში. მომჭირნეობის რეჟიმი ჩვენს წარმოებებში ჯერ კიდევ არ ტარდება ენერგიულად და არ იძლევა იმ ეფექტს რომლის მოცემაც მას შეუძლია.

1927-28 წელმა მნიშვნელოვანი მიღწევები მოგვცა მეტალურგიის და მანქანების მშენებლობის დარგში. შინაგანი წვის მამოძრავებლების წარმოება 1927_28 წელს შეადგენდა ომის წინადროინდელ წარმოების 403 პროცენტს, სასოფლო - სამეურნეო მანქანების წარმოება — 291 პროცენტს. ამასთან ერთად, მნიშვნელოვნად შემცირდა თუჯის წარმოება, რაც საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის მთელი მეურნეობისათვის: ამავე 1927-28 წელს თუჯის წარმოება შეადგენდა ომის წინა დროის წარმოების 79 პროცენტს, მარტენის წარმოება 93,5 პროც..

ამ დისპროპორციის შერბილება 1928-29 წელს და მისი სრული ლიკვიდაცია მახლობელ წლების განმავლობაში მეტალურგიის გაძლიერებული განვითარების გზით წარმოადგენს სამეურნეო გეგმის უმნიშვნელოვანეს ამოცანას. ამასთანავე ერთად უდიდესი მომჭირნეობა უნდა იქნეს დაცული ლითონის ხარჯვის დროს. მშენებლობაში შესაძლოა მისი შეცვლა სხვა მასალებით (კრამიტი, გრაფიტი და სხვ).

მსუბუქი ინდუსტრიის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს მუშაობის დამატებითი წყებების შემოღება, მისი პროდუქციის გაძლიერებული ზრდა წლიდან წლამდე, შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღება, წარმოების რაციონალიზაცია და სხვ. ამავე დროს, ინდუსტრიის განვითარებას ამ გზაზე ხელს უშლის სასოფლო - სამეურნეო ნედლეულის სიმცირე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთი ახალი წარმოებების განვითარებას, როგორიცაა ხელოვნური აბრეშუმის, მატყლის, ტყავის და სხვ. წარმოება.

1927_28 წელს საამშენებლო მასალების კრიზისი შესამჩნევად არ შემსუბუქებულა. ამიტომ საამშენებლო მასალების წარმოების ყოველმხრივი განვითარება და მთელი სამშენებლო საქმის გაიაფება წარმოადგენს 1928 29 წლის სამეურნეო გეგმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას. სამშენებლო სამუშაოთა გაიაფება მიმდინარე წელს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს 15 პროცენტის რაოდენობით. უკანასკნელი წლების ინდუსტრიალიზაციის მაღალი ტემპი სავსებით შენარჩუნებულია 1928_29 წლის სამეურნეო გეგმაში.

1928-29 წელს მრეწველობაში დაბანდებულ იქნება 1.650 მილ. მანეთი, მაშინ, როცა წარსულ წელს დაბანდებულ იქნა მხოლოდ—1,330 მილ. მანეთი. ცენზიანი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1928-29 წელს მიაღწევს 16.180 მილ. მანეთს (1926_27 წლ. ფასებით), მაშინ, როცა 1927_28 წელს ის უდრიდა 13,833 მილ. მანეთს, ხოლო 1926_27 წელს—11.379 მილ. მანეთს.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს განმგებლობაში მყოფი სახელმწიფო მრეწველობის პროდუქცია ამავე ხნის განმავლობაში 8.721,2 მილ. მანეთიდან გაიზარდა 13.103,9 მილ. მანეთამდე (1926_27 წლის ფასებით).

რკინიგზის ქსელის საექსპლოატაციო სიგრძე 74,6 ათას კილომეტრიდან (1927—28 წელს) 1928—29 წელს გაიზარდა 77,6 ათას კილომეტრამდე. ტრანსპორტზე წარმოებული მუშაობა, რომელიც 1925_26 წელს გამოიხატა 94 მილიარდ ტონა - კილომეტრში, 1926-27 წელს გაიზარდა 105,2 მილიარდ ტონა-კილომეტრამდე, ხოლო 1927-28 წელს 112,1 ტონა - კილომეტრამდე.

მანქანათმშენების განვითარების ზემოაღნიშნულ სწრაფ ტემპთან ერთად განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის ტემპი. ელექტრონის ენერგიის წარმოება, რომელიც 1913 წელს 1.945 მილიონ კილოვატ - საათს უდრიდა, 1927_28 წელს 5.140 მილიონ კილოვატ - საათამდე ავიდა. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დიდი წინსვლა აშკარა ხდება შემდეგ ციფრების შედარებიდან: 1925-26 წ. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია შეადგენდა 17.370 მილიონ მანეთს, ხოლო მრეწველობის საერთო პროდუქცია — 12.448 მილიონ მანეთს. 1928 _ 29 წელს სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია მიაღწევს 18.624 მილიონ მანეთს, ხოლო მრეწველობის საერთო პროდუქცია — 19.040 მილიონ მანეთს. სამრეწველო წარმოების ხვედრითი წონის დიდი ზრდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში სავსებით თვალსაჩინო და უდავოა, მაგრამ სწორედ ეს მრეწველობის ხვედრითი წონის ზრდა, სწორედ ეს ტემპი ინდუსტრიალიზაციისა მოითხოვს მრეწველობის სასურსათო და ნედლეულის ბაზის უფრო სწრაფ გაფართოვებას, სხვა სიტყვით — სოფლის მეურნეობის უფრო სწრაფ ზრდას, ვიდრე ამას დღემდე ჰქონდა ადგილი.

სოციალისტური მრეწველობის ზრდას თან ახლავს და არც შეიძლება არ ახლდეს მუშათა კლასის ზრდა და მისი მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება. ინდუსტრიალურ მუშათა რიცხვი 1927_28 წელს გაიზარდა 5,7 პროცენტით, დაქირავებული შრომის პირთა ფულადი შემოსავალი 1927-28 წელს გაიზარდა 11,2 პროცენტით, ინდუსტრიალურ მუშათა სამუშაო ხელფასი კი 11 პროცენტით. 1928-29 წლისათვის ხელფასის დარგში ძირითად დირექტივად რჩება მუშათა კლასის ჩამორჩენილი ფენების, კერძოდ მძიმე ინდუსტრიის მუშების ხელფასის გადიდება.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ 1927-28 წელი გარდატეხის წელიწადი იყო იმ მხრივ, რომ 1924 წლის შემდეგ ამ წელს პირველად ვიგრძენით თვითღირებულების შესამჩნევი შემცირება (5 პროცენტი), ხოლო 1928-29 წელმა ყოველ მიზეზ გარეშე უნდა მოგვცეს შემდგომი, უფრო საგრძნობი შემცირება თვითღირებულებისა. თვითღირებულების 7 პროცენტით შემცირება 1928-29 წელს წარმოადგენს არა მარტო კაპიტალური თანხების დაბანდების გეგმის, არამედ მთელი სახალხო მეურნეობის მიმდინარე წლის გეგმის შესრულების ძირითად წინასწარ პირობას. ამიტომ საჭიროა ძალღონის მაქსიმალურად ამოძრავება შრომის ნაყოფიერების გაძლიერების დასახული დონის განსახორციელებლად, საჭიროა უაღრესად ენერგიული ბრძოლა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, მთელი საწარმოო პროცესის რაციონალიზაციისათვის.

ამ ამოცანის შესრულება შეიძლება მხოლოდ სამეურნეო, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების შეერთებული მუშაობით.

ამასთან ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმას, რომ საჭიროა ყველა ამ ორგანიზაციის უფრო აქტიური მუშაობა წარმოების რაციონალიზაციის საქმეში, უფრო აქტიურად ბრძოლა წარმოებებში მუშაობის გაცდენასთან, მოდუნებასთან, და უდისციპლინობასთან.

ჩვენი მრეწველობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დიდი ამოცანების განსახორციელებლად საჭიროა მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა მაქსიმალური გამოყენება. ამ თვალსაზრისით უაღრესი მნიშვნელობა აქვს როგორც ისეთ სპეციალისტ-სამეურნეო მუშაკთა ახალი კადრების შექმნას, რომელნიც, იქნებიან რა დაკავშირებულნი პოლიტიკურად მუშათა კლასთან, შესძლებენ გამოიყენონ მოწინავე ტექნიკური აზროვნების მიღწევები, ისე მზრუნველობის გამოჩენას ისეთ ძველ სპეციალისტების მიმართ, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან საბჭოთა ხელისუფლებას, ლოიალურად მუშაობენ მის ორგანოებსა და წარმოებებზე.

პარტია აღნიშნავს სპეცჭამიობის რეციდივებთან გადამწყვეტი ბრძოლის საჭიროებას.

14. 1927-28 წლის არა ხელსაყრელმა პირობებმა გავლენა იქონიეს საექსპორტო პრობლემაზე. 1927-28 წლის საგარეო ვაჭრობის ბალანსი შესრულებულია პასიური სალდოთი. შინაური ბაზრის მდგომარეობა ამ უკანასკნელ წლებში არ გვაძლევდა საშუალებას გაგვეძლიერებია ექსპორტი სოფლის მეურნე-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვერდზე

ერთსულოვნად მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის

ცეკას პლენუმის შედეგები

(„პრავდა"-ს მეთაური წერილი)

უკანასკნელ ხანებში უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა მოიპოვეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა, რომლებსაც ესწრებიან ცენტრ. საკონტროლო კომისიის წევრებიც, ჩვენი პარტიის, სახალხო მეურნეობის, პროფკავშირების და სხვა ორგანიზაციების ბევრი ხელმძღვანელიც. ეს პლენუმები არსებითად წარმოადგენენ ერთგვარ კონფერენციებს; ამ კონფერენციებზე ისმება უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომლებიც სწყვეტენ საბჭოთა სახელმწიფოს ბედ-იღბალს, ამაგრებენ პარტიას, და ხელს გვიწყობენ, რომ წინ წავწიოთ სოციალისტური მშენებლობის საქმე. იგივე ითქმის ც. კ.-ის ნოემბრის პლენუმის შესახებაც; მან დასვა 1928-29 წლის საკონტროლო ციფრების საკითხი, შვიდი საათის სამუშაო დღის პირველი შედეგებისა და შემდგომი გატარების საკითხი, მუშების მიზიდვისა და პარტიის ზრდის მოწესრიგების საკითხი, მან მოისმინა, ჩრდილოეთ - კავკასიის საოლქო კომიტეტის მოხსენება სოფლად მუშაობისა და მიწათ-მოქმედების განვითარებისათვის საჭირო ზომების შესახებ, მან დასვა და გადასჭრა სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მიმდინარე ეპოქის—ქალაქად და სოფლად საბჭოთა მეურნეობის რეკონსტრუქციის ეპოქის—ძირითად ხასიათთან.

1928-29 წლის საკონტროლო ციფრების განხილვას წინ უძღოდა ამ ციფრების გულდასმით დამუშავება სახელმწიფო საგეგმო კომისიაში, სახ. კომისარიატში და პარტიულ პრესაში. ეს საკონტროლო ციფრები შეეხება მთელ სახალხო მეურნეობას. 1928-29 წლის ციფრებს ახასიათებს, უწინარეს ყოვლისა ის, რომ პირველ რიგში დაყენებულია მსხვილი მრეწველობის ხელმძღვანელი როლი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში. პარტია ფიქრობს, რომ შავი ლითონის მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, ელექტრომშენებლობის და ქიმიური მრეწველობის განვითარებისაგან მჭიდროდ არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისა და მექანიზაციის შესაძლებლობა, რომ საწარმოო საშუალებათა წარმოების ხვედრითი წონის სისტემატიური გადიდება და მასთან ერთად სასოფლო - სამეურნეო წარმოების კოლექტიური ფორმების (კოლექტიური მეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი და სხვ.) ზრდა „წარმოადგენენ ქვეყნის შემდგომი განვითარების აუცილებელ პირობებს".

ინდუსტრიის განვითარების ტემპის საკითხი ჩვენი ქვეყნისათვის მეტისმეტად მნიშვნელოვანი საკითხია. ც.-კ.-ის პლენუმი ერთსულოვნად იცავს იმ აზრს, რომ „საზოგადოდ ინდუსტრიის და განსაკუთრებით, საწარმოო საშუალებათა წარმოების განვითარების სწრაფი ტემპი წარმოადგენს ძირითად საფუძველსა და იარაღს მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის გარდასაქმნელად სოციალისტური მშენებლობის ნიადაგზე". ჩვენი ქვეყნის მთელი ძალღონისა და საშუალებათა უდიდესი დაძაბვის მიუხედავად, საბჭოთა სახელმწიფო კაპიტალურ მუშაობისათვის 1928-29 წელს მრეწველობაში აბანდებს 1.650. მილიონ მანეთს — 300 მილიონით მეტს, ვიდრე შარშან. ეს ფაქტი აბათილებს ყოველგვარ ლაპარაკს იმის შესახებ, რომ ჩვენ ძალიან ნელი ტემპით მივიწევთ ინდუსტრიალიზაციის გზით. ასეთ სწრაფ ტემპს გვეკარნახებს ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობაც, ჩვენი მეურნეობის ჩამორჩენილობაც, სოფლის მეურნეობის, მეტადრე მარცვლეული მეურნეობის, მეტის-მეტი ჩამორჩენილობაც. პლენუმმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ „ინდუსტრიის ხანგრძლივი ზრდა ობიექტიურად შეუძლებელი ხდება, თუ სათანადოდ არ იზრდება სოფლის მეურნეობა". ამ ამოცანის მიხედვით, პლენუმმა ყურადღება მიაქცია მძიმე ინდუსტრიის იმ დარგებისა და იმ საწარმოთა სწრაფი და გაძლიერებული განვითარების საჭიროებას, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ სოფლის მეურნეობის გადახალისებასა და გაძლიერებას. პლენუმი ამასთანავე ემყარება იმ აზრს, რომ „სოფლის მეურნეობა მრეწველობის ბაზაა და მისი ზრდა ნიშნავს ინდუსტრიალიზაციის სასურსათო და ნედლეული ბაზის ზრდას".

პარტია ამოცანად ისახავს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მისი რეკონსტრუქციის უფრო სწრაფ ტემპს. ამ მხრით მე-15 ყრილობისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. ახალ მარცვლეულ მეურნეობათა ორგანიზაციის ამოცანამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ კომუნისტური პარტია მტკიცედ დაადგა არა მარტო ჩვენი მრეწველობის, არამედ აგრეთვე სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის გზას. ჩრდილოეთ - კავკასიის საოლქო კომიტეტის მოხსენებამ სოფლად მუშაობისა და მიწათ-მოქმედების გაძლიერებისათვის საჭირო ზომების შესახებ, ისევე, როგორც მოხსენებამ საკონტროლო ციფრების შესახებ, საშუალება მისცა ც. კ.-ის წევრებს და მთელ პარტიას, ღრმად და ფართოდ დაესვათ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანები. თუ ჯერ კიდევ მცირე ხანს წინათ გლეხურ ინდივიდუალურ მეურნეობათა ზღვაში ოდნავ დასანახ კუნძულად მოსჩანდნენ კომუნები, და სხვა კოლექტიური მეურნეობანი, ახლა მარტო ჩრდილოეთ - კავკასიაში კოლექტიურ მეურნეობებად გაერთიანებულია 800.000 მეურნეობა. სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორი მარტო რიცხობრივად არ იზრდება; თვისებრივად უმჯობესდება მისი პროდუქცია, კოლექტიური მეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი თავიდან იშორებენ პირველ წლების დეფექტებს და უკანასკნელ წელს წარმოშობილ ახალ ბუმბერაზულ საბჭოთა მეურნეობებთან ერთად მძლავრ იარაღად ხდებიან ინდივიდუალური სასოფლო მეურნეობის გარდაქმნისათვის, მისი კოლექტივიზაციისათვის, მისი აყვანისათვის უფრო მაღალ ტექნიკურ საფეხურზე. მეტის-მეტად საინტერესო მოხსენებანი, რომლებიც უხვ მასალას გვაძლევენ უაღრესად ცოცხალ, კონკრეტულ მასების შემოქმედებითი ენერგიის გამაძლიერებელ პროპაგანდისა და აგიტაციისათვის, გვიდასტურებენ, თუ რა უდიდესი წარმატებანი მოელის პარტიას ამ გზაზე, უკეთუ იგი ამ საქმისაკენ მიიზიდავს პარტიის (და კომკავშირის) ყველა წევრის, მთელი მუშათა კლასის და გლეხობის ძირითადი მასის საჭირო ყურადღებას.

ჩვენს წინაშე დასახულია თუმცა ძნელი, მაგრამ სავსებით განსახორციელებელი ამოცანები. ერთ უახლოეს ამოცანას წარმოადგენს მოსავლიანობის გადიდება. გამოცდილებით, ციფრებითა და ფაქტებით ჩვენ შეგვიძლია დავანახვოთ გლეხობას, რომ სხვადასხვა უმარტივეს ღონისძიებათა განხორციელება (მაგრამ ერთსულოვანი, ენერგიული განხორციელება) საშუალებას მოგვცემს, რომ უახლოეს ორსამ წელიწადში თვალსაჩინოდ გავადიდოთ მოსავლიანობა არა მარტო საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში, არამედ ინდივიდუალურ სასოფლო მეურნეობებშიც. მართალია, პარტია პირველ რიგში აყენებს სოფ. მეურნეობის სოციალისტური სექტორის ზრდის ხელის შეწყობას, მაგრამ ეს ერთს წუთსაც არ შეუძლია დაივიწყოს, რომ საჭიროა დახმარება აღმოეჩინოს ღარიბ და საშუალო გლეხობის ინდივიდუალური სასოფლო მეურნეობის განმტკიცებას. ამიტომ პარტია ყოველნაირად დაეხმარება გლეხურ მეურნეობას, რომ საუკეთესოდ მოწესრიგდეს სოფლის მომარაგება, საქონლით, განმტკიცდეს ფულის სისტემა, გამოსწორდეს ის დეფექტები და შეცდომები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის დროს, გამაგრდეს რევოლუციონური კანონიერება სოფლად და განხორციელდეს ის ღონისძიებანი, რომლებსაც შეუძლიათ გააუმჯობესონ და მაღალ საფეხურზე აიყვანონ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა.

ცხადზე უცხადესია, რომ ეს რთული და დიდი ამოცანები ახლა უნდა გადაიჭრას, ცხადია, რომ ეს არ არის რაღაც შორეული მომავლის პროგრამა. ამ საქმეს ხელი უნდა მოჰკიდოს მთელმა პარტიამ, დღესვე უნდა ჩავაბათ ამ საქმეში მუშათა და გლეხთა უფართოესი მასები; ამ თვალსაზრისით პლენუმმა განიხილა და გადასჭრა მუშების მიზიდვის საკითხი, პარტიის ზრდის მოწესრიგების საკითხი. საკითხი ასე სდგას: შეუძლია თუ არა პარტიას დღევანდელი სახით, წარმატებით გაუძლოს მის წინაშე დასახულ ყველა ამოცანას.

ხომ არ საჭიროებს იგი პროლეტარული კადრის გაძლიერებას? იქნებ ამ ამოცანის უფრო ნაყოფიერი შესრულებისათვის საჭირო იყოს მისი რიგების გაწმენდა სოციალურად უცხო, მიტმასნებული, გაბიუროკრატებული და გახრწნილი ელემენტებისაგან? პარტია ამოცანად ისახავს, რომ უახლოეს ორ წელიწადში მუშათა რიცხვი პარტიაში საერთო შემადგენლობის 80 პროცენტამდე მაინც აიყვანოს, რომ წარმოებაში მომუშავე მუშების (დაზგის) რიცხვი 50 პროცენტზე ნაკლებს არ შეადგენს. ამას გვეკარნახებს ისიც, რომ მთელი მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა უმაღლესი ტექნიკის საფუძველზე შეუძლებელია, თუ შესაფერად არ გაძლიერდა ძირითადი პროლეტარული კადრი. მსხვილი მრეწველობის გაძლიერებული როლი პარტიისაგან მოითხოვს, რომ მან თავისი შემადგენლობა გააძლიეროს ჩვენი მრეწველობის უდიდეს საწარმოოთა მოწინავე მუშებით, რომლებსაც საწარმოო სტაჟი აქვთ და გავლენას ახდენენ მასებზე. პროლეტარიატის კომუნისტური ავანგარდის, სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელის ძნელი, პასუხსაგები როლი დაჟინებით მოითხოვს პარტიისაგან, რომ მან უფრო მეტი სიმტკიცე მისცეს პარტიის რიგებს, რომ ულმობლად გასწმინდოს თავისი რიგები ყველასაგან, ვინც შემთხვევით მიეკედლა მას, გაწმინდოს გაბიუროკრატებულ ელემენტებისაგან, რომლებიც წვრილ - ბურჟუაზიული სულიერი განწყობილების ტყვეობაში იმყოფებიან, რომლებიც გვღალატობენ მძიმე მომენტებში, სწორედ იმ დროს, როცა საჭიროა რკინის ხელით განვახორციელოთ პარტიის გადაწყვეტილებანი და შევებრძოლოთ ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებს.

პარტია განაგრძობს მე-15 ყრილობის ხაზს და მტკიცედ სდგას სოფლის კულაკური ელემენტების წინააღმდეგ მიმართული სოციალისტური შეტევის გზაზე. ასეთ პირობებში იგი უკვე სხვა მოთხოვნილებებს უდგენს სოფლის კომუნისტებს. პარტიას არ ესაჭიროება ისეთი წევრები, რომლებიც ხელს იღებენ კლასობრივ ბრძოლაზე და მხოლოდ ლაყბობენ კოლექტიური მეურნეობის შესახებ, განზე დგანან ამ მეურნეობისაგან; ტიპიურ წვრილ მესაკუთრეებად ხდებიან და რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ ბოლშევიკ-კომუნისტების პარტიასთან.

აი რატომ არის, რომ ამ ძირითადი ამოცანის გადაჭრასთან ერთად, პარტიის პროლეტარული კადრების გაუმჯობესებასთან და გაძლიერებასთან ერთად, პარტიის გაწმენდა სოფლად და ქალაქად უნდა დაგვეხმაროს — თავიდან მოვიშოროთ დემოკრატიზმისა და გახრწნის ის ელემენტები, რომლებიც ხელს უშლიან სოციალიზმის წინსვლას. ამ პირობებში და ამ თვალსაზრისით ბიუროკრატიზმთან ბრძოლას განსაკუთრებული დიდი მნიშვნელობა ეძლევა. ამავე თვალსაზრისით პარტიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს უფრო ძლიერად დაკავშირებას უპარტიო მასებთან, უპარტიო პროლეტარულ აქტივთან სოფლად და ქალაქად, უნდა გააძლიეროს ის სექტორები ჩვენი პარტიის შემადგენლობაში, რომლებიც განსაკუთრებულად ჩამორჩენილნი არიან — მუშა-ქალების, სასოფლო - სამეურნეო მუშების, მოჯამაგირეების და მოჯამაგირე ქალების სექტორი.

ამ ამოცანების შესრულება შეუძლებელი იქნება, თუ გადამწყვეტ ბრძოლას არ გამოუცხადებთ ყოველგვარ ცდას, რომელიც მიზნად დაისახავს— გადაახვევინოს პარტიას მის მიერ არჩეული გზიდან. პარტია ძველებურად სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევს ტროცკისტების ყოველგვარ ცდას გახრწნან პარტიის რიგები.

მაგრამ ამ აშკარად მენშევიკური ორგანიზაციასთან პარტიამ უნდა აწარმოოს არა მარტო ორგანიზაციული ბრძოლა, მან უნდა დაამარცხოს იგი იდეოლოგიურადაც, უნდა ჩაჰკლას ყოველი მისი ცდა, მიმართული იქითკენ, რომ გამოიყენოს ჩვენი სიძნელენი. პარტიამ უნდა ნათელჰყოს, რომ ტროცკისტების იდეები და მათი ბრძოლის მეთოდები არაფრით არ განსხვავდებიან მენშევიკების იდეებისა და მეთოდებისაგან. მაგრამ პარტიამ ისიც უნდა იქონიოს მხედველობაში, რომ კლასობრივი ბრძოლის გამწვავება სოფლად და ქალაქად წარმოადგენს პროლეტარიატის სოციალისტური შეტევის აუცილებელ პასუხს. სიძნელენი ამ გზაზე ჩვენი პარტიის ცალკე ამხანაგებში იწვევენ მერყეობას და გადახრას არა მარტო ტროცკიზმისაკენ. ის, რომ ჩვენი პარტია გარშემორტყმულია წვრილ - ბურჟუაზიული სტიქიით, ის, რომ წვრილ - ბურჟუაზიული სტიქია ეუფლება ჩვენი პარტიის ცალკე ნაწილებს, ყოველივე ეს იწვევს იმას, რომ ჩვენი ამხანაგების ნაწილი ცდილობს წავიდეს ამ წვრილ - ბურჟუაზიული სტიქიისადმი შეგუების გზით, რაც მემარჯვენე გადახრის საფრთხეს წარმოშობს ჩვენი პარტიის რიგებში.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა თავის რეზოლიუციაში საკონტროლო ციფრებისა და პარტიაში მუშების ჩაბმის შესახებ ხაზგასმით აღნიშნა სასტიკი იდეოლოგიური ბრძოლის აუცილებლობა მემარჯვენე გადახრასთან ჩვენი პარტიის რიგებში და ეს ბრძოლა დღევანდელი მომენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანად გამოაცხადა. მტკიცე და მკაფიო კლასობრივი ხაზი სოფლად მუშაობაში. ინდუსტრიალიზაციის კურსის მტკიცე გატარება, სოფლად და ქალაქად წინააღმდეგობის გაწევა ყოველი ისეთი ცდისათვის, რომელიც მიზნად დაისახავს კლასობრივი ბრძოლის ჩაჩრდილვის და ჩაფუჩეჩებას, მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებისათვის გვერდის ავლას (მე-14 ყრილობისაკენ დაბრუნება), კულაკური მეურნეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობას, — აი ის მთავარი ამოცანები, რომლებიც სდგანან ჩვენს წინაშე მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის საქმეში. ეს ამოცანები მოითხოვენ შინაპარტიული დემოკრატიის და თვითკრიტიკის გაშლა-გაფართოვებას, სასტიკი ბრძოლის გაძლიერებას ყოველგვარ ბიუროკრატიულ თვალთმაქცობასთან. პლენუმმა გადაჭრით დაგმო აგრეთვე შემარიგებლობა ამ ბრძოლაში ისევე, როგორც გმობს იგი მემარჯვენე გადახრას. ჩვენ სრული კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ პლენუმმა ამრიგად სავსებით დაადასტურა პარტიის ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პოლიტბიუროს ხაზის სისწორე ამ საკითხში.

დასასრულ, ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა მოხსენება შვიდი საათის სამუშაო დღის გატარების პირველი შედეგებისა და მისი შემდგომი განხორციელების შესახებ. პარტიას ვერ წარმოუდგენია მეურნეობის რეკონსტრუქცია იმის გარეშე, რომ მასები ფართოდ არ იქნენ ჩაბმულნი სოციალისტური მშენებლობის პროცესში, ამ მასების კეთილდღეობის ზრდისა და შვიდი საათის სამუშაო დღის სისტემატიური გატარების გარეშე, ეს პირობები ისევე აუცილებელია ჩვენი მეურნეობის წარმატებითი რეკონსტრუქციისათვის, როგორც აუცილებელია მუშათა და გლეხთა ფართო მასების კულტურული დონის ამაღლება „სოციალისტური მშენებლობის მუშაკთა კადრის შემადგენლობის გადამწყვეტი ხარისხობრივი გაუმჯობესებისათვის".

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთხმად მიიღო ყველა ეს გადაწყვეტილება, ისევე, როგორც ერთსულოვანი იყო პოლიტბიუროც, რომელმაც შეიტანა ეს წინადადებანი ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის მშენებლობის შემდგომი წარმატებისათვის. ეს ერთსულოვნება იმის თავდებია, რომ პარტია შეასრულებს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს. რომელთა ძირითადი აზრია: თანხმობა და სიმტკიცე მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის.

მოსკოვი, 25 ნოემბერი.

სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მე-7 ყრილობა

საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები

ამხ. გ. ყურულაშვილის მოხსენება

რა გაკეთდა მრეწველობის დარგში

საქართველო, — ამბობს მომხსენებელი, — საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მიუხედავად მრავალი ბუნებრივი სიმდიდრისა, რომელიც მას გააჩნია, მაინც იმყოფებოდა სამრეწველო განვითარების პირველ საფეხურებზე. ძველად ეს აიხსნებოდა მეფის მთავრობის კოლონიალური პოლიტიკით. მეფის მთავრობას არ უნდოდა, რომ განაპირა ქვეყნებში მოწყობილიყო ფაბრიკა-ქარხნები, ჩვენი ნედლი მასალა გაქონდათ რუსეთის შიდა გუბერნიებში და იქ ამუშავებდენ,

ომმა უფრო დასცა ჩვენი მრეწველობა.

მენშევიკები არ ზრუნავდნენ ქვეყნის მეურნეობის აღდგენაზე და მრეწველობა მათ დროს მძიმე კრიზისს განიცდიდა.

საბჭოთა ხელისუფლება მიზნად ისახავს მრეწველობის განვითარებას, ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მრეწველობის შექმნას განაპირა ადგილებში, ნაციონალურ რესპუბლიკებში.

ჩვენი მრეწველობის ზრდა

რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი მრეწველობა? ომის წინა დროსთან შედარებით მრეწველობის ხვედრითი წონა საქართველოს სახალხო მეურნეობაში სამჯერ გაიზარდა. ამისდა მიხედვით გაიზარდა მრეწველობის საერთო პროდუქცია, რომელმაც 1927-28 წლისათვის მიაღწია 64.300.000 მანეთს.

ცენზიან მრეწველობაში, 1928-29 წლისათვის კი გათვალისწინებულია, რომ მიაღწევს 91.700.000 მ.—26-27 წლების უცვლელ ფასებში და 85.700.000 მან. თანამედროვე ფასებში.

ჩვენში მრეწველობის განვითარების ტემპი უფრო ჩქარი იქნება, ვიდრე სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში.

ამის მიზეზია, ის გარემოება, რომ ჭიათურა, რომელიც აქამდე თითქმის გაჩერებული იყო,, წელს შევა მთელი მრეწველობის საერთო ქსელში.

ამასთან მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც ეხლა აღმშენებლობის პროცესში იმყოფება. წელს დაიწყებენ მუშაობას, ამიტომ ჩვენი მრეწველობის საერთო პროდუქცია უნდა გაიზარდოს 33,2 პროცენტით, მაშინ, როდესაც საკავშირო საკონტროლო ციფრებით საერთო პროდუქციის ზრდა გათვალისწინებულია 19 პროცენტით.

1927-28 წ. სამრეწველო პროგრამა შესრულებულ იქნა 93 პროცენტით. თუ ავიღებთ ცალკე საწარმოებს, ზოგიერთებმა კიდევაც გადააჭარბეს პროგრამას, ხოლო ზოგიერთებმა ის ვერ შეასრულეს. ამის მიზეზს მე შევეხები მაშინ, როდესაც ცალკე საწარმოებზე ვილაპარაკებ. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მთლიანად ვერ განხორციელდა, გასული წლის პროდუქციის რაოდენობა გაიზარდა 23 პროც., რაც უსწრებს საბჭოთა კავშირის მრეწველობის საშუალო ზრდას. ცხადია, თუ იზრდება ცენზიანი მრეწველობის საერთო პროდუქცია, იზრდება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საწარმოთა პროდუქციაც.

1926-27 წ. ს. მ. უ. ს. ტრესტების საწარმოებმა მოგვცეს 20.758.000 მანეთის პროდუქცია, 1927-28 წ. 25.936.000 მანეთის, ხოლო 28-29 წლისათვის ნავარაუდევია, რომ მივიღებთ 45.800.000 მანეთის პროდუქციას.

სოციალისტური სექტორის წარმატება

როგორი ადგილი უჭირავს კერძო მრეწველობას ჩვენს რესპუბლიკაში? ჩვენში კერძო მრეწველობა თანდათან უთმობს ადგილს სოციალისტურ მრეწველობას. 25-26 წ. განსაზოგადოებული მრეწველობის საერთო პროდუქცია უდრიდა 46 მილ. 400 ათ. მან., ხოლო კერძო —7.200.000 მ., 26-27 წ. სათანადო ციფრები ასეთია: 49.600.000 მ. და 4.600.000 მ., ხოლო 27-28 წ. —61.600.000 და 2.600.000 მ.

სოციალისტური სექტორი სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ და ეს წინსვლა მომავალ 28-29 წელში მოგვცემს უფრო დიდ ეფექტს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ღონისძიებებს, რომლებიც ჩვენ მიერ იქნება გატარებული მომავალ წელში, უნდა ვიფიქროთ, რომ კერძო წარმოება სოციალისტურ სექტორთან შედარებით არარაობამდე იქნება დაყვანილი. სოციალისტურ სექტორის საერთო პროდუქცია 85.000.000 მიაღწევს, ხოლო კერძოსი დაყვანილი იქნება 600.000 მან. შემდეგშიაც ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რომ სოციალისტური სექტორი გავაძლიეროთ კერძო მეურნეობის ხარჯზე.

ბუნებრივი რესურსები

სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივების განხილვისას საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ის რესურსები, რის პატრონი ვართ და ამისდა მიხედვით მოვკიდოთ ხელი ამა თუ იმ დარგებს.

ჩვენ მოგვეპოვება ისეთი ძირითადი ნედლეული მასალები, როგორც არის მარგანეცი, ტყვარჩელის ქვა - ნახშირი, გვაქვს აგრეთვე ტყიბულის ქვა-ნახშირიც, რომლის ამოღების გაფართოება მოსახერხებელია, შესაძლებელია უკეთესად დავამუშაოთ სხვა სამთო-მადნო დარგებიც. ჩვენში შესაძლებელია აგრეთვე სამთო-ქიმიური მრეწველობისა და ტყის დამუშავების საუკეთესო პირობებში ჩაყენება. ჩვენში ტყე მაღალი ღირსებისაა, და ამიტომ მხოლოდ საამშენებლო მასალად მისი გამოყენება არ იქნება მიზანშეწონილი. ტყის გადამუშავებას დიდი პერსპექტივები აქვს.

ამ ძირითად დარგებს გარდა, ჩვენი მრეწველობის განვითარება უნდა ემყარებოდეს ისეთ დარგებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ სასოფლო მეურნეობის გარდაქმნას, ინდუსტრიალიზაციას, გააუმჯობესებენ სოფლად ტეხნიკურ კულტურებს, როგორიცაა: თამბაქო, მატყლი, გემო-კვების წარმოება, აბრეშუმი და სხვა საჭირო საამშენებლო მასალები.

აქეთკენ უნდა იქნეს ჩვენი ყურადღების ცენტრი გადატანილი.

ამ დარგების განვითარების თავდებია პირველყოვლისა მდიდარი ჰიდრო-ელექტრონული ენერგია, რომელიც მოგვეპოვება, და ამ მხრივ ჩვენში შეიძლება უფრო უკეთესი პირობები იყვეს, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა ნაწილებში.

რა გვიშლის ხელს

მაგრამ თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციების გასულ წლების მუშაობას, დავინახავთ, რომ ჩვენში მუშაობას თან ახლავს მრავალი ნაკლი. ეს ბევრად აიხსნება იმით, რომ ჩვენ ჯერ-ჯერობით საწარმოვო მუშაობისათვის ძალიან ახალგაზრდანი ვართ, არ გვაქვს შესაფერი წარმოებითი ტრადიცია და გამოცდილება, არ გვყავს მრეწველობისათვის საჭირო მომზადებული ხელმძღვანელები, არ გვყავს დახელოვნებული სპეციალისტები, არ გვყავს არც მცოდნე მუშათა საკმაო კადრი, რის გამოც ჩვენ მრეწველობას არ შეუძლია ხშირად მოგვცეს მაქსიმალური ეფექტი. ამას გარდა, ჩვენი ძველი საწარმოო ერთეულები, გარდა თამბაქოს მრეწველობისა, ტეხნიკის მხრივ პრიმიტიულად არიან მოწყობილი. და ამის გამო გასაკვირი არ არის, თუ სუსტადაა დაყენებული ჩვენში მრეწველობა. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ჩვენს მრეწველობას არ გააჩნია საკმაო რაოდენობით საბრუნავი თანხები, რაც აშკარაა, ხელს უშლის მუშაობის გაფართოებას და სათანადო დონეზე დაყენებას. აგრეთვე ზოგიერთი ძველი ქარხნები უზრუნველყოფილი არ არიან ნედლი მასალით.

მიმდინარე წელში უნდა მოხდეს საგრძნობი გარდატეხა და დავძლიოთ ყველა ეს ნაკლოვანებანი.

ასეთია აღებული ხაზი და ამ ხაზის გატარებას პარტიის ხელმძღვანელობით ხელი უნდა შეუწყონ პროფესიონალურმა კავშირებმა და მთელმა მუშათა კლასმა.

ელექტრო - მშენებლობა

გადავდივარ ცალკე დარგებზე. პირველ ყოვლისა შევეხები ელექტროფიკაციას, ვინაიდან ეს დარგი არის საფუძველი ჩვენი მრეწველობის განვითარებისა, მასზე უნდა დაეყრდნოს ჩვენი სამრეწველო აღმშენებლობა.

აქ მიღწევები აშკარაა.

აშენებულია და ექსპლოატაციაში იმყოფება 2 ელექტრო სადგური: ზაჰესი და აბჰესი, ორი ელსადგური—რიონჰესი და აჭარჰესი მშენებლობის პროცესში იმყოფებიან. გამოკვლევა სწარმოებს სოხუმისა და მდ. გალისგაზე, რომ იქ აშენებული იქნეს ელექტრო-სადგურები.

აშენებულ ცალკე ელექტრო-სადგურებში ბევრ ნაკლს აქვს ადგილი. ზაჰესის ენერგიის 50 პროცენტი თუ გვაქვს გამოყენებული, ესეც ენერგიის მაქსიმალური ხარჯვის საათებში. ჩვენ რომ ვსთქვათ სადგური ავაშენეთ და ერთბაშად უნდა დავტვირთვოთქო, ეს შეუსრულებელი მოთხოვნის წამოყენება იქნებოდა. მაგრამ როცა უბრალო რამე არ კეთდება, როგორიცაა, მაგ., ელექტრო-ენერგიის მიწოდება ბინებზე, როცა მის გაყვანას თვეობით უნდებიან,. ეს ყოვლად შეუწყნარებელი მოვლენაა. ჩვენ არა გვაქვს აგრეთვე მოწესრიგებული ელექტრო-ენერგიის ყოფა-ცხოვრების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გამოყენება. ვერ შევძელით დღევანდლამდე, რომ ელექტრო-ენერგია გაგვეხადა შეშისა და ნახშირის კონკურენტად, ამისათვის საჭიროა ხარჯები, ცალკე მთვლელების დასადგმელად და სხ.

პირდაპირ დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ რკინის გზამ დღევანდლამდე ვერ მოახერხა ზაჰესის ენერგიაზე გადასვლა ახლობელ სადგურებზე. ეს ნაკლი უნდა გამოვასწოროთ.

აბაშის ელექტრო-სადგური დატვირთვის მხრივ უკეთეს პირობებში იმყოფება. ორივე აგრეგატი ერთბაშად იღებს დატვირთვას. მოთხოვნილება ისე გაიზარდა, რომ ეხლა საკითხი სდგას მესამე აგრეგატის დადგმის შესახებ.

მუშაობა რიონჰესზე კარგად მიმდინარეობს, ამ წლისთვის გადადებულია 4 ნახ. მილიონი მანეთი რიონჰესის სამუშაოების საწარმოებლად, რაც საკმაოა.

ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობა ძვირი ჯდება და დღეს მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გაიაფებული იქნეს სადგურების მშენებლობა, კერძოდ ამ სიძვირემ შეაფერხა აჭარის წყლის სადგურის მშენებლობა. ეს დაბრკოლება უნდა დავსძლიოთ. აჭარისტანის ჰიდრო-ელსადგურის მშენებლობა ეხლა ს. მ. უ. ს.-ს გამგებლობაში გადმოვიდა. მეოთხე წელია, რაც ეს სადგური შენდება და დღესაც მთელი რიგი ტეხნიკური საკითხები არ არის დამუშავებული, ვინაიდან მშენებლობა უკვე უზრუნველჰყვეს საკავშირო ორგანოებმა საჭირო თანხებით, ჩვენ მოვალეობას შეადგენს დავძლიოთ ყველა სიძნელენი, რომლებიც ამ სადგურის შენებას აჭიანურებენ.

ტყვარჩელის ქვა-ნახშირი

ბევრი ლაპარაკია ტყვარჩელის ქვა-ნახშირის შესახებ, რომელიც უსათუოდ დიდი ყურადღების ღირსია, რადგან ეს ქვა-ნახშირი იძლევა კოქს, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენი მრეწველობისათვის. ტყვარჩელის ქვა-ნახშირის დამუშავებას შეუძლია დიდი გარდატეხა გამოიწვიოს ა.-კ. და კერძოდ საქართველოს მრეწველობაში და ამავე დროს დიდი დახმარება გაუწიოს კავშირის მეტადრე კერჩის ქარხანას, რომელსაც ის ყოველწლიურად მისცემს 48-50 მილიონ ფუთ კოქს. ჩვენ ვაწარმოებთ წინასწარ გამოკვლევითი მუშაობას, დამთავრებულია ხუთ წლიანი პერსპექტიული გეგმის შედგენა, არის შედგენილი ერთი მაღაროს აგების პროექტი, რკინის გზის პროექტი, მოხდენილია ცდები კოქსის ღირსების გამოსაკვლევად და სხვა. წელს მუშაობის დაწყება ბრკოლდება იმიტომ, რომ პირველი პროექტით რამდენიმე მილიარდი ფუთი ქვა-ნახშირი იკარგება, ამიტომ საჭირო შეიქნა მეორე და მესამე ვარიანტის შედგენა. ტყვარჩელის ქვა-ნახშირის წარმოების ორგანიზაცია დიდძალ თანხებს მოითხოვს, თითქმის 50 მილიონ მანეთს. ცხადია, ჩვენ აქ უნდა გამოვიჩინოთ განსაკუთრებული სიფრთხილე და მუშაობას შეუდგეთ საქმის ყოველმხრივ შესწავლის შემდეგ.

ჭიათურის მრეწველობა

მიმდინარე წლის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ჭიათურის მრეწველობის მოწესრიგება. კონცესიონერის ხელში ჭიათურის მაღაროების მდგომარეობა გაუარესდა და ექსპორტი მეტის-მეტად შემცირდა. შემცირდა აგრეთვე წარმოებაში დაბანდებულ მუშა-ხელის რიცხვი. საშუალოდ მუშების რიცხვი წლიურად აღწევდა 1,500 კაცს. ხოლო უკანასკნელად, როდესაც კონცესია ჩვენს ხელში გადმოვიდა, მუშების რიცხვი უდრიდა 400 კაცს, მოსამსახურეების კი 250—300-ს.

ამჟამად ჩვენი ჭიათურაში მუშაობის პირობები მეტად ძნელია, ვიდრე ეს კონცესიამდე იყო. მარგანეცი საექსპორტო საქონელია და ჩვენ ეხლა მოგვიხდება უცხოეთში მომხმარებლების მოსაპოვებლად მაქსიმალური ენერგიის დახარჯვა, ჩვენ უნდა გაუწიოთ კონკურენცია მარგანეცის სხვა ქვეყნების ექსპორტიორებს, რათა განვამტკიცოთ ჩვენი მდგომარეობა საერთაშორისო ბაზარზე. ამ ბრძოლის დროს ჩვენ ის უპირატესობა გვაქვს, რომ ჩვენი მარგანეცი კარგი ღირსებისაა. მაგრამ სიძნელეს ის ჰქმნის, რომ ჭიათურის ქარხნების ტეხნიკური მოწყობილობა მეტად ჩამორჩენილია. ამ მხრივ კონცესიონერს მუშაობის პირობები უკეთესი ჰქონდა. ყოფილ კარუტის ქარხანას შეეძლო დღე-ღამეში 300.000 ფუთი შავი-ქვის გარეცხა, ეხლა ეს ქარხანა დამწვარია და ჩვენ მოგვიხდება ქვის გარეცხა მრავალ წვრილ და დანგრეულ ქარხნებში. ჩვენ მოგვიხდება დიდი მუშაობის ჩატარება ამ დაბრკოლებათა დასაძლევად.

ეს დაბრკოლებები უნდა გადავლახოთ და ჭიათურაში შევქმნათ ისეთი პირობები, რომ ჩვენი ჩამორჩენილი ტეხნიკის საშუალებით პირველ ხანებში მაინც დავსძლიოთ ყოველივე წინააღმდეგობანი. ამხანაგებმა უნდა იცოდენ, რომ ეს მუშაობა საჭიროა სწარმოებდეს მონოპოლიური გზით, ჩვენი ტრესტის მიერ. კერძო მრეწველობა ჭიათურაში დამთავრებულად უნდა ჩავთვალოთ. კონცესიონერის წასვლის შემდეგ გადაწყდა კერძო მრეწველების ბედიც და ისინი ჭიათურაში ველარ დაუბრუნდებიან მუშაობას.

დღეს მარგანეცის მოთხოვნილება მსოფლიო ბაზარზე 3 მილიონ ტონას აღწევს. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში ჩვენ თვალსაჩინო ადგილი უნდა დავიკავოთ. ჩვენ უნდა ვეცადოთ ჯერ-ჯერობით აღვადგინოთ ჩვენი მდგომარეობა, რომელიც 1913 წელს გვეკავა, და შემდეგ კი უფრო გავადიდოთ მარგანეცის ექსპორტი.

არსებულ პირობებში, როცა შავი-ქვის ამოღების ტეხნიკა სათანადო სიმაღლეზე დაყენებული არაა, ჩვენ ძლიერ გაგვიჭირდება ამოღების საგრძნობლად გადიდება. ჩვენთვის საჭიროა მაღაროების მოწყობა ტეხნიკის ახალი მოთხოვნილების მიხედვით, საჭიროა აგრეთვე მოვაგვაროთ შავი ქვის გარეცხის საკითხი. დღეს გარეცხვის დროს წყალში იკარგება მადნეულის 40 პროც., საჭიროა მოხდეს ჭიათურის მაღაროების სამუშაოების ელექტროფიკაცია, საჭიროა მოეწყოს ტრანსპორტის საქმე. დღეს შავი ქვის გადმოზიდვა ჭიათურაში მოგვარებული ვერაა. ჩვენ ამ მხრით უმთავრესად გლეხებზე ვართ დამოკიდებული. თუ მოესურვებათ სამუშაოებზე გამოსვლა, ხომ კარგი, თუ არა—მოკლებული ვართ საშუალებას, რომ მაღაროებიდან ქვა ჩამოვზიდოთ ჭიათურაში. გარდა ამისა, ურმებით გადმოზიდვა ძვირი ჯდება. მაგალითად, მაღაროებიდან ჭიათურის სადგურამდე ერთი ტონა შავი ქვის მოზიდვა გვიჯდება 12 მან., მაშინ, როცა ჭიათურიდან ფოთამდე დატვირთვა-გადმოტვირთვით, რკინის გზით, გვიჯდება 10 მ. ეს ძლიერ აძვირებს მარგანეცის თვითღირებულებას, რაც აფერხებს მისი ექსპორტის საქმეს.

მარგანეცის საკითხთან დაკავშირებულია აგრეთვე ფერო-მარგანეცის დამუშავება. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ავაგოთ საქართველოში მძლავრი ფერო-მარგანეცის ქარხანა. ამისთვის ჩვენ გვაქვს ყველა დამხმარე საშუალება, გვაქვს „თეთრი ნახშირი", მარგანეცი და სხვა. მარგანეცის გადამუშავებას ფერო-მარგანეცად დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ბევრად უფრო ხელსაყრელი იქნება აქედან ფერო-მარგანეცის ექსპორტი, ვიდრე ნედლი მასალისა.

ტყიბულის მაღაროები

სამთო მრეწველობაში ჭიათურის შემდეგ მნიშვნელოვანია ტყიბულის ქვა ნახშირის მაღაროები. მაგრამ საქმე ამ მაღაროებში ვერაა დაყენებული რიგიანად. შესამჩნევად დაეცა შრომის ნაყოფიერება. შრომის დისციპლინა ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. ყველაფერ ამას შედეგათ მოჰყვა ის, რომ გასულ სამეურნეო წელს ტყიბულის მაღაროებმა თავისი მუშაობა დეფიციტით დაამთავრა (დეფიციტი 200.000 მანეთს შეადგენს).

ტყიბულის მაღაროებში აუცილებლად საჭიროა ახალი წესით დავიწყოთ მუშაობა, რომ იაფი ნახშირი მივიღოთ. ეხლა ჩვენ ვაწარმოებთ მუშაობას მაღაროების რეკონსტრუქციისათვის და ახალი მაღაროების გასაყვანად ტეხნიკის მიღწევების მიხედვით, რისთვისაც წელს გადადებულია 500.000 მანეთი.

შეიძლება ზოგიერთმა ამხანაგებმა იკითხონ, მიზანშეწონილია თუ არა ამდენი ფულის დახარჯვა ტყიბულის მაღაროებზე, მას შემდეგ, რაც ტყვარჩელის ქვა-ნახშირს ასეთი დიდი პერსპექტივები აქვს, მით უმეტეს, რომ ქვა-ნახშირის მარაგი ტყიბულის იმ მაღაროებში, სადაც ეხლა მიდის მუშაობა, არც თუ ისე დიდია—უეჭველად მიზანშეწონილია ასეთი ტყიბულის მაღაროების ახალ ნიადაგზე მოწყობა, ვინაიდან მომავლისთვის ჩვენ განზრახული გვაქვს ტყიბულის ქვა-ნახშირი საწვავად ვიხმაროთ, ხოლო ტყვარჩელის ქვანახშირი, როგორც უმაღლესი ხარისხის, მოხმარდება კოქსის დამზადებას. ამნაირად ტყიბულის ქვა-ნახშირს მომავალი აქვს. მხოლოდ აუცილებელია ზევით აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა და მაღაროების ახალ ტეხნიკურ საფუძველზე გადაყვანა.

შემდეგ მომხსენებელი ჩერდება ბარიტის ინფუზორიტის, ფლორიდინის, ბუტუმის და ლიტოგრაფიული ქვის წარმოებაზე, აღნიშნავს, ამ დარგებში არსებულ მდგომარეობას და მიუთითებს საჭირო ღონისძიებებზე, მათი განვითარებისათვის.

სატყეო მრეწველობა

სამთო მრეწველობის შემდეგ ჩვენში დიდი ადგილი უკავია და განვითარების შესაძლებლობა აქვს სატყეო მრეწველობას. თქვენ იცით, რომ ჩვენში განზრახული იყო ქაღალდის ქარხნის აგება, ამისთვის კიდეც იყო გადადებული საქმის დასაწყებათ 1.500.000 მან. მაგრამ ქარხნის აგება მაინც არ დაწყებულა, რადგან ქარხნის პროექტი არ გამოდგა ისეთი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მის აგებას შევსდგომოდეთ; თანაც მისმა ავტორებმა დაკარგეს ნდობა, ვინაიდან მათ დაუშვეს შეცდომები ქაღალდის სხვა ქარხნების აგების დროს კავშირში. პროექტის შედგენა გადაცემულია გერმანიაში, სადაც მივლინებულია ჩვენი წარმომადგენელი. ქარხნის აშენება დაიწყება ალბად მომავალ სამეურნეო წელში, პროექტის დამტკიცების შემდეგ საჭირო თანხები გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით. აგრეთვე მიმდინარეობს მუშაობა სატყეო ქიმიურ ქარხნის საბოლოო პროექტის შესადგენათ, აღმშენებლობისათვის საჭირო თანხა აქაც გათვალისწინებულია გეგმით.

სატყეო მრეწველობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ხე-ტყის გადასამუშავებელ და სახერხის ქარხნების მოწყობას. გასულ წლებში მთელი რიგი ქარხნები იქმნა აგებული. მიმდინარე წელსაც და მომავალშიაც განზრახული გვაქვს ავაგოთ მთელი რიგი ქარხნები. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენს ხე-ტყის სახერხ ქარხნებში წარმოება სათანადო სიმაღლეზე ვერაა დაყენებული, რის გამოც სატყეო ტრესტმა თავისი საოპერაციო წელიწადი ზარალით დაამთავრა. ამ ზარალის მიზეზებია: ტრესტის სუსტი ხელმძღვანელობა, დამამზადებელი აპარატის უვარგისობა და აგრეთვე ჩვენი ქარხნების სამუშაო ძალის გამოუცდელობა. მე მგონია, რომ სატყეო ტრესტს თავის ხელმძღვანელობა სათანადო სიმაღლეზე რომ დაეყენებინა, არა თუ ზარალი, არამედ ამ საქმეში მოგებაც კი გვექნებოდა.

ხე-ტყის დასამუშავებელ ქარხნებს შორის დიდი მნიშვნელობა აქვს ბორჯომის საკასრე ქარხანას. გასულ წელს ქარხანამ დაამზადა—400.000 კომპლექტი. წელს საწარმოო გეგმით განზრახულია დამზადდეს 600.000 კომპლექტი. მაგრამ ეს საკმარისი არაა. უნდა მივიღოთ ზომები, რომ ქარხანამ მოგვცეს არა ნაკლები 800.000 კომპლექტისა. მასალა ამისათვის საკმარისად მოგვეპოვება როგორც თითონ ბორჯომის რაიონში, ისე ქარელის რაიონში და სხვაგანაც. ასე, რომ ქარხანა ნედლი მასალით უზრუნველყოფილია. თუ ჩვენ შევსძლეთ წარმოების გაუმჯობესება,, ეს საქმე უეჭველად მომგებიანი გახდება.

რაც შეეხება მარელისის ავეჯეულობის ქარხანას, ის დიდი ხანია ლაპარაკის საგნათ არის გადაქცეული. მარელისის ქარხანამ გასულ წელში არ შეასრულა საწარმოო პროგრამა 30-40 პროც.-მდე ქარხანა გაჩერებული იყო. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ქარხანას ნედლი მასალა დროზე არ ეძლეოდა. არ ეძლეოდა აგრეთვე დამხმარე მასალა, ხელსაწყო და სხვა. მაგრამ რაც იყო, არც იმის გამოყენება იცოდენ. ამნაირად, წარმოების საქმე ცუდათ იყო დაყენებული, რაც იქიდან სჩანს, რომ სკამის თვითღირებულება 8 მანეთზე მეტს შეადგენდა, ხოლო ბაზარზე გასაყიდათ კი 6 მანეთად გამოქონდათ. ქარხანამ თავისი მუშაობა გასულ წელს 200 ათასი მანეთის ზარალით დაამთავრა. ამის გამო ჩვენ იგი გავაჩერეთ ერთ ნახევარი თვით, რომ მოგვეხდინა ქარხნის გადაკეთება, მასალის მომარაგება და სხვა.

ამ ქარხნის მუშაობას ბევრად უშლიდა ხელს ზოგიერთი ამხანაგების ადგილობრივი კუთხური „პატრიოტიზმი". თუ ადგილობრივი ამხანაგები დაგვეხმარებიან, ჩვენ შეძლება მოგვეცემა გავაუმჯობესოთ ქარხნის მუშაობა, ჩვენ ვაიძულებთ ტრესტს მეტი ყურადღება მიაქციოს ამ ქარხანას.

ამ ბოლო ხანებში მარელისის ქარხნის მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. სკამის თვითღირებულება ოქტომბერში 6 მანეთ და 50 კ. დავიყვანეთ 7 მანეთის და 90 კაპ. ნაცვლად. ჩვენ ვეცდებით ცენტრიდან გამოვასწოროთ ნაკლი, რომელიც ცენტრის მუშაობითაა გამოწვეული, მხოლოდ საჭიროა ადგილობრივმა ამხანაგებმა მეტი მიუდგომლობა და საქმისადმი ინტერესი გამოიჩინონ ამ საკითხში.

სატყეო მრეწველობის სხვა დარგებში იყო ნაკლი და დღესაც არის. შამგონის ქარხანა მხოლოდ ნაწილობრივად მუშაობდა. საჭირო გახდა მთელი რიგი გადაკეთების მოხდენა ქარხანაში. წელს ის უკვე ამუშავდა, საჭიროა მხოლოდ ქარხნის სრული დატვირთვა.

მცხეთის ქარხანა ორი წელიწადია უკვე აგებული, მაგრამ დღემდე არ მუშაობს. ჩვენ ვიღებთ ზომებს, რომ წელს იგი აუცილებლად ავამუშაოთ.

აჭარისტანში შენდება ხის დამმუშავებელი ცენტრალური ქარხანა. რომელიც წელს მთლიანათ დასრულებული უნდა იქნეს სავეჯო ფანერის კასრების და სახერხი სამქროებით. სამხრეთ - ოსეთშიაც შენდება ქარხანა სახერხი და საფანერო სამქროებით.

ხე-ტყის დამმუშავებელი ქარხნებში ყველაზე დიდი მნიშვნელობა ექნება ბზიფის კომბინატს. ამ კომბინატის ღირებულება 6,000.000 მანეთს აღწევს. კომბინატის პროექტი უკვე მიღებულია და წელს დაწყებული უნდა იქნეს საამშენებლო მუშაობა. ამაზე წელს გადადებულია 700.000 მ. მიმდინარე წელსავე უნდა გადაკეთდეს აგრეთვე კოდორის ქარხანა. აფხაზეთის ქარხნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენს ეკონომიკაში, ვინაიდან ეს ქარხნები საექსპორტო მასალას გვაძლევენ, რისთვისაც მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მათ მუშაობას.

საერთოდ მიმდინარე წელს სატყეო მრეწველობაში უნდა მოხდეს ერთგვარი გარდატეხა. ზარალიდან ჩვენ აუცილებლად მომგებიან მუშაობაზე უნდა გადავიდეთ.

თამბაქო

თამბაქოს წარმოებას ჩვენში დიდი ადგილი უჭირავს და პერსპექტივებიც დიდი აქვს, მიმდინარე წელს ჩვენ გვქონდა აქ ზოგიერთი ნაკლი, ტრესტმა თავის მუშაობა ზარალით დაასრულა, მიუხედავათ პროგრამის შესრულებისა, რაც ნედლი მასალის გაძვირებით აიხსნება. რაც შეეხება შრომის ნაყოფიერებას, მისი ზრდა თამბაქოს წარმოებაში შედარებით ნორმალურია. ჩვენს წინ ამჟამად სდგას ამოცანა ყოველმხრივად გავაუმჯობესოთ ფაბრიკების წარმოება და გამოვასწოროთ ამ საქმეში არსებული ნაკლი. ამ მიზნით ჩვენ ვახდენთ ქარხნების კონცენტრაციას, რომელიც მოგვცემს დიდ ეკონომიას.

წელს განზრახულია, თამბაქოს წარმოების პროდუქცია გადიდდეს 17.5 პროც.-ით. ნედლი მასალა და ბაზარი არის. მაგრამ საქმეს აფერხებს ის გარემოება, რომ ტრესტს არ აქვს საკმარისი საბრუნავი სახსრები.

თამბაქოს წარმოება რომ გავაუმჯობესოთ, საჭიროა თამბაქოს ფაბრიკების ტეხნიკური გაუმჯობესება.

აბრეშუმი

ყველაზე ჩქარი ტემპით ჩვენში აბრეშუმის მრეწველობა იზრდება. გასულ წელს აბრეშუმის ფაბრიკებში დაიდგა 166 აუზი. ახალი ფაბრიკები აშენდა ოზურგეთში, ხონში, გაფართოვდა სამტრედიის ფაბრიკა. ამან მოგვცა საწარმოო გეგმის დიდი ზრდა და მუშახელიც დიდი რაოდენობით ჩაება წარმოებაში. მაგრამ ჩვენ ვერ შევსძლით თვითღირებულების დაკლება, ვინაიდან ნედლ მასალაზე ფასებმა აიწია.

იანვრის პირველიდან უნდა ამუშავდეს ქუთაისის ძაფ-სახვევი ფაბრიკა 144 აუზით. განზრახული გვაქვს ეს ფაბრიკა სამ ცვლაზე ავამუშაოთ, რაც საშუალებას მოგვცემს ჩავაბათ ფაბრიკაში 1.200-მდე მუშა.

თუ ნედლი მასალა გვეყო, შეიძლება სხვა ქარხნებშიაც გადავიდეთ სამ ცვლაზე. ამ შემთხვევაში შევსძლებთ ფაბრიკების მაქსიმალურად დატვირთვას და წარმოებაც უფრო მომგებიანი იქნება.

აბრეშუმის საქსოვ მრეწველობაში ჩვენ გვაქვს თბილისში აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა 20 დაზგით. განზრახული არის წელს დაზგების რიცხვი 200-220-დე ავიყვანოთ. მაგრამ ამას ვერ მოვახერხებთ, რადგანაც საამისო თანხები არ მოგვეპოვება და არც მომზადებული მუშა - ხელი გვყავს. წელს ჩვენ შევსძლებთ დაზგების რიცხვი 100-მდე ავიყვანოთ, ხოლო მეტის კი საეჭვოა. ისე კი დაზგები უკვე შეძენილია და შენობაც გვაქვს.

წელსვე განზრახულია დაიდგას თბილისში ტრიკოტაჟის ფაბრიკა, თუმცა ეს ფაბრიკა საკონტროლო ციფრებში არ შედიოდა, მაგრამ ჩვენ ნება დაგვრთეს საკონტროლო ციფრების გარეშე მოგვეწყო ეს ფაბრიკა, ვინაიდან მას დიდი მნიშვნელობა ექნება კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინაიდან გამოუშვებს აბრეშუმის ჩულქებს და ტრიკოტაჟის სხვა ქსოვილებს.

მაუდის ფაბრიკები

შემდეგ მიდის მატყლის გადამუშავება. თქვენ იცით, რომ შენდება თბილისის მატყლის ფაბრიკა, რომელიც ამუშავდება მომავალი წლის დასაწყისში, მზადდება მუშა-ხელი, მიღებულია ზომები ნედლი მასალის მოსამარაგებლათ და სხვა. გასულ წელს ქუთაისის მაუდის ფაბრიკის მუშაობაში იყო მთელი რიგი დეფექტები, ადმინისტრაციის სისუსტე თვითღირებულების ზრდა, შრომის ნაყოფიერების და დისციპლინის შესუსტება. თავის დროზე მიღებულ ზომებით მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. მომავლისათვის საჭიროა გაუმჯობესდეს ფაბრიკის მოწყობილობა, რომ შესაძლებელი გახდეს ყველა ცეხების სამცვლიან მუშაობაზე გადასვლა.

საფეიქრო წარმოებაში კიდევ ჩვენ გვაქვს ბამბის საპენტი და სართავი ფაბრიკები. ორივე ფაბრიკის წარმოება გასულ წელში საგრძნობლად გაუმჯობესდა, მომავალში კი დიდი გასაქანი წარმოებას არა აქვს გაფართოვების მხრივ. ცუდ მდგომარეობაშია საპნის და ზეთის წარმოება საკუთარ ნედლი მასალის უქონლობის გამო, მეტადრე ზეთის ქარხანა რომლისათვისაც მოიპოვება წელიწადში მხოლოდ 6 თვის სამყოფი მასალა. საპნის წარმოების გაუმჯობესება შეიძლება, მაგრამ აქაც საქმე გვაქვს უმთავრესად მოტანილ მასალასთან.

თბილისის მატყლის ფაბრიკის დამთავრებასთან ერთად უნდა დაისვას საკითხი საფეიქრო ტრესტის შექმნის შესახებ, რომელშიაც შევლენ თბილისის და ქუთაისის მაუდის და ბამბის საპენტი და საქსოვი ფაბრიკები.

ჩაის მრეწველობა

მე მინდა შევეხო ჩაის მრეწველობას, რომელსაც დიდი მომავალი აქვს როგორც ბუნებრივი პირობების მხრივ და მასზე არსებულ დიდი მოთხოვნილების გამო, ისე იმიტომ, რომ ამ დარგის განვითარება უზრუნველყოფილია საჭირო თანხით: 3 წლის განმავლობაში ჩაის მრეწველობის გასადიდებლად გადადებულია 30 მილ. მანეთი.

უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ჩაის მცენარის არეს გადიდებას. ხუთწლიან გეგმით განზრახულია საქართველოში ჩაის მცენარის არეს გადიდება 20.000 ჰექტარამდე. გასული ორი წლის მუშაობა გვიმტკიცებს, რომ გეგმა შესრულებული იქნება. 1926 წელს დათესილი იყო 1.334 ჰექტ., 1927 წ. 1.906, 1928 3.900 და 1929 წ. განზრახულია 6.633 ჰექტარის დათესვა.

დიდი ფული იხარჯება ჩაის ქარხნების აშენებაზე, სადაც უნდა მოხდეს ჩაის მცენარის გადამუშავება. ქარხნების ასაგებად ჩაის მრეწველობაში გადადებული იყო 1926 წელს—89.000 მან., 1927 წ. 633.000 მ., 1928 წ 668.000 მ. და 1929 წ. განზრახულია 1.280.000 მან. დახარჯვა.

ამ თანხებში არ შედის ფული, რომელიც გლეხებს ეძლევა ჩაის მცენარის დათესვისათვის სესხად

ტყავის მრეწველობა

ტყავის მრეწველობის განვითარებას დიდი შესაძლებლობანი არა აქვს ნედლი მასალის საკმაო მარაგის უქონლობის გამო. ამ დარგში ხდება ახალი აღმშენებლობა. ძველი 1-ლი ტყავის ქარხნის ნაცვლად აშენებულია ახალი ქარხანა, რომელიც დამთავრდება იანვარში. შეიძლებოდა კიდევ წვრილი ტყავის გადამუშავების გაძლიერება, მაგრამ მთრთიმლავ მასალის უქონლობა საფრთხეში აყენებს ტყავის მრეწველობის მიღებულ გეგმასაც. საზღვარგარეთიდან ექსტრაქტების შემოტანის უფლებას ტყავ - ტრესტს არ აძლევენ, მხოლოდ შინაგანი მთრთიმლავ მასალის ხმარების გაძლიერებისათვის საჭიროა წვენის სახარშავის მოწყობა.

ფეხსაცმლის ქარხნის მოწყობილება ტეხნიკურად გაუმჯობესდა, მაგრამ შენობა ძველი და და საჭიროა ქარხნისათვის ახალი შენობის აგება. ისე წარმოება უმჯობესდება.

შენობის მხრივ ძალიან ცუდ მდგომარეობაშია ქეჩის ქარხანა, აქაც საჭიროა ახალი შენობის აგება. ისე წარმოების განვითარება შეუძლებელია.

რაც შეეხება პოლიგრაფიულ წარმოებას, იგი განიცდის დიდ კრიზისს ქაღალდის სიმცირის გამო. გარდა ამისა წარმოებას აფერხებს ის, რომ იგი ძალიან დაქუცმაცებულია. განზრახული გვაქვს მოვახდინოთ წარმოების კონცენტრაცია.

გემო - კვების საგნები

გემო-კვების საგნების გადამუშავების დარგში დიდი მუშაობა ტარდება. აშენდა გორის მაზრაში ორი ხილის სახმობი ქარხანა, ახალციხეში ერთი, ზუგდიდში და ოზურგეთში თხილის სარჩევი ქარხნები, შენდება გორის ახალი საკონსერვო ქარხანა და გადადებულია თანხა ქუთაისში საკონსერვო ქარხნის პროექტის შესადგენათ.

ამასთანავე დასრულებულია წინასწარი საცდელი მუშაობა ჭარხლის თესვის გარშემო, ამორჩეულია ადგილი შაქრის ქარხნის ასაგებათ, გამოყოფილია 4 ათას ჰექტარამდის მიწა ჭარხლის საბჭოთა მამულის შესაქმნელად შაქრის ჭარხლისთვის. მიმდინარეობს ქარხნის პროექტის შედგენა, რომელიც დასრულდება ახლო ხანში. ჩვენ მოვითხოვთ შაქრის ტრესტისაგან, რომ ქარხნის აღმშენებლობა დაწყებული იქმნეს წელსავე.

ლითონის წარმოება

ლითონის მრეწველობა მძიმე პირობებშია. საქმეს აფერხებს საბრუნავი თანხის უქონლობა და წარმოების სრული მოუწყობლობა. საჭიროა წარმოების სრული გარდაქმნა და მოწყობა ახალ ნიადაგზე, საბრუნავი თანხის გამონახვა და დაჩქარება ახალი ქარხნის აშენებისა. პროექტი უკვე შედგენილია და სამუშაოს დასაწყებად წელს გადადებულია 850 ათასი მანეთი.

როგორია პერსპექტივები

მომავალ წელს გათვალისწინებულია ჩვენი მრეწველობის თვალსაჩინო ზრდა. მრეწველობის ცალკე დარგების მიხედვით ზრდა მომავალი წლისთვის შემდეგნაირად წარმოგვიდგება: სამთო მრეწველობაში—157 პროც., აბრეშუმის—98 პროც., მინერალების—67 პროც., ხის დამუშავების—22,8 პროც., გემო-კვების—20 პროც. და ლითონის—12 პროც.

ეს ზრდა, უნდა მოხდეს მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში. განვითარების ეს ტემპი სავსებით შეესაბამება იმ ხასიათს, რომელიც ჩვენს წარმოებას აქვს.

ნაკლოვანებანი და მორიგი ამოცანები

წარმოების რაციონალიზაცია

ჩვენი მრეწველობის განვითარებისთვის უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს წარმოების რაციონალიზაციის საკითხს. აქ ყველაფერი რიგზე როდია და არც ყველა დასახული ღონისძიებებია განხორციელებული. ზოგიერთ დარგებში მოხდა ტეხნიკური გაუმჯობესება, მაგრამ საჭიროა ამ საქმეში მეტი მუშაობა, საჭიროა ძველი ქარხნების გადაკეთება. რაციონალიზაციის მეოხებით უნდა განვახორციელოთ თვითღირებულების დაკლება, გავაფართოვოთ წარმოება, გავადიდოთ ჩვენი წარმოების პროდუქცია და გავაძლიეროთ მუშახელის ჩაბმა მრეწველობის სხვადასხვა დარგებში.

უპირველესად ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი ქარხნების ტეხნიკური მხარის გაუმჯობესებას, რომ ამნაირად პროდუქცია გაიზარდოს და თანაც გაიაფდეს. საჭიროა აგრეთვე სრული ასი პროცენტით გამოვიყენოთ ის მოწყობილობა, რომელიც ჩვენ გვაქვს ჩვენს ქარხნებში. დღეს ქარხნები საკმაოდ როდია დატვირთული. ეს ამოცანა უნდა აუცილებლად განვახორციელოთ, თუნდაც ამისთვის საწარმოო გეგმების გადასინჯვაც დაგვჭირდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი საწარმოები მომგებიანი ვერ იქნებიან.

ამავე მიზნით საჭიროა ყველა ქარხნებში, სადაც ეს შესაძლებელია, ერთი ცვლიდან ორ ცვლაზე გადავიდეთ, ხოლო—ორიდან—სამზე, უნდა მოვახდინოთ აგრეთვე ზოგიერთი დარგების კონცენტრაცია, რომ ამნაირად შევსძლოთ არსებული კრიზისის დაძლევა (მაგ. პოლიგრაფიულ წარმოებაში).

საბრუნავი თანხები

მრავალი საწარმო კრიზისს განიცდის საბრუნავი თანხების უქონლობის გამო. ამის გამო ხელფასის დარიგება ზოგან დროზე არ ხდება, რაც მუშებში უკმაყოფილებას იწვევს. ამ საკითხის მოსაგვარებლად და აგრეთვე წარმოების გასაფართოებლად ტრესტებს უნდა ექნეს საკმაო საბრუნავი თანხები, არც სამთო არც სატყეო, არც ლითონის და სხვა მნიშვნელოვან ტრესტებს საკმაო საბრუნავი თანხები არა აქვს. ისინი იძულებული ხდებიან ბანკებს მიმართონ სესხის მისაღებად. ტრესტების მთელი მოგება ბანკებს მიაქვთ სარგებელში და წარმოებაში დაგროვება არ ხდება. რა თქმა უნდა, ბანკები ჩვენი ორგანიზაციებია, მაგრამ უფრო მიზანშეწონილი იქნება ტრესტების მოგება ისევ ტრესტებში დარჩეს, რომ ამნაირად შეიქმნეს საბრუნავი თანხები და წარმოება განვითარდეს.

გარდა ამისა, საჭიროა არსებული სახსრები უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ, რომ წარმოებას არ უხდებოდეს მხოლოთ ბანკების საშუალებით მუშაობა.

ს. მ. უ. საბჭოს რამოდენიმე სავაჭრო კანტორა ჰქონდა. ყველა ამ კანტორებმა თავისი მუშაობა ზარალით გაათავა, რის გამოც ჩვენ მათ ლიკვიდაცია უყავით. ცალკე კანტორების დაარსება შეცდომა იყო. კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის საშუალებით რომ ყოფილიყო გასაღებული ჩვენი მრეწველობის პროდუქცია, ეს ბევრად უკეთესი იქნებოდა.

არის დირექტივა თვითღირებულების შემცირების შესახებ 7 პროც. საქართველოში თვითღირებულება 8 პროც. უნდა შემცირდეს, ვინაიდან გასულ წელს ჩვენ ამ მხრივ ჩამოვრჩით.

ნედლი მასალის მომარაგება

შემდეგ, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ნედლი მასალის მომარაგების საკითხს. ბევრგან ჩვენი ქარხნები ნორმალურად ვერ მუშაობდა იმიტომ, რომ ნედლი მასალა დროზე არ ჰქონდათ მომარაგებული. ნედლი მასალა დიდი მომჭირნეობით უნდა იქნეს გამოყენებული. ხშირია შემთხვევა, როცა ნედლი მასალა ქარხნის ეზოში ყრია და ფუჭდება. მაგალითად, ქუთაისის მაუდის ქარხნის ეზოში ეყარა მატყლი, რომელსაც აწვიმდა; ასევეა ტყის წარმოებაში. ასე არ ივარგებს, ნედლი მასალის შოვნა არც ისე ადვილია. მაგრამ მარტოოდენ მასალის შოვნა საკმარისი როდია, უნდა მოუაროთ მას, ვისწავლოთ მისი დახარისხება, შენახვა და სხვ. ამას კი, სამწუხაროდ, შესაფერისი ყურადღება არ ექცევა.

შრომის საკითხები

მომხსენებელი აღნიშნავს ტრანსპორტის საქმის მოწესრიგების აუცილებლობას სამრეწველო პროდუქციის გაიაფებისათვის და შემდეგ გადადის შრომის საკითხებზე.

წარმოებაში შრომის საკითხები,—ამბობს ის, —ცუდათ არის მოგვარებული. გასულ წელში ადგილი ჰქონდა ჩვენს მრეწველობაში ასეთ არანორმალურ მდგომარეობას. მაშინ, როდესაც ხელფასი გაიზარდა 7 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება დაეცა 3 პროცენტით. ამის მიზეზი ნაწილობრივ შეიძლება ის იყოს, რომ ვერ ვაწოდებდით წარმოებას ნედლ მასალას თავის დროზე, მაგრამ ერთი მთავარი მიზეზი შრომის ნაყოფიერების დაცემისა ისაა, რომ ცუდათ არის დაყენებული ხელფასის მოწესრიგების საკითხი, რომ არ ვარგა შრომის ორგანიზაცია ჩვენს წარმოებაში. თუ პარალელურად ტეხნიკის განვითარებასთან ერთად არ მიექცა ყურადღება შრომის ორგანიზაციას, მთელი ეს მუშაობა გაბათილებული იქნება.

აუცილებლად საჭიროა ავსწიოთ შრომის ნაყოფიერება, ვინაიდან შეუძლებელია ხელფასის ზრდა ისეთ პირობებში, როდესაც ტრესტების უმეტესობამ დეფიციტით დაამთავრეს წარსული წელი, როდესაც შრომის ნაყოფიერება დაცემულია. საჭიროა ნარდი მუშაობის მოწყობა იქ, სადაც ეს დღემდე არ არის მოწყობილი. საჭიროა შრომის დისციპლინის მტკიცედ გატარება და სპეციალურ კურსების მოწყობა მუშების კვალიფიკაციის ასაწევად, რისთვისაც ჩვენ უკვე გადავდგით სათანადო ნაბიჯები.

საწარმოო თათბირები

წარმოების გაჯანსაღების საქმეში მთავარი ადგილი უჭირავს საწარმოო თათბირებს. თუ აქამდე სამეურნეო მუშაკების მხრივ ჰქონდა ადგილი საწარმოო თათბირების მიმართ რამე შეცდომებს, თუ მას სათანადოთ ყურადღებას არ აქცევენ, ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს, უკეთესად უნდა იქნეს დაყენებული საწარმოო თათბირების მუშაობა. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო მუშაკების მხრივ დახმარებას. საწარმ. თათბირების საქმიანი წინადადებები სისრულეში უნდა იქნეს მოყვანილი. როდესაც არ ტარდება ესა თუ ის წინადადება ცხოვრებაში, მათ მიუღებლობა უნდა შეამოწმოთ და მიზეზი მუშებს აუხსნათ. ამის გარდა ადგილი უნდა ექნეს წახალისებას. ყოველი პრაქტიკული და გამოსაყენებელი წინადადების ავტორს უნდა მიეცეს სათანადო ჯილდო, რა მიზნისათვისაც უნდა გადაიდოს სპეციალური ფონდები, რომელიც უნდა გამოყენებული იქნეს დროზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა გამომგონებლობას. ამას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი წარმოებისათვის, ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ საქმე მეტად ცუდად არის. მართალია არსებობს გამომგონებლობის ხელის შემწყობი ბიურო,მაგრამ მას ფული არა აქვს და, ცხადია, რომ გამომგონებლობისადმი დახმარება არ შეუძლია. საჭიროა კი, რომ გამომგონებლებს დაეხმარონ ნახაზების შედგენით და საერთოდ აღმოუჩინონ მთელი რიგი ტეხნიკური დახმარება.

უგეგმო მუშაობის წინააღმდეგ

შემდეგ ამხ. ყურულაშვილი ახასიათებს ახალ მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებებს.

ერთი მთავარი დეფექტი არაა, ამბობს მომხსენებელი, რომ არ სწარმოებს ახალ მშენებლობის ეკონომიური შესწავლა, არ ხდება არც ნედლეულის ბაზის, არც გასაღების საკითხების გამოკვლევა, და ხშირად მუშაობის დაწყების შემდეგ აგონდება ამაზე ფიქრი და ზრუნვა. გარდა ამისა ხარჯთ-აღრიცხვა არ არის სისწორით შედგენილი ადგილი აქვს გადახარჯვებს, იმის მაგიერ, რომ მომხდარიყო მშენებლობის გაიაფება და საერთოდ ფასების დაკლება, ადგილი აქვს გაძვირებას.

მთელი რიგი პროექტები არ არის გატარებული საჭირო ინსტანციებში. პროექტების უმეტესობა არ არის დამტკიცებული მხოლოდ საგეგმო კომისიასთან არსებულ ტეხნიკურ კომიტეტში. ს.მ.უ.ს. და ეკონომიურ საბჭოში ისინი დამტკიცებული არიან ფორმალურად, და სხვა,.

საქმე ისეა მოწყობილი, რომ მშენებლობა მეტად ძვირი ჯდება. ეს იმით აიხსნება, რომ გაძვირებულია საამშენებლო მასალები. მეორე მიზეზს წარმოადგენს მშენებლობის გაჭიანურება. მშენებლობა არ სრულდება იმ ვადებში,რომლებიც გეგმით არის დანიშნული, ან ხდება ყოველგვარი გეგმის გარეშე. მაგალითად, აბჰესიდან ქუთაისამდე გადამყვანი ხაზი შენდება ყოველგვარი გეგმის გარეშე. თანხები არ არის წინასწარ გადადებული, იძულებული არიან შემთხვევით იშოვონ აუცილებელი თანხები სხვა წყაროებიდან. ამით საქმე საერთოდ ფერხდება. ყველა ამ დეფექტების დაძლევა შეიძლება, თუ მეტ გეგმიანობას შევიტანთ ჩვენს მშენებლობაში. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენ ყოველწლივ მეტს და მეტ თანხებს ვაბანდებთ ჩვენს მრეწველობაში. საჭიროა, რომ ყოველი კაპეიკი დაიხარჯოს მიზანშეწონილად და მოგვცეს სათანადო ეფექტი, მაგ. თუ შარშან კაპიტალურ აღმშენებლობისათვის გადადებული იყო 7.615.000 მანეთი, წელს ამ საქმეზე დაიხარჯება 12.800.000 მანეთი, საჭიროა, რომ ეს თანხები დაიხარჯოს მიზანშეწონილად.

ამ მხრივ მიღებულია ზომები. არც ერთი აღმშენებლობა, არც ერთი ქარხანა და ფაბრიკა არ იქნება აგებული ისე, თუ კი პროექტი წინასწარ იქნა კარგად დამუშავებული და გატარდა ყველა ინსტანციაში. მხოლოდ სერიოზულ ეკონომიურ გამოკვლევის შემდეგ, სათანადო აწონ-დაწონის შემდეგ შეიძლება შეუდგეთ ახალ ფაბრიკა-ქარხნების შენებას,

საამშენებლო მასალების დამზადება

ამ შენებისათვის ჩვენ გვჭირდება დიდძალი საამშენებლო მასალები. საჭიროა, რომ მათ წარმოებას მიექცეს სათანადო ყურადღება, კერძოთ დეფიციტიან საამშენებლო მასალების შექმნას. ჩვენში არის დეფიციტი ცემენტზე, რკინეულზე და ზოგიერთ სხვა საამშენებლო მასალაზე. ამიტომ აგურ-კრამიტის, ცემენტის, ბიტუმის, კირის და სხვა ქარხნებს. ჩვენ სავსებით უზრუნველყოფილი ვიქნებით ამ საამშენებლო მასალით და ადგილი არ ექნება მათ დეფიციტსა, თუ დავაჩქარებთ აღმშენებლობას.

დეფიციტი გვექნება მხოლოდ რკინეულობაზე. მაგრამ საჭიროა ზოგიერთ ღონისძიებების მიღება. უპირველესად ყოვლისა ჩვენ სახურავები უნდა შევცვალოთ კრამიტით. დუშეთის მაზრაში, არის მშვენიერი ქვადაფი, რომელიც შეიძლება სახურავად გამოვიყენოთ. ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ყავრის დამზადებას, რომელიც სპობს ჩვენ ტყეებს.

ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენ სახელმწიფო მშენებელ კანტორების მუშაობას. უნდა გაუმჯობესდეს მათი მუშაობის თვისობრივი მხარე. უნდა განიდევნილი იქნენ ყოველგვარი მოიჯარადრენი, რომელთაც არ შეუძლიათ მოგვცენ იაფი და კარგი ხარისხის ნამუშევარი.

მუშების კვალიფიკაციის ამაღლება

ჩვენ მშენებელ მუშა-ხელის დიდ ნაკლებობას განვიცდით. ასეთ მუშებს ხშირად რუსეთიდან ვიწერთ, მაგრამ მოთხოვნილება მაინც ვერ კმაყოფილდება. ზოგიერთ დარგში მშენებელი მუშა უფრო მეტს იღებს, ვიდრე ინჟენერი. ჩვენ განზრახული გვაქვს მოვამზადოთ მუშა ხელი წარმოების შემდეგი დარგებისათვის: მაუდის, ცემენტი, აბრეშუმის წარმოებისათვის, ტყვარჩელისთვის, ქაღალდისა და შაქრის მრეწველობის და ელექტრო-მექანიკის დარგისთვის. აქ სამეურნეო ორგანოებმა უნდა აწარმოონ მუშაობა შესაფერის ორგანიზაციებთან შეთანხმებით, როგორიცაა პროფკავშირები, განათლების კომისარიატი და სხვა.

უნდა მიექცეს აგრეთვე ყურადღება ქართულ ენაზე ტეხნიკურ ლიტერატურის გამოცემას. ჩვენს მუშებს და ტეხნიკურ ძალებს არ გააჩნიათ სათანადო ლიტერატურა ქართულ ენაზე, რომ გაეცნონ და შეისწავლონ ტეხნიკის საკითხები.

ჩვენი მრეწველობის განსავითარებლად საჭიროა მუშა-ხელის გადამზადება, ეს გათვალისწინებულია ხარჯთ-აღრიცხვით. წარმოებისათვის საჭირო კვალიფიციური მუშა საჭიროა მოვამზადოთ იმ გზით, რომ კავშირებთან ერთად მოვაწყოთ კურსები.

სპეციალისტების შესახებ

საჭიროა აგრეთვე უფრო ახლო კავშირის დაჭერა სამრეწველო ტეხნიკუმებთან და პოლიტეხნიკური ინსტიტუტთან, საჭიროა ისეთი სასწავლო პროგრამების შედგენა, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას პრაქტიკული ცოდნის მიცემას.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ უკვე გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც ტრესტების მოგებიდან უნდა გაღებული იქნეს თანხები სტიპენდიებისათვის, ხოლო იმ პირობით, რომ სტიპენდიის მიმღებ პირმა შემდეგ წარმოებაში იმუშაოს. ამ კანონის ძალით სტიპენდია უნდა მიეცეს უკანასკნელ ორ კურსზე მყოფ სტუდენტებს. რასაკვირველია, ჩვენ ისე ვერ მოვიქცევით, როგორც აქამდე ხდებოდა. შემთხვევები იყო: სტუდენტებს აძლევდენ სტიპენდიას, ისინი ათავებდენ და შემდეგ კანცელარიებში მუშაობენ. ასეთი შემთხვევები შემდეგში არ უნდა დაუშვათ და ჩვენი სპეციალისტები უნდა ჩავაბათ მრეწველობაში.

სპეციალისტების ნაკლებობა ჩვენში დიდია. შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი დარგში ისინი არ გვყავს. იქ, სადაც უნდა იყვეს ხუთი კაცი, არის ერთი. სამთო მრეწველობაში ნაწილობრივ გვყავს სპეციალისტები. მაგრამ საერთოდ რომ სპეციალისტები ცოტა გვყავს, ამის მტკიცება არაა საჭირო. სპეციალისტების მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ამ ამოცანის გადაჭრის გარეშე ჩვენ ვერ მოვახერხეთ წარმოების გაჯანსაღებას და მშენებლობის განვითარებას.

მთელი რიგი უარყოფითი მომენტი ახასიათებს ზოგიერთ ჩვენს სპეციალისტებს და ეს გარემოება სპეციალისტების დაფასების დროს არ უნდა დავმალოთ, ავიღოთ, მაგ., შემდეგი ფაქტი: მაუდის ფაბრიკის ყოფ. ინჟინერმა აღმშენებელმა, ნარსიამ საჯარო ვაჭრობაში მიიღო მონაწილეობა სამშენის სახელით, (სამშენს უნდა აეღო იჯარით საქართველოს ჩაის სამუშაოები), ამავე დროს იგი აწყობდა საქმეს კონცესიონერთან, რომელთან სამსახურში გადასვლა უნდოდა. კონცეს. ახერხებს სამუშაოს იჯარით იაფათ მიღებას და ნარსიაც მასთან გადადის. რასაკვირველია, ის გარემოება, რომ ინჟ. ნარსია ერთი მხრით მუშაობს ჩვენთან, მეორე მხრით—კი კერძო კონცესიონერს პირდება—შენთან გადმოვალ სამსახურშიო და ამავე დროს ცდილობს ჩვენი სამუშაოები მას ხელსაყრელ პირობებში ჩაუგდოს ხელში, უსინდისოდ იქცევა. ასეთი ელემენტები სასტიკად უნდა დავგმოთ.

ჩვენ სპეციალისტები ყოველმხრივ უნდა ჩავაბათ წარმოებაში, შეუწყოთ მათ ხელი გააფართოვონ თავიანთი ცოდნა, გადავამზადოთ ისინი და მივსცეთ საშუალება, რომ მათ თავიანთი შვებულება გამოიყენონ რუსეთის საწარმოების დასათვალიერებლად. საჭიროა საზღვარგარეთაც მივავლინოთ სპეციალისტები, რომ იქ ახალ მიღწევებს გაეცნონ. მივლინება თავიანთი ცოდნის გასაფართოვებლად არა მარტო ინჟინრებისათვის არის საჭირო, არამედ დირექტორებისათვის და კვალიფიციურ მუშებისათვის. ჩვენ უნდა შევქმნათ საწარმოო ტრადიცია და სამეურნეო მუშაკების კადრი.

მასების აქტიური მონაწილეობით

მომხსენებელი აღნუსხავს იმ მუშაობას, რომელიც ტარდება ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრეთა გეოლოგიურ გამოკვლევის დარგში და დასასრულ გადადის ჩვენს წინაშე ეხლა მდგარ ამოცანებზე. უპირველეს ყოვლისა საჭიროა მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხელმძღვანელობის გაუმჯობესება ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციისადმი, ტრესტებისა და განსაკუთრებით ადგილობრივ სამეურნეო ორგანოებისადმი, აგრეთვე ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოთ აღმასკომებს ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა ორგანიზაციის დარგში და უფრო კარგად დავაყენოთ აღმასკომების განკარგულებაში არსებული საწარმოები. საჭიროა კიდევ უხელმძღვანელოთ იმ მრეწველობას, რომელიც სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხელმძღვანელობის გარეშე იმყოფება. რაც არ უნდა დაგვიჯდეს საჭიროა ამ წელში შევამციროთ თვითღირებულება და ავსწიოთ შრომის ნაყოფიერება იმ ფარგლებში, რაც გეგმითა გვაქვს დასახული. ჩვენ ვახდენთ საწარმოების ტეხნიკურ რეკონსტრუქციას და ამავე დროს საჭიროა ვეცადოთ გავაიაფოთ აღმშენებლობა და ძირიანფესვიანად შევცვალოთ პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანიზაციების ურთიერთ დამოკიდებულება. სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა გაატარონ მეტი თვითკრიტიკა, რომ არსებული დეფექტები აღმოვფხვრათ.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ მხოლოდ ფართო მასების ჩაბმით არის შესაძლებელი ჩვენი მრეწველობის განვითარება. ჩვენში მუშები უნდა იყვნენ მრეწველობის აქტიური მონაწილენი. მხოლოდ მუშათა ფართო მასასთან კავშირის საშუალებით არის შესაძლებელი აღმოვფხვრათ ის უამრავი დეფექტი, რაც ჩვენ სამეურნეო მშენებლობასა და სამეურნეო მმართველობაში გვაქვს.

ამ გზით ჩვენ შევსძლებთ სოციალისტური განვითარების დაჩქარებას.

მეტი ინიციატივა მასას, მეტი მასების ჩაბმა სოციალისტურ აღმშენებლობაში! (ტაში).

(საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმის რეზოლუციის დასასრული)

ობის ხარჯზე, რამაც გამოიწვია ექსპორტის სხვა მუხლების, კერძოდ, სამრეწველო ექსპორტის გაძლიერების აუცილებლობა.

15. 1928-29 წლის სამეურნეო გეგმა, დასახული საკონტროლო ციფრებით, არ აღემატება ჩვენს ძალ-ღონეს, მაგრამ მეტად სამძიმოა. ამასთან დაკავშირებით მეტად სამძიმოა საფინანსო გეგმაც.

სახელმწიფო ბიუჯეტი ნავარაუდევია 7.694,8 მილიონი მანეთის რაოდენობით, რაც ნიშნავს მის თითქმის 20 პროცენტით ზრდას, ნაციონალური შემოსავლის 10 პროცენტით ზრდასთან ერთად.

საფინანსო გეგმის შესრულება მოითხოვს უდიდეს საბიუჯეტო და გეგმიან დისციპლინას, ჩვენი რაციონალიზატორული მუშაობის უდიდეს დაჩქარებას და გაუმჯობესებას, მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ გატარებას. კერძოდ, ცენტრალური კომიტეტის პლენუმი კვლავ აღნიშნავს ხაზგასმით მოსახლეობის მიერ დაზოგილი თანხების მობილიზაციის უდიდეს მნიშვნელობას. ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს სახელმწიფო სესხების დიდ წარმატებას მოსახლეობის შორის და მათი შემდგომი გავრცელების აუცილებლობას კერძოდ და განსაკუთრებით სოფლად, სადაც ამ მხრივ დიდი გამოუყენებელი შესაძლებლობა მოიპოვება.

შემდეგ, ცეკას პლენუმი აღნიშნავს, რომ გლეხთა მოსახლეობის თანხების მობილიზაცია სპეციალურად სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის მიზნებისათვის შეიძლება და უნდა განხორციელდეს არა მარტო სესხების, არამედ სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის პაიების მოგროვების საშუალებით, შემნახველი სალაროების საშუალებით და სხ.

მაგრამ ძალღონის დაძაბვა, რომელიც აუცილებლად თან სდევს 1928-29 წლის სამეურნეო გეგმის შესრულებას, სრულებით არ უნდა შეასუსტოს პარტიის, სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ყურადღება იმისადმი, რომ კიდევ უფრო მეტად იქნას განვითარებული მუშაობა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის მზადებისათვის.

მთელი სამეურნეო გეგმის შესრულების წინასწარი პირობაა, ერთის მხრით, მუშათა და გლეხთა ფართო მასების კულტურული დონის აწევა და მეორეს მხრით, სოციალისტური მშენებლობის მუშაკთა საკადრო შემადგენლობის თვისებრივი გაუმჯობესება. ცეკას პლენუმი აღნიშნავს, რომ მიუხედავად ბიუჯეტის უაღრესად დატვირთვისა, 1928-29 წელს მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწევთ სოციალ - კულტურული სექტორისათვის ფინანსების მიწოდების საქმეში. სახალხო განათლებისათვის სხვადასხვა წყაროებიდან 1928-29 წელს გაღებული იქნება 335 მილიონი მანეთი, ნაცვლად წარსული წლის 270 მილიონ მანეთისა, ხოლო კაპიტალური ხარჯები განათლების საქმეში გეგმის მიხედვით შეადგენს 184 მილიონ მან., ნაცვლად 95 მილიონი მან. წარსულ წელს: ხარჯები ჯანმრთელობის საქმისათვის საბჭოთა კავშირში იმავე დროის განმავლობაში გაიზრდება, არასრული ცნობებით, 513 მილიონ მანეთიდან 610 მილიონ მანეთამდე. განსაკუთრებით მნიშვნელოვან წარმატებას გვაძლევს გადაწყვეტილება, რომელიც ივლისის პლენუმმა გამოიტანა პროფტეხნიკური განათლების შესახებ. თუმცა ეს თანხები საკმაო არაა, მაგრამ ისინი მაინც უზრუნველყოფენ ჩვენი ქვეყნის კულტურული მშენებლობის მნიშვნელოვნად განვითარებას.

ცეკა მოუწოდებს პარტიის წევრებს—მთავარი ყურადღება მიაქციონ სამეურნეო მშენებლობის საკითხებს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყურადღებით მოვეკიდებით სამეურნეო გეგმიანობისა და, საერთოდ, სამეურნეო ხელმძღვანელობის ამოცანებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ობიექტიურად შევისწავლით სამეურნეო პოლიტიკის საკითხებს და მივსცემთ მას უფრო მეცნიერულ ხასიათს, შეიძლება ავიცილოთ თავიდან ის შეცდომები, რომლებიც ძალიან ართულებენ და აძლიერებენ სოციალიზმის შენების ობიექტიურ სიძნელეებს იმპერიალისტური მტრებით გარემოცულ წვრილბურჟუაზიულ ქვეყანაში.

მუშაობის თვისებრივი გაუმჯობესება პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირთა აპარატის ყველა საფეხურზე და გეგმიანი ხელმძღვანელობის თვისობრივი გადიდება გულისხმობს როგორც სამეურნეო მდგომარეობის შესახებ ობიექტიურ ინფორმაციის თავის დროზე მიწოდებას პარტიისათვის, ისე სამეურნეო საკითხების სერიოზულად განხილვას პარტიაში. რეკონსტრუქტიული პერიოდის პრობლემათა უდიდესი სირთულე, მთელი რიგი სიძნელენი, რომლებიც გვეღობებიან ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზაზე, ძალ-ღონის მაქსიმალურად ამოქმედება, რომელსაც მუშათა კლასისა და გლეხობისაგან მოითხოვს ინდუსტრიალიზაციის საქმე, ის საქმე, რომლის რეალური ეფექტი თავს იჩენს მხოლოდ განსაზღვრული ხნის შემდეგ, კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგობა კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ეხლანდელ ეტაპზე, წვრილბურჟუაზიული მასების მერყეობა, წვრილბურჟუაზიული სტიქიის გავლენა საბჭოთა აპარატის და ჩვენი პარტიის ზოგიერთ საფეხურებზე და სხ., ერთის მხრით, სახელმწიფო აპარატის ზრდა და, მაშასადამე, ბიუროკრატიულ გადამახინჯებათა შესაძლებლობა სახელმწიფო მშენებლობის ფართო ფრონტზე, მეორეს მხრით, ჰკვებას სხვადასხვაგვარ გადახრებს პარტიის შიგნით. თავს იჩენს მემარჯვენე (აშკარა ოპორტუნისტული) გადახრა, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ ამ გადახრის მომხრენი ცდილობენ შეამცირონ მსხვილი ინდუსტრიის განვითარების ტემპი და შეაჩერონ მისი შემდგომი მშენებლობა, აბუჩად იგდებენ ან უარყოფით ეკიდებიან კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს, ჯეროვნად ვერ აფასებენ და ჩქმალავენ ბიუროკრატიზმთან კლასობრივ ბრძოლას, ჯეროვნად ვერ აფასებენ ომის საფრთხეს და სხ. ამავე დროს ადგილი აქვს სოციალ-დემოკრატიული, საშუალო გლეხობის საწინააღმდეგო და ზეინდუსტრიალისტური ტენდენციების (ტროცკიზმი) გამოცხადებას, რომლებიც მემარცხენე ფრაზეოლოგიით ჰფარავენ ნახევრად მენშევიკურ მემარჯვენე შინაარსს და რომლებსაც ისევე დამღუპველი შედეგებისაკენ მივყევართ, როგორც მემარჯვენე გადახრას.

აქედან—ორ ფრონტზე ბრძოლის ამოცანა: ბრძოლა როგორც მემარჯვენე, აშკარა-ოპორტუნისტული გადახრის წინააღმდეგ, ისე სოციალ-დემოკრატიული ტროცკისტული „მემარცხენე", არსებითად იმავე მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, რომელიც თავის გადახრას ლენინური ხაზიდან მემარცხენე ფრაზებით ჰფარავს.

თავისთავად ცხადია, რომ ამ გადახრების დაძლევა გულისხმობს სისტემატიურ ბრძოლას გადახრების მიმართ ობივატელური უპრინციპო შემარიგებლობის წინააღმდეგ.

პლენუმი აღნიშნავს, რომ მთავარ საფრთხეს ამჟამად საკავშირო კომპარტიაში (ბ) წარმოადგენს მემარჯვენე აშკარა-ოპორტუნისტული გადახრის საფრთხე, რაც გამომდინარეობს როგორც თანამედროვე სოციალ.-ეკონომიური მდგომარეობიდან, ისე იმ ფაქტიდან, რომ პარტიამ ტროცკისტულ იდეოლოგიასთან ბრძოლაში უკვე მიაღწია გადამწყვეტ შედეგებს.

ცეკას პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მემარჯვენე გადახრას და მასთან შემარიგებლობას ერთსულოვნად,ბოლშევიკურად შე[illegible]რთულმა პარტიამ, რომელმაც დაამტკიცა, რომ მზადაა იბრძოლოს პარტის ლენინური ხაზისათვის.

ცეკას პლენუმი სავსებით და მთლიანად იწონებს ცეკას ოქტომბრის მოწოდებას მოსკოვის ორგანიზაციისადმი. ამ გადახრების წარმატებით დაძლევა გულისხმობს თვითკრიტიკის ფართოდ განვითარებას, მასების მაქსიმალურად ჩაბმას სამეურნეო და პარტიულ მშენებლობაში, შინაპარტიული დემოკრატიის სერიოზული თანმიმდევრობითი გაფართოებას, და სამეურნეო მშენებლობის საკითხების ფართო მასიურ განხილვას. ამავე დროს, კრიტიკის უფრო ფართოდ განვითარების უზრუნველსაყოფად და თავისუფალი მსჯელობის განსავითარებლად საჭიროა პირველ რიგში „შინაპარტიული კრიტიკის თავისუფლების უზრუნველყოფა, რაც უარჰყოფს ისეთ მეთოდებს, როცა დამოუკიდებელი აზრი და ყოველგვარი კრიტიკული შენიშვნა მიაჩნიათ „გადახრად", „კონკლაობად" და სხ. (ცეკას მიმართვა).

აწარმოებს რა გადამჭრელ ბრძოლას ყველა ამ გადახრასთან და განსაკუთრებით უსვამს რა ხაზს იმას, რომ ამ მომენტისათვის აუცილებელია უმთავრესად გაშლილი იდეოლოგიური ბრძოლა მემარჯვენე საფრთხესთან, რამაც არ უნდა გამოიწვიოს ტროცკიზმთან ყოველმხრივი ბრძოლის ოდნავ მაინც შესუსტება, პლენუმი ამავე დროს მთელი პარტიის ყურადღებას აქცევს იმაზე, რომ საჭიროა სამეურნეო მშენებლობის საკითხების არა მყვირალა, არამედ მოფიქრებული განხილვა, რაც გულისხმობს მთელი მდგომარეობის ფხიზელ ბოლშევიკურ ანალიზს, რომელიც უარჰყოფს როგორც სიძნელეთა მიჩქმალვას და სინამდვილის ბიუროკრატიულად შელამაზებას, ისე საფრთხის პანიკურად გაზვიადებას, ანალიზს, რომელიც ეწინააღმდეგება როგორც უპრინციპო მანქანალურ პრაქტიციზმს,—რაიც წარმოადგენს განვითარების გენერალური ხაზის და პარტიის პრინციპიალური მიზნებისა და ამოცანების უარყოფას, — ისე უტოპიურ, ვითომდა „პრინციპიალობას", რომელიც ივიწყებს მომენტის სპეციფიურ ამოცანებს და ამით არღვევს ლენინური ტაქტიკის ძირითად წესს—პრინციპიალურ ხაზის შეფარდებას მომენტის ამა თუ იმ კონკრეტულ პირობებთან. ლენინური პარტია მის წინაშე წამოჭრილ სიძნელეებს ყოველთვის სძლევდა ხოლმე ფართო მასების თვითმოქმედების მაქსიმალურად განვითარებით და მასიური ორგანიზაციების მუშაობის მაქსიმალურად გამოცოცხლებით, რისთვისაც თავის ირგვლივ რაზმავდა და აერთიანებდა პროლეტარიატის ფართო მასებს.

და ახალი ურთულესი ამოცანების წინაშე რომლებსაც გვიყენებს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური რეკონსტრუქცია, ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრს— მთელი თავისი ძალღონე მოახმარონ სამეურნეო დაბრკოლებათა გადალახვას და მუშათა კლასის შემომქმედი ძალების მობილიზაციას იმისათვის, რომ ჩვენ მიერ აღებული ინდუსტრიალიზაციისა და განსაზოგადოების ტემპი, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, დაცულ იქნას, ხოლო გათვალისწინებული სამეურნეო გეგმა შესრულებულ იქნას.

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა
დეკემბრისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მე-7 ყრილობა

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა

ამხ. მიხ. კახიანის მოხსენება

გუშინ, საღამოს ექვს საათზე, რუსთაველის თეატრში, შესდგა სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მეშვიდე ყრილობის მორიგი სხდომა, რომელზედაც მოხსენებით, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ამხ. მ. კახიანი.

მოხსენების დაწყებამდე ყრილობამ ამხ. ბ. მაჩაიძის წინადადებით ფეხზე ადგომით პატივი სცა ტრაგიკულად დაღუპულ ამხ. ეჯიბიას და კოჩეტკოვის ხსოვნას.

საერთაშორისო მდგომარეობა

მე მინდა მოკლეთ შევეხო —ამბობს მომხსენებელი საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობას. როცა საერთაშორისო მდგომარეობას ვახასიათებთ, ჩვენ უნდა დავეყრდნოთ იმ შეფასებას, რომელიც კომინტერნის მე-6-ე კონგრესმა გაუკეთა თანამედროვე კაპიტალიზმს და მუშათა მოძრაობის განვითარებას. კომინტერნის მე-6 კონგრესმა კაპიტალიზმის განვითარება ომის შემდეგ დაჰყო სამ პერიოდათ; პირველი პერიოდია პერიოდი 1918-დან 21 წლამდე—დრო, როდესაც მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ბურჟუაზიული ქვეყნები საშინაო კრიზისს განიცდიდენ, საბჭოთა რუსეთი კი მტკიცდებოდა, ჩვენი ჯარები მიიწევდენ ვარშავისაკენ. ეს პერიოდი დამთავრდა მით, რომ ბურჟუაზიამ შესძლო ჩიხიდან გამოსვლა. მეორე პერიოდს ახასიათებს რევოლიუციონური მოძრაობის შესუსტება გერმანიაში და ბალკანეთზე კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაცია, ამავე პერიოდში საბჭოთა კავშირში იწყება მეურნეობის აღორძინება. მესამე პერიოდში ბურჟუაზია და კაპიტალსტური მეურნეობა აღწევს ომის წინადროინდელ დონეს, ხოლო საბჭოთა კავშირში კი იწყება სახალხო მეურნეობის გარდაქმნა-რეკონსტრუქცია. მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენელნი ამ მესამე პერიოდს სთვლიან ბურჟუაზიის საბოლოო განმტკიცების პერიოდათ, მისი მდგომარეობის მუდმივ სტაბილიზაციის პერიოდათ, მაგრამ მთელი დღევანდელი ვითარება გვიჩვენებს, რომ ჩვენი მტრების ასეთი მტკიცება არ არის სწორი, რომ ბურჟუაზიის, მისი მეურნეობის სტაბილიზაცია არ ატარებს მტკიცე ხასიათს, რომ იგი მერყევია. მცირეოდენი ჩაკვირვება ცხადჰყოფს, რომ ბურჟუაზიის განვითარება შეიცავს მრავალგვარ წინააღმდეგობათ. ბურჟუაზია ცდილობს ასწიოს, აამაღლოს სახალხო მეურნეობა, რაციონალიზაცია უყოს წარმოებას, მხოლოთ ერთი ღონისძიებით: მუშათა კლასის ნივთიერი შევიწროებით, მისი სამუშაოს დროს გადიდებით და ხელფასის შემცირებით. სწორეთ ეს ღონისძიება იწვევს მდგომარეობის გამწვავებას. ხელფასის სწორედ ამ ღონისძიებებით უკმაყოფილება მუშათა მასაში იზრდება და რევოლიუციონური მოძრაობაც ძლიერდება. მთავარი ის არის, რომ ეს უკმაყოფილება პოლიტიკურ ხასიათს ღებულობს, მუშათა კლასში იჭრება ის შეგნება, რომ მისი შევიწროვება, ხელფასის შემცირება, სამუშაო დროის გაგრძელება და ლოკაუტი არის არა რომელიმე ცალკე კაპიტალისტის ან კაპიტალისტთა ჯგუფის მოქმედების შედეგი, არამედ შედეგი მთელი კაპიტალისტური სისტემის. დღეს მუშათა კლასს უკვე კარგათ ესმის, რომ მისი მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესება, თუ კი ამას სადმე ადგილი აქვს, საკითხს საბოლოოთ არ სწყვეტს, რომ საჭიროა საკითხი დაისვას მთელი პოლიტიკური წყობილების რადიკალური შეცვლის შესახებ. მუშათა კლასს რომ ასეთი შეგნება ამოძრავებს, ამის დამამტკიცებელია ფეიქართა გაფიცვა პოლონეთში, და უკანასკნელი დროის გაფიცვები გერმანიაში. თუ ლოძის ფეიქართა გაფიცვა დამარცხდა, ამისი მიზეზი არ არის არა მოძრაობის სისუსტე, არამედ სოციალ-დემოკრატიის გამცემლობა, რომელიც ამჟამად საერთაშორისო ბურჟუაზიის საუკეთესო დასაყრდენს წარმოადგენს, სოციალ-დემოკრატიის ეს მოღალატეობა თანდათან უფრო აშკარა ხდება მუშათა ფართო მასებისათვის, რომელიც სოციალ-დემოკრატებისაგან დამოუკიდებლად დგება რევოლიუციონური მოძრაობის გზაზე. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ მუშათა მასებში ფეხს იკიდებს და ძლიერდება სოლიდარობა და აქტიური თანაგრძნობა ურთიერთ რევოლიუციონური მოძრაობისადმი. იმ დროს, როცა სოციალ-დემოკრატია ვერაგულათ ღალატობს პოლონეთისა და გერმანიის გაფიცულ მუშებს, ჰოლანდიის, ბელგიის და საფრანგეთის მუშები აცხადებენ, რომ ისინი კისრულობენ ლოკაუტ გამოცხადებულ მუშათა შვილების შენახვას. ამ სოლიდარობის ზრდა ამტკიცებს იმას, რომ მართალი არ არის სოციალ-დემოკრატების ლაყბობა იმის შესახებ. თითქოს ევროპის ქვეყნებში დღეს განხორციელებული იყოს ეგრეთ წოდებული „სამრეწველო დემოკრატია“. ე. ი. კაპიტალისტების და მუშების შეთანხმებული თანამშრომლობა, რომელიც თითქოს მიზნათ ისახავს სახალხო მეურნეობის ქოს მიზნათ ისახავს სახ. მეურნეობის საერთო ძალებით აღდგენას. დაუსრულებელი გაფიცვები ამ დებულებას არღვევენ და ააშკარავებენ კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებულ შინაგან წინააღმდეგობას, რაც კაპიტალიზმის სტაბილიზაციას შეუძლებლათ ხდის.

მეორე მოვლენა, რომელიც ძირს უთხრის კაპიტალიზმის სიმტკიცეს, ეს არის რევოლიუციონური განმანთავისუფლებელი მოძრაობა კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში. განმანთავისუფლებელი მოძრაობა უკვე გაშორდა ჩინეთის ფარგლებს და გადავიდა ინდოეთში, ცხადია, ამ მოძრაობას ძლიერი იერიშები მიაქვს კაპიტალიზმის წინააღმდეგ და ხელს უშლის მის სტაბილიზაციას.

მესამე გარემოება, რომელიც არყევს ბურჟუაზიულ ქვეყნების სიმტკიცეს, არის მათ შორის არსებული ინტერესთა წინააღმდეგობა, რომელიც საშუალებას არ აძლევს მათ ურთიერთ შორის გამონახონ საერთო ენა, თუმც საამისო ცდები ბევრი იყო და არის. ცალკე ბურჟუაზიულ ქვეყნებს შორის არსებულ წინააღმდეგობების მხრით უველაზე მთავარი არის წინააღმდეგობა ამერიკისა და ინგლისის შორის. ეს უკანასკნელი ვერ შერიგებია იმას, რომ ჩრდილოეთ ამ. შეერთებულ შტატების სახით გამოჩნდა სახელმწიფო, რომელიც ცდილობს თავის ჰეგემონიის ქვეშ იყოლიოს მთელი მსოფლიო. ინგლისი ვერ შერიგებია იმას, რომ ამერიკას გერმანიასა და პოლონეთში ყავს თავისი წარმომადგენელი, რომელთა მისია არის შეერთებული შტატების ეკონომიურ ზეგავლენის განმტკიცება ამ ქვეყნებში. სადაც არ უნდა წავიდეს ამერიკის წარმომადგენელი, ყველგან ილახება ინგლისის ინტერესები. ასეთია მთავარი წინააღმდეგობა ამ ორ ქვეყანას შორის, მაგრამ ამავე დროს წინააღმდეგობანი არსებობს სხვა ქვეყნებს შორისაც. გერმანია განწყობილია პოლონეთის სამტროთ და პირიქით, პოლონეთი ლიტვის წინააღმდეგ, ლიტვა პოლონეთის წინააღმდეგ და ასე შემდეგ. ამ წინააღმდეგობათა შორის მთავარია წინააღმდეგობა ინგლისსა და ამერიკის შორის, რომელიც საშუალებას არ აძლევს ინგლისს გამონახოს ამერიკასა და აგრეთვე სხვა სახელმწიფოებთან საერთო ენა შეთანხმებისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რადგან უდიდესი ძალა, რომელიც აბრკოლებს მათ ნამდვილ სტაბილიზაციას. ეს არის საბჭოთა კავშირი, იგი დღით-დღე ეკონომიურად და პოლიტიკურად მტკიცდება.

საბჭოთა კავშირის განმტკიცების საფრთხე არ ასვენებს არც საფრანგეთს, რომელიც ინგლისის მსგავსად ამ უკანასკნელ ხანებში აწარმოებს ვერაგულ პოლიტიკას ჩვენს წინააღმდეგ. მას ყავს თავისი წარმომადგენლები პოლონეთში, რუმინეთში და აგრეთვე ამერიკაშიდაც, სადაც ისინი ცდილობენ მოაწყონ ჩვენი საწინააღმდეგო გამოსვლები, განსაკუთრებით მაშინ, როცა იზრდება ინტერესი ჩვენი კავშირის მიმართ. როცა ჩნდებიან მთელი ჯგუფები, რომელნიც დაინტერესებულნი არიან გააბანა საქმიანი კავშირი საბჭოთა რესპუბლიკასთან და ამ მიზნით იწყებენ კიდეც მოლაპარაკებას. საფრანგეთს ვერ მოუნელებია ის, რომ თერთმეტი წლის ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ, შეიძლება დამთავრდეს მით, რომ ამერიკის საქმიანმა წრეებმა ჩვენთან ეკონომიური ურთიერთობა გააძლიერონ რასაც შეიძლება ნორმალური პოლიტიკური ურთიერთობის აღდგენა მოჰყვეს. საფრანგეთის ნერვიულობას ისიც აძლიერებს, რომ გერმანიამ გამოჰყოს თავის წარმომადგენლობა, რომელსაც დაევალა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ. ამასთან ისიც, რომ ამერიკის წარმომადგენელი დიუ ამავე მიზნით ჩავიდა მოსკოვში. სწორედ აი ეხლა, როცა ასეთი მოლაპარაკება სწარმოებს, ჩვენი მტრები აჩაღებენ თავიანთ მუშაობას ჩვენს წინააღმდეგ.

ერთ-ერთი ძალა, რომელიც ხელს უშლის ჩვენს ნორმალურ ურთიერთობას საქმიან წრეებთან, არის სოციალ-დემოკრატია; ის ქვეყანას არწმუნებს, რომ შეუძლებელია საქმიანი კავშირი საბჭოთა რესპუბლიკებთან, რადგან მათ მიზანს შეადგენს არევ-დარევის, რევოლიუციების და მუდმივი აყალ-მაყალის გამოწვევა მსოფლიოში.

ჩვენ ხელი მოვაწერეთ კელოგის პაქტს. ეს იმიტომ კი არა, რომ გვჯერა ამ პაქტის ძალა, იმიტომ კი არა, თითქოს გვწამდეს რომ ეს პაქტი ნამდვილათ დაამყარებს მშვიდობიანობას, არამედ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ მთელ ქვეყანას, რომ მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად საბჭოთა კავშირი მზათ არის ხელი მოაწეროს თუნდ ისეთ შეთანხმებასაც, როგორიც არის ეს პაქტი და ამით გააბათილოს სოციალ-დემოკრატიის ჭორები საბჭოთა კავშირის „სისხლის მოყვარეობის“ შესახებ.

ჩვენ უნდა გავაბათილოთ ეს ჭორი, რომელიც გავრცელებულია სოციალ-დემოკრატიის მიერ ევროპის მუშათა კლასში. შევიჭრათ მასში. გავაჩაღოთ იქ ნამდვილი რევოლიუციონური მუშაობა და საბოლოოთ გავანთავისუფლოთ იგი მეორე ინტერნაციონალის გავლენისაგან. ასეთია ჩვენი მუშაობა საგარეო ურთიერთობის დამოკიდებულების სფეროში.

საშინაო მდგომარეობა

მრეწველობა

შემდეგ ამხ. კახიანი გადადის საბჭოთა კავშირის შინაურ მდგომარეობაზე და ეხება საბჭოთა მეურნეობის განვითარების საკითხებს.

უკვე სამი წელიწადია,—ამბობს იგი,—ჩვენ ავიღეთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ხაზი, სამი წელიწადია ჩვენ ამ პოლიტიკით ვცხოვრობთ და ეხლა საჭიროა ვიკითხოთ, თუ რა მოგვცა ამ პოლიტიკამ; მოიტანა მან თუ არა ისეთი ნაყოფი, რომელსაც ჩვენ მისგან მოველოდით?

პირველ ყოვლისა, უნდა გამოვარკვიოთ ჩვენი მეურნეობის განვითარება, იყო თუ არა წინსვლა იმ ტემპით, რომლითაც მან უნდა გაუსწროს კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების ტემპს. ჩვენ აქ გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი განვითარება ასეთი ტემპით მიდის. საკონტროლო ციფრების თანახმად ჩვენი მეურნეობის პროდუქცია უნდა გადიდებულიყო 15 პროც., ნამდვილათ კი გაიზარდა 22 პროც. ბევრს ეგონა, რომ როცა ჩვენი მეურნეობა რეკონსტრუქციის პერიოდში გადავიდოდა, ეს ტემპი შემცირდებოდა, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა, და ჩვენ ვხედავთ, რომ ამ პერიოდშიდაც ჩვენი მეურნეობის პროდუქცია იზრდება არა 10—15, არამედ 20—30 პროცენტით. ასეთია ტემპი ჩვენი პროდუქციის ზრდისა.

ძლიერი ტემპით ვითარდება აგრეთვე ჩვენი კაპიტალური მშენებლობა. თუ 1927-28 წელს კაპიტალური მშენებლობას მოხმარდა 1.300 მილიონი მანეთი, მიმდინარე 1928-29 წლისთვის კაპიტალურ მშენებლობაზე გადადებულია 1.650 მილიონი მანეთი, ხოლო ხუთი წლის განმავლობაში კაპიტალურ მრეწველობას მოხმარდება 11 მილიარდი. ამ მხრივ ჩვენ მიერ წარმოებული მუშაობა ძალიან დიდია; მაგრამ საჭიროა არა მარტო მრეწველობის განვითარება, არამედ არსებულ წარმოებათა რეკონსტრუქცია და რაციონალიზაცია.

ამ მხრივაც ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს. მთელ რიგ წარმოებებში ჩატარებულია რაციონალიზაცია და ალაგ სრული მისი გარდაქმნა, რასაც შედეგათ მოჰყვა ის, რომ წარმოებებში თვითღირებულება 5 პროცენტით შემცირდა, ხოლო შრომის ნაყოფიერებამ 14 პროც. იმატა.

სამწუხაროდ ამ მხრივ საქართველოს ჩამორჩენა ეტყობა. ჩვენ არა თუ შევამცირეთ თვითღირებულება, არამედ ერთი პროცენტით გავადიდეთ კიდეც, ხოლო შრომის ნაყოფიერება კი დაეცა 3 პროცენტით. ეს ფრიად არანორმალური მდგომარეობაა და პროფკავშირების ამოცანაა, რომ ეს მდგომარეობა გამოასწორონ, გააძლიერონ საწარმოო თათბირების მუშაობა, გააჩაღონ ეკონომიური მუშაობა, ჩააბან სამეურნეო მუშაობაში პროფკავშირებში გაერთიანებული მასები, მოაწყონ წარმოებებში საკონტროლო კომისიები და სხვა.

მართალია, თვითღირებულებამ დაიკლო, მაგრამ ეს არ არის საერთოდ ჩვენი მეურნეობის ჩამორჩენის, მისი შეჩერების შედეგი. პირიქით, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, ისე ჩვენშიც მეურნეობა სწრაფი ნაბიჯით ვითარდება; მისი პროდუქცია ყოველ წლიურად იზრდება. თუ 1926-27 წელს მრეწველობის პროდუქციის ღირებულება 54 მილიონს უდრიდა, 1927-28 წელს ამ ღირებულებამ 64 მილიონს მიაღწია, ხოლო მიმდინარე 1928-29 წლისათვის ჩვენი მრეწველობის მიერ გამომუშავებულ პროდუქციის ღირებულება 85 მილიონამდე აიწევს. პროდუქციის გადიდება მთელი 20 მილიონი მანეთით ერთი წლის განმავლობაში, უდიდესი გამარჯვებაა.

ჩვენი მეურნეობის წარმატების მაჩვენებელია მუშათა კადრების ზრდაც, რასაც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან მუშათა კლასი საბჭოთა წყობილების საფუძველია. თუ 26-27 წელს წარმოებებში ჩაბმულ მუშათა რიცხვმა 13.527 მიაღწია, 27-28 წელს ეს რიცხვი უკვე 16 ათასამდე ავიდა, ხოლო მიმდინარე 28-29 წლისთვის, მოსალოდნელია, რომ იგი 20 ათას გადააჭარბებს. მუშათა მასების ზრდა ჩვენი მრეწველობის განვითარების პირდაპირი შედეგია. ეს განვითარება ხდება გეგმაშეწონილი, წინასწარ გამომუშავებული ღონისძიებებით. ყურადღება ექცევა მრეწველობის იმ დარგების განვითარებას, რომლის განვითარების შესაძლებლობასაც იძლევიან ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობები—სამთო მრეწველობა, ხე-ტყის, აბრეშუმის, თამბაქოს და სხვ.

ამჟამად ჩვენ ხელი მოვკიდეთ ჭიათურის მაღაროების საკუთარი ძალებით ექსპლოატაციას, კერძო კონცესიონერმა ვერ შესძლო თავის პირობების შესრულება, მან ვერ მოახერხა ჭიათურის აღდგენა, საამისოდ მას არ აღმოაჩნდა საკმაო უნარი, ტეხნიკურად მან ერთი ნაბიჯითაც წინ ვერ წასწია მაღაროების დამუშავების საქმე. ეხლა—როგორც ვთქვით თვით ჩვენ მოვკიდეთ ჭიათურის შავი ქვის ექსპლოატაციას ხელი, და გადავწყვიტეთ კვლავ ავაღორძინოთ იგი, ჩვენ ამას შევსძლებთ, რადგან შექმნილია უკვე ხელსაყრელი პირობები. ბაზარი უკვე მოპოვებულია და თვით ქვის მარაგიც საკმაოა იმისათვის. რომ ჩვენ ეს ბაზარი დავაკმაყოფილოთ. საჭიროა მხოლოდ გაძლიერებული მუშაობა, რომ ჩვენი მუშა ხელის შრომამ მეტი ნაყოფი გამოიღოს, რომ შევამციროთ თვითღირებულება და გავზარდოთ საერთო ნაყოფიერება. აქ პროფკავშირებს მოუხდებათ მთელი ძალების დაჭიმვა და მუშების დარაზმვა სამეურნეო მუშაობაში მათი მონაწილეობის გასაძლიერებლად. აქვე დავიწყებული არ უნდა იქნეს საკითხი ჩვენი სპეციალისტების შესახებ. შახტის შემდეგ სპეციალისტებისადმი დაიბადა ერთგვარი უნდობლობა, ბუნებრივია, თუ შახტის შემდეგ ჩვენ მუშებს გული გაუტყდათ სპეციალისტთა იმ ნაწილზე, რომელიც ჩვენი მრეწველობის აღორძინების ნაცვლად, ცდილობდა მის დანგრევას; მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მუშათა კლასი გამსჭვალული იყოს სიძულვილით საერთოდ სპეციალისტების მიმართ. თუ კი სადმე ასეთი დამოკიდებულება არსებობს, პროფკავშირებმა უნდა ეცადონ მის აღმოფხვრას. უნდა განმტკიცდეს შეგნება, რომ ჩვენი მეურნეობის განვითარება საჭიროებს ძველი სპეციალისტების ცოდნასა და გამოცდილებას, რომ საჭიროა მათი დაზოგვა და ისე მოპყრობა მათდამი, რომ მათ გაუორკეცდეს მუშაობის ხალისი. შეთანხმებული მუშაობით და თანამშრომლობით ჩვენი მუშათა კლასი შესძლებს იმ ამოცანების წარმატებით გადაჭრას, რომლის წინაშე სდგას ჩვენი სამეურნეო განვითარება.

სასოფლო მეურნეობა

თუ ჩვენი სახალხო მეურნეობა წინ მიდის და მას წინ მიუძღვის ჩვენი მრეწველობა, ეს არ შეიძლება ითქვას ჩვენ სასოფლო მეურნეობაზე. სასოფლო მეურნეობა მეტისმეტად ჩამორჩა მრეწველობას, მისი განვითარების ტემპი ისეთი არ არის, როგორც მრეწველობის სხვადასხვა დარგების. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი არ იზრდება, რომ იგი დეგრადაციას განიცდის. იგი ვითარდება, მისი პროდუქცია მატულობს, მაგრამ ჩვენ იგი საკმაოდ არ მიგვაჩნია და ამჟამად ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის ერთი მთავარი ამოცანაა მისი ტემპის დაჩქარება, რადგან სასოფლო მეურნეობა არის ჩვენი მრეწველობის მასაზრდოებელი წყარო. მისი ჩამორჩენა ამავე დროს იქნება ჩვენი მრეწველობის განვითარების შეფერხებაც. ამიტომ უაღრეს ყურადღებას საჭიროებს ჩვენ მხრივ მთელი სასოფლო მეურნეობა მთლიანად და განსაკუთრებით სასოფლო მეურნეობის ის დარგები, რომელიც მრეწველობის განვითარების საფუძველს წარმოადგენენ. საქართველოში ასეთი დარგებია—ბამბა, თამბაქო, აბრეშუმი და ჩაი. მთელი ჩვენი გულისყური ამ დარგების განვითარებისაკენ არის მიქცეული, ჩვენ უკვე გვაქვს გადადგმული პირველი ნაბიჯები ამ კულტურების ასაღორძინებლად. უკვე გაშენებულია რამოდენიმე ათასი ჰექტარი—ჩაის პლანტაცია, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში 20 ათას ჰექტარამდე იქნა აყვანილი. აგებულია ფაბრიკები, რომელიც უკვე ამუშავებენ ჩაის, თუ დღეს ცნობილია საქართველოს ღვინო, არ იქნება ურიგო, თუ ასევე ცნობილი გახდება საქართველოს ჩაი, ჩვენ იმდენი უნდა გავაკეთოთ, რომ ქართულმა ჩაიმ დაიპყროს მთელი კავშირის ბაზარი. რასაკვირველია, ჩვენი მუშაობა უნდა შეეხოს არა მარტო ჩაის მეურნეობის, არამედ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებსაც.

რა გზები არსებობს სოფლის მეურნეობას აღორძინებისა და განვითარებისათვის? არსებობს მხოლოდ სამი გზა: ინდივიდუალური მეურნეობის განვითარება, კოლექტიურ მეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის განვითარება. ჩვენ უნდა დავადგეთ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გზას, რომელიც აძლიერებს სოციალისტურ სექტორს სასოფლო მეურნეობაში. რა საშუალებით შეგვიძლია ჩვენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია? ამისათვის არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება, ეს არის სოფლის მეურნეობაში უმაღლესი ტეხნიკის შეტანა. მანქანა სოფლათ ახდენს ნამდვილ ტეხნიკურ რევოლიუციას. მანქანით—ტრაქტორის გამოყენება დაქუცმაცებულ მიწის ნაჭერზე შეუძლებელია. აქ იგი ზარალის მეტს არაფერს არ იძლევა. ტრაქტორისთვის საჭიროა ვრცელი მინდორი, დანაწილებულ მიწის ნაჭრების გაერთიანება. როცა გლეხი, რომელიც ყველაფერს პრაქტიკული თვალსაზრისით უდგება, ხედავს იმ ნაყოფს, რომელიც მანქანას მოაქვს ცდილობს თავის მეურნეობაშიაც გამოიყენოს ის, იგი მას ვერ გამოიყენებს და ვერ მოიხმარს, თუ სხვას არ შეუამხანაგდა და შეუკავშირდა. მაგ. სოფ. ოსიაურის გლეხებმა, რომლებიც საკუთარი თვალით დარწმუნდენ, რომ სამი ტრაქტორი უფრო მეტს იძლევა, ვიდრე 24 უღელი ხარკამეჩი, აღძრეს შუამდგომლობა, რომ მათთანაც მოეწყოს ამხანაგობა და მიეცეთ ტრაქტორი. აი ასე შეაქვს მანქანას კოლექტივიზმის უპირატესობის შეგნება გლეხურ მასაში.

ამჟამად საბჭოთა კავშირში 75 ათასი კოლექტიური მეურნეობაა, საქართველოში კი 500, ეს დიდი მიღწევაა, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოლექტიური მეურნეობა ყველგან კარგათ არ არის დაყენებული, ბევრგან სჭარბობს წვრილი კოლექტივები. წვრილი გაერთიანებანი, რომელნიც მაინცა და მაინც დიდ ნაყოფს ვერ გამოიღებენ, რადგან მანქანა და მისი გამოყენება მომგებიანია, მხოლოთ დიდ ველებზე. ამიტომ მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ დიდ კოლექტიურ ერთეულების შექმნას და მათში საქმის ისე დაყენებას, რომ ყოველ წლიურათ კოლექტიური მეურნეობათა შემოსავალი იზრდებოდეს და მატულობდეს. ბევრს ჰგონია, რომ კოლექტიური მეურნეობის მოწყობა შეიძლება მხოლოთ კრედიტების და დახმარებების მიღებით. ეს სწორი არ არის. მარტო ფულების მიღებით რომ მეურნეობის კოლექტიური ფორმები არ ვითარდებიან, ამას მრავალი მაგალითი ამტკიცებს, რამოდენიმე წლის წინად ჩვენი ბანკებიდან გაქონდათ სესხი, რომელიც წარმოების განვითარებას კი არ ხმარდებოდა, არამედ სახლების შენებას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მთავარია კოლექტიურ მეურნეობაში წარმოების ახალი ფორმების განვითარება. ამის შეგნება უნდა შევიტანოთ იმ მასაში, რომელიც კოლექტიურ მეურნეობებს უდგანან სათავეში. ამ საქმეში დიდი როლი შეუძლია ითამაშონ ჩვენმა მუშებმა — პროფორგანოებში გაერთიანებულმა მასებმა. საჭიროა მთელი ჩვენი შეგნებული მასა შეკავშირდეს და შეკავშირებული ძალით გამოვიდნენ სოფლად. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საჭიროა დაცულ იქნეს ის ხაზი, რომელიც პარტიას აქვს აღებული ჩვენი გლეხობის მიმართ.

არაფრის გზით ეს ხაზი არ უნდა იქნეს გამრუდებული. ჩვენი ხაზია დავეყრდნოთ ღარიბ გლეხობას, ვიქონიოთ კავშირი საშუალო გლეხობასთან და ერთი წუთითაც არ შევანელოთ ბრძოლა კულაკების წინააღმდეგ.

თუ ჩვენ კავშირი არ გვექნა საშუალო გლეხობასთან, ჩვენი მდგომარეობა არ იქნება მტკიცე. მას მიიმხრობს გლეხობის კულაკური ნაწილი და გაერთიანებული ძალით წამოვა ჩვენს წინააღმდეგ. გლეხობის მთავარი მასა ჩვენ გვიჭერს მხარს. ამ ოთხი წლის განმავლობაში სოფლად ბევრი რამ გაკეთდა. ი მნიშვნელოვანი მიღწევებია, რასაც ხედავს და აფასებს ჩვენი გლეხი. ტყუილია, მენშევიკების მტკიცება და ლორთქიფანიძის ჩივილი. რომ დღეს ჩვენს სოფელში გლოვა და ტირილია, რომ ეს ასე არ არის, რომ იგი კმაყოფილია საბჭოთა ხელისუფლებით ამას დაგვიმტკიცებს. ალბათ საბჭოთა მომავალი არჩევნები, მაგრამ გლეხების დღევანდელი კმაყოფილება სრულიადაც არ უნდა გვაძლევდეს საბაბს, რომ გულზე ხელები დავიკრიფოთ და არაფერი ვაკეთოთ.

იმ დიდ ღონისძიებათა გატარება, რომელიც ჩვენ განზრახული გვაქვს სოფლის გადასაყვანად კოლექტიურ მეურნეობაზე, შეუძლებელი არის. თუ არ ავამაღლეთ ჩვენი გლეხობის შეგნება მისი კულტურული დონე. აქაც, ვიმეორებ, დიდი მოვალეობა აწევს პროფკავშირებს. ეს საქმე არ შეიძლება დაეკისროს მარტო იმ კავშირს რომელსაც უშუალო ურთიერთობა აქვს სოფლად მუშებთან. ყველა პროფკავშირებმა, სამრეწველო დარგის მუშების გამაერთიანებელი იქნება იგი თუ სოფლად მომუშავე კულტურული მუშაკებისა, ყველამ მონაწილეობა უნდა მიიღონ იმ დიდ საქმეში, რომელსაც ჩვენი გლეხობის პოლიტიკურ-კულტურული გათვითცნობიერება ეწოდება.

ეროვნული საკითხი

ორიოდე სიტყვა მინდა ვსთქვა ეროვნულ საკითხზე. ჩვენ უკვე მიღწეული გვაქვს ამიერ-კავკასიაში ის რაციონალური მშვიდობიანობა, რომელზედაც ოცნებობდა ამხ. ლენინი და რომლის გატარებასაც გვავალებდა ჩვენ. მაგრამ ნეპმანური ელემენტების ზრდამ გამოაცოცხლა ნაციონალისტური ტენდენციები. გამოჩნდა ნაციონალიზმის აღორძინების ნიშნები. მაგ. აქა-იქ გაისმის ჩურჩული, რომ საჭიროა ამიერ-კავკასიის ფედერაციის „შეკერება“-ო. ის შეკითხვაც, რომელიც ერთ ერთ დელეგატს მიუცია ამ ყრილობის პრეზიდიუმისათვის, ამ ნაციონალისტური სულისკვეთების მაჩვენებელია. საქართველოს პროფკავშირთა ყრილობაზე რატომ არის რუსულ ენაზედაც ლაპარაკიო. ეს არ არის ჩვენი შეხედულება. ჩვენ, ეროვნული პოლიტიკა არ გვესმის ისე, რომ პატივი ვსცეთ მხოლოთ ქართულ ენას და ხელი ვკრათ და გასაქანი არ მივსცეთ ეროვნულ უმცირესობათა ენებს. ყოვლად შეუძლებელია რაიმე გავაკეთოთ, თუ ჩვენ ერთმანეთის გაგება არ გვექნება და იმ „ენით“ ვილაპარაკებთ, როგორც ამ შეკითხვის ავტორი ლაპარაკობს. ჩვენ ასეთ განწყობილებას უნდა ვებრძოლოთ და გახურებული შანთით ამოვსწვათ იგი, რადგან ეს შეხედულება არის ნაციონალისტური შხამი ბურჟუაზიის, რომელიც ცდილობს განამტკიცოს თავისი პოზიციები.

მენშევიკები — იმპერიალისტების სამხედრო ჯაშუშები

ჩვენ დავამარცხეთ ჩვენი წესწყობილების უდიდესი მტერი.—ჩვენ გავანადგურეთ მენშევიკური პარტია, მას დღეს არავითარი გასავალი და გავლენა არა აქვს ქართველი მშრომელ მასაში. როგორც ჩვენი მოწინააღმდეგე, მენშევიზმი არარაობას წარმოადგენს, მაგრამ ამ ახლო ხანში მოხდა შემთხვევა, რომელიც ამტკიცებს, რომ საერთაშორისო ბურჟუაზიას მენშევიკების სახით ჩვენში ჰყავს თავისი აგენტები. ჩვენ ჩაგვივარდა ორი დოკუმენტი, რომელიც მოწმობს, რომ სოციალ-დემოკრატები ნამდვილი აგენტები არიან და ამას თვითაც არ მალავენ. ეს დოკუმენტი შეეხება პარმენ ფირცხალაიშვილს და ალექსანდრე ლორდელს, რომელიც მენშევიკებს გამოუგზავნიათ საქართველოში სამუშაოთ. როგორ მუშაობდენ ეს სოციალ დემოკრატების მოციქულები? მოუსმინოთ მათ.

პ. ფირცხალაიშვილი ამბობს, რომ გამოგზავნილი ვიყავი 1926 წლის ივლისში და დაპატიმრებამდე ე. ი. 1928 წლამდე ვაწარმოებდი მუშაობასო. აქ უნდა შემეგროვებია სამხედრო ხასიათის ცნობები და გამეგზავნა ჩვენი ბიუროს პრეზიდიუმისათვის. სამხედრო ცნობები უნდა შეხებოდა არა მარტო საქართველოს, არამედ სომხეთსა და აზერბეიჯანსაცო, ჩვენს შეკითხვაზე, თუ ვისთვის უნდოდათ ეს ცნობები, მან განაცხადა: ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებისთვისო. ამასვე ლაპარაკობს მეორე ემისარი ლორდელი, რომელიც სიტყვა სიტყვით შემდეგს აცხადებს:

„1927 წ. საზღვარგარეთელ ბიუროს რწმუნებულის ივანე ქარცივაძის ჩავარდნის შემდეგ, საქართველოს ს.დ.მ.პ. ხელმძღვანელობისათვის მე დანიშნული ვიყავი საზღვაგარეთელ ბიუროს რწმუნებულათ საქართველოში. წამოსვლის წინ, მე მივიღე დირექტივები საზღვარგარეთელ ბიუროს პრეზიდიუმისაგან (ჟორდანია, რამიშვილი და მეწალარიშვილი) საქართველოში ჩემი მომავალი მუშაობისა და პარტიის ხელმძღვანელობის შესახებ ამ საკითხებზე, ასეთივე დაწვრილებითი დირექტივები მე მომცა ნ. რამიშვილმა (ბიუროს თავმჯდომარის ამხანაგი).

8 თუ 10 ნოემბერს მე გავემართე საქართველოში, სადაც მივედი დეკემბრის პირველ რიცხვებში და დავიჭირე კავშირი პარმენ ფირცხალაიშვილთან, რომელიც იყო საზღვარგარეთელი ბიუროს რწმუნებული საქართველოში და რომლისგანაც მე უნდა მიმეღო ჩვენი პარტ-აპარატი, თანდათანობით მე დავიწყე ორგანიზაციებისა და მისი ხელნობა. ამ მუშაობის პროცესში გავეცანი პარმძღვანელ ორგანოების მდგომარეობას გაცმენ ფირცხალაიშვილის სამხედრო დაზვერვით მუშაობასაც და 1928 წ. 23 იანვარს მე და პარმენ ფირცხალაიშვილმა გადაუგზავნეთ ვასო წულაძეს წითელი ჯარის შესახებ კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სამხედრო-დაზვერვითი ცნობები, რომელიც შეკრებილი იყო პარმენ ფირცხალაიშვილის მიერ.

აღნიშნული მასალები შეიცავდა ცნობებს კავკასიის წითელდროშოვანი არმიის შემადგენლობისა, სტრუქტურის და მდებარეობის შესახებ; მის სამხედრო მდგომარეობაზე, როგორც მშვიდობიან, ისე ომიანობის დროს; ს. პ. ს.—სა და განსაკუთრებულ განყოფილებათა მუშაობის შესახებ, არმიის პოლიტიკურ-მორალურ მდგომარეობის შესახებ და სხვა, წერილის ტექსტი შედგენილი იყო რუსულად „ოთარის“ ე. ი. პარმენ ფირცხალაიშვილის სიტყვით, ასეთივე ხასიათის ცნობები, მას რამდენჯერმე გადაუგზავნია ვასო წულაძისათვის ოსმალეთის გენერალური შტაბის გადასაცემად.

რამოდენიმე დროის შემდეგ, პარმენ ფირცხალაიშვილმა მიიღო უფრო დაწვრილებითი ცნობები სამხედრო დაზვერვითი ხასიათის. ეს ცნობები ჩვენ ე. ი. მე და პარმენ ფირცხალაიშვილმა დავშიფრეთ პოტრესოვის წიგნში. დაშიფრული წერილი ვასო წულაძის გადასაგზავნად მიიღო პარმენ ფირცხალაიშვილმა და როგორც მე მან მაცნობა, წერილი გაგზავნა დანიშნულებისამებრ, უნდა აღვნიშნო, რომ ეს მასალებიც, გადაგზავნილი ჩვენს მიერ საზღვარგარეთ, როგორც მე ზემოთ აღვნიშნე, შეიცავდა სამხედრო დაზვერვითი ხასიათის უფრო დაწვრილებით ცნობებს კავკასიის წითელდროშოვანი არმიის შესახებ, ცალკე რესპუბლიკების მიხედვით, რომელიც შედის ამიერ-კავკ. ფედერაციაში (საქართველო, სომხეთი, აზერბეიჯანი).

პარმენ ფირცხალაიშვილის გამგზავრების შემდეგ საზღვარგარეთ, მე როგორც საზღვაგარეთელი ბიუროს რწმუნებული, გავაგრძელებდი სამხედრო დაზვერვითი ხასიათის ცნობების გადაგზავნას, რომ ასეთი მე მიმეღო ზემოთ დასახელებულ თანამშრომელისაგან.

ჩემი ჩვენების დასასრულ, მე უნდა განვაცხადო, რომ სამხედრო დაზვერვითი ხასიათის ცნობების შეკრება და დამუშავება საქართველოს ს.-დ. მ. პარტიისა და მის ხელმძღვანელ ორგანოების მიერ (ც. კ. საზღვარგარეთელი ბიუროს რწმუნებული და სხვა) და მის მიერ ასეთი ცნობების გადაგზავნა საზღვარგარეთელ ბიუროსათვის და მის რწმუნებულისათვის სხვადასხვა უცხოელ სახელმწიფოთა გენერალურ შტაბების გადასაცემად—მიმაჩნია სამარცხვინოთ და საქ ს.-დ. მ. პარტიის სრულ იდეურ-პოლიტიკურ გაკოტრებათ.

ამგვარათ ამ ვაჟბატონს სამხედრო დაზვერვითი ხასიათის ცნობების შეკრება და გადაგზავნა საზღვარგარეთელ ბიუროსათვის სამარცხვინოდ და სოციალ-დემოკრატიის პარტიის იდეურ პოლიტიკის სრულ გაკოტრებათ მიაჩნია მაშინ, როცა იგი გაება. ხოლო მაშინ. როცა იგი აგზავნიდა ამ ცნობებს, სოციალ დემოკრატების ასეთი მოქმედებას სამარცხვინოდ არ სთვლიდა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სოციალ-დემოკრატია საქართველოში გახდა საერთაშორისო ბურჟუაზიის აგენტი. როგორც პოლიტიკური პარტია, იგი არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს. ეხლა ისღა დარჩათ, რომ ასეთი საზიზღარი მუშაობა აწარმოონ. ჩვენ ასეთ მუშაობას უნდა ვუპასუხოთ ჩვენი რიგების კიდევ უფრო მეტი შემჭიდროებით, ჩვენი მუშაობის გაძლიერებით და იმ ხაზის მტკიცე გატარებით, რომელსაც გვიკარნახებს კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება. (ტაში).

ავტომობილის კატასტროფა საქართველოს სამხედრო გზაზე

კატასტროფის დროს დაიღუპა ა.-კ. რკინისგზების გაერთ. სახ. პოლიტიკურ სამმართველოს უფროსი ამხ. თ. ეჯიბია და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის წევრი ამხ. ი. კოჩეტკოვი. — მძიმედ დაშავდნენ ამხ. ეჯიბიას მოადგილე ამხ. ფეტერი და სამრეწველო ბანკის განყოფილების გამგე ამხ. ს. ულენტი. — მსუბუქად დაიჭრა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის წევრი ამხ. რთველაძე. — შოფერი და სხვა მგზავრები უვნებლად გადარჩნენ.

კვირას, 25 ნოემბერს, ნატახტარის წყალსადენის სამუშაოების დასათვალიერებლად გაემგზავრენ თბილისიდან ამიერ-კავკასიის რკინის გზების სახელმწიფო გაერთიანებულ პოლიტიკურ სამმართველოს ავტომობილით, რომელსაც მართავდა შოფერი გოგოლაძე; რკინის გზების სახ. პოლიტ სამმართველოს თავმჯდომარე ამხ. ეჯიბია, საქ. კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრი ამხ. კაჩეტკოვი, გ. რთველაძე, ფეტერი, სამრეწველო ბანკის დირექტორი ამხ. ულენტი და ბაქოდან სტუმრად ჩამოსული აზერბეიჯანის გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტსამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გორებჩენკო.

სამხედრო გზაზე, წილკანის ველის მახლობლად ავტომობილმა განიცადა კატასტროფა. რომლის დროსაც გარდაიცვალა ამხ. ეჯიბია, და ამხ. კაჩეტკოვი. მძიმედ დაშავდნენ, ამხ. ულენტი და ფეტერი. ამხ. გიორგი რთველაძე და შოფერი გოგოლაძე დაშავდენ მსუბუქად, ხოლო ამხ. გორეფჩენკო გადარჩა უვნებლად.

გარდაცვალებულნი და დაშავებულნი მოთავსებულნი არიან ქალაქის მეორე საავადმყოფოში. როგორც წინასწარი ცნობებიდან სჩანს კატასტროფის მიზეზი არის ავტომობილის დაზიანება. კატასტროფის დაწვრილებითი მიზეზების გამოსარკვევად შესდგა სპეციალური კომისია.

კატასტროფის ადგილზე

კატასტროფის შესახებ ცნობის მიღებისთანავე თბილისიდან უბედურების ადგილზე დაუყოვნებლივ გაემგზავრნენ: ქალაქის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსი ამხ. **საჯაია**, თბილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსი ამხ. **გვილავა**, სისხლის სამართლის სამძებრო მილიციის პასუხისმგებელი მორიგე ამხ. **ჯიქია** და ამ.-კავკ. რკინის გზების პოლიტსამმართველოს და პროკურატურის წარმომადგენლები.

გუშინ, დილით, კატასტროფის ადგილზე გაემგზავრა კომისია, რომელშიაც შედიოდნენ: გამომძიებელი ბ. **იმედაშვილი**, საქართველოს სახელმწიფო პოლიტსამმართველოს პროკურორი ამხ. **ენუქიძე**, პროკურორი ამხ. კ. ზესელია და ამიერ-კავკ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს წარმომადგენელი ინჟ. **პოტალეევი**.

კომისის წევრებმა დაათვალიერეს კატასტროფის ადგილი და შეამოწმეს დამსხვრეული ავტომობილი.

როგორ მოხდა კატასტროფა

კატასტროფის დამსწრე პირთა გადმოცემით, უბედური შემთხვევა მოხდარა შემდეგ პირობებში: მცხეთიდან 7 ვერსის მანძილზე წილკანის ველის დასაწყისში (კატასტროფის ადგილზე-ნატახტარში) გზა სწორია და ფართო. ამის გამო შოფერს ავტომანქანა მიჰყავდა დიდი სისწრაფით. ხსენებულ გზაზე ხიდს გადაღმა გზა დაქანებულია. როცა ავტომობილი ხიდზე გავიდა და მიუახლოვდა დაღმართს, ერთ-ერთ მგზავრთაგანმა დაიყვირა: „თავს უშველოთო“, დაძახებისთანავე შოფერი შეეცადა შეენელებია ავტომობილის სისწრაფე და ამიტომ დაამუხრუჭა იგი. ამ დროს ავტო-მანქანას უცაბედათ გაუსქდა უკანა კამერა, რის გამო ავტო შემოტრიალდა ისე, რომ წინა ნაწილი მოექცა თბილისის მიმართულებით და მარცხენა ბორბალი ჩაეფლა წყლით სავსე თხრილში. ამ გარემოებას შედეგათ მოჰყვა ის, რომ ავტობუსი ორჯერ შემოტრიალდა ჰაერში, რის შემდეგ გადაბრუნდა და ჩავარდა თხრილში.

კატასტროფის დროს ავტომობილში მჯდომი პირები მოჰყვენ ავტომობილს ქვეშ.

ავტომობილი დაიმსხვრა.

გამვლელი გლეხები წააწყდნენ ამ სურათს. მათ მომხდარი ამბავის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს მცხეთის მილიციას, რომელმაც კატასტროფის შესახებ სასწრაფოთ აცნობა თბილისს.

დაშავებულთა მდგომარეობა

ამხ. **ეჯიბია** იქვე გარდაიცვალა. ამხ. **კოჩატკოვი** მძიმედ დაშავდა. მას პირველი სასწრაფო დახმარება აღმოუჩინეს ნატახტარის სასწრაფო პუნქტზე და გაგზავნეს მცხეთაში.

მცხეთაში მიყვანისას ამხ. კოჩატკოვი გარდაიცვალა.

დაშავებული ამხანაგები სწრაფი დახმარების ავტომობილით ჩამოიყვანეს თბილისში.

ამხ. ფეტერი მოთავსებულია ქალაქის მეორე საავადმყოფოში. მისი მდგომარეობა ძალიან მძიმეა.

ს. ულენტს დაზიანებული აქვს თავი და დაეჟეჟილი მთელი სხეული.

გ. რთველაძეს ნაღრძობი აქვს მარცხენა ხელი. იგი მოთავსებულია რკინისგზის საავადმყოფოში.

შოფერი **გოგოლაძე** მსუბუქად არის დაშავებული.

დაღუპულთა გვამები გადაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოს პროზექტურაში.

ამხ. თ. ეჯიბია

(ბიოგრაფიული ცნობები)

ამხ. თეოფილე ბესარიონის ძე ეჯიბია დაიბადა 1898 წელს ქ. ფოთში. მამა მისი იყო ფოთის ნავთსადგურის მტვირთველი მუშა. სწავლა-განათლება ამხ. ეჯიბიამ მიიღო ფოთის სამოქალაქო სასწავლებელში, რომლის დამთავრებაც სიღარიბის გამო, ვერ შესძლო. 1915 წელს, ამხ. ეჯიბია შედის ფოთის ფ.-ტ. განყოფილებაში წერილების დამტარებლად. აქედან იწყება მისი პოლიტიკური მუშაობაც;

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ის ებმება პოლიტიკურ მუშაობაში და ერთგულად და გაბედულად ასრულებს პარტიის დავალებებს ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეებში. 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ამხ. ეჯიბია გამოდის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე და მოუწოდებს ყველას ხმა მისცენ ბოლშევიკურ პარტიას, ამავე დროიდან იგი ეწევა არალეგალურ მუშაობას მენშევიკურ მთავრობის წინააღმდეგ. ის მუშაობდა თბილისის, ფოთის, სოხუმის და ბაქოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებში;

1919 წელს ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის განკარგულებით ამხ. ეჯიბია მიდის ყირიმში რადიო-კავშირის გასაბმელად რუსეთის ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან, ამის შემდეგ ამხ. ეჯიბია მუშაობს თბილისის სამხედრო ნაწილებში და აარსებს იქ სამხედრო უჯრედებს. ასეთივე უჯრედები ჩამოაყალიბა ამხ. ეჯიბიამ ქალ. ოზურგეთში, თბილისში, ნავთლუღში. არალეგალურ მუშაობის გამო ამხ. ეჯიბია განიცდიდა სასტიკ დევნას მენშევიკურ მთავრობისაგან. ის არა ერთხელ დაუტუსაღებიათ მენშევიკების ჯალათებს და არა ერთხელ გადაუსახლებიათ საქართველოს საზღვრებიდან. ამხ. ეჯიბიას მენშევიკური მთავრობა იცნობდა, როგორც მანუკიანცს, ამის გამო იგი რამოდენიმეჯერ იქნა გადასახლებული სომხეთში, საიდანაც ისევ ბრუნდებოდა უკან და განაგრძობდა არალეგალურ მუშაობას.

1920 წელს, მენშევიკურ მთავრობისაგან ყოველ მხრივ შევიწროებული, ეჯიბია გადადის ბაქოს პარტორგანიზაციის განკარგულებაში და მისი დავალებით მუშაობს ჯერ მეზღვაურთა რაზმში ორგანიზატორად, ხოლო აზერბეიჯანის საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ ინიშნება აზერბეიჯანის საგანგებო კომისიის („ჩეკა“) უფროსის თანაშემწედ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ ამხ. ეჯიბია მუშაობს საგანგებო კომისიის ორგანიზაციებში სხვადასხვა თანამდებობებზე, სადაც იგი დაჯილდოებულ იქნა ჩეკისტის საპატიო ნიშნით. სახელმწიფო გაერთიანებულ სამმართველოს ათი წლის თავზე ამხ. ეჯიბია დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით, უკანასკნელად ამხ. ეჯიბია დანიშნულ იყო ამიერ-კავკ. რკ. გზების სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს უფროსად, სადაც ის ჩვეულებრივ ენერგიულად ასრულებდა თავის მოვალეობას.

ამხ. კოჩეტკოვი

(ბიოგრაფიული ცნობები)

ამხ. კოჩეტკოვი რკ. გზის მთავარ სახელოსნოს ერთი ძველი მუშათაგანია.. ჯერ კიდევ 15 წლის კოჩეტკოვი შედის რკ. გზის მთავარ სახელოსნოს სავაგონო საამქროში მოწაფედ და ამავე დროიდან ებმება პოლიტიკურ მუშაობაში. 1898 წლის რკ. გზის მთავარ სახელოსნოს მუშების გაფიცვაში ის ამხ. სტალინთან, კამოსთან, ჩოდრიშვილთან, გ. რთველაძესთან და სხვებთან ღებულობს აქტიურ მონაწილეობას და ავრცელებს პოლიტიკურ ხასიათის პროკლამაციებს. ამის გამო ამხ. კოჩეტკოვს სასტიკად სდევნიდა თვითმპყრობელობის ჟანდარმერია და ავიწროებდა ყოველ მხრივ.

1902 წელს კოჩეტკოვი გადადის ბაქოში, სადაც აწყობს წყალსადენის სახელოსნოს მუშათა გაფიცვას, რისთვისაც იგი დაატუსაღეს და გადაასახლეს არხანგელსკში, მაგრამ კოჩეტკოვი არც აქ ისვენებს; კების მაზრის სოფ. კერეტში, ხე-ტყის სახერხ ქარხანაში აარსებს პოლიტიკურ ორგანიზაციას და აწყობს გაფიცვას. „მოუსვენარ“ კოჩეტკოვს ატუსაღებენ და სასტიკ იზოლიაციის ქვეშ ამყოფებენ არხანგელსკში. აქ ამხ. კოჩეტკოვი „ავადმყოფდება“ სულიერად, რის გამო აცვამენ მას გიჟის ხალათს და გზავნიან საავადმყოფოში.

1906 წ. ამხ. კოჩეტკოვი ბრუნდება თბილისში, მაგრამ მას არ აძლევენ უფლებას იმუშაოს რკ. გზაზე, რის გამო იძულებულია, დასტოვოს თბილისი და გადასახლდეს ბაქოში, სადაც კვლავ იწყებს არალეგალურ პოლიტიკურ მუშაობას.

1914 წელს კოჩეტკოვი მობილიზაციით მიდის სამხედრო ნაწილში, სადაც ის კვლავ ეწევა პოლიტიკურ მუშაობას. 1917 წლის რევოლიუციამ ამხ. კოჩეტკოვს მოუსწრო თურქეთში ქ. ვანში, საიდანაც ჩამოდის თბილისში და ისევ იწყებს მუშაობას. მაგრამ მაშინდელი მენშევიკური მთავრობა არ აძლევს მას მოსვენებას. რამოდენიმეჯერ ატუსაღებენ. შემდეგ ის გადადის ბაქოში, სადაც იგი ამხ. ალ. ჯაფარიძესთან, შაუმიანთან და სხვებთან ერთად სასტიკ ბრძოლას აწარმოებს მუსავატელებისა და დაშნაკელების წინააღმდეგ.

ბაქოში ინგლისელების შემოსვლის შემდეგ კოჩეტკოვი შედის ასტრახანის საკომენდანტო რაზმში, სადაც მუშაობდა 1919 წლამდე. 1919 წელს კოჩეტკოვი გადადის ამხ. ლენინის სახელობის ჯავშნიან მატარებელზე, ხოლო აქედან, სხვა ამხანაგებთან ერთად ადგენს ამხ. შაუმიანისა და ჯაფარიძის სახელობის ჯავშნიან მატარებელს, რომელიც ებრძვის თეთრგვარდიელთა ჯარებს.

ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ ამხ. კოჩეტკოვი თავისუფლდება სამხედრო ნაწილიდან და მუშაობას იწყებს აზერბეიჯანის „ჩეკაში“. შემდეგ კი გადადის სისხლის სამართლის მილიციაში. 1921 წელს სხვა ამხანაგებთან ერთად ამხ. კოჩეტკოვი ბრუნდება თბილისში, სადაც პარტიის ორგანიზაციების დავალებით მუშაობს ჯერ სამხედრო და სამოქალაქო ქონების აღრიცხვაზე და მენშევიკებისაგან გაფანტულ ქონების მოგროვებაზე, ხოლო შემდეგ ასრულებს შინაგან საქმეთა კომისარიატის განსაკუთრებულ დავალებათა აგენტის მოვალეობას.

1922 წელს ამხ. კოჩეტკოვი უბრუნდება თავის დაზგას და მუშაობს რკ. გზის მთავარ სახელოსნოს სავაგონო საამქროში ზეინკლად. 1923 წელს მთავარ სახელოსნოს მუშები ამხ. კოჩეტკოვს ირჩევენ ადგილკომის თავმჯდომარეთ, ხოლო 1925 წელს იგივე მუშები აწინაურებენ და გზავნიან ა.-კ. ცაკთან არსებულ მიწის კომისიის თავმჯდომარის მოადგილეთ. 1927 წელს ამხ. კოჩეტკოვი ინიშნება საზ-ბა „ზაკპროგრუზი“-ს თავმჯდომარეთ, სადაც უკანასკნელ ხანამდე ერთგულად და პირნათლად ასრულებდა თავის დავალებას.

ამხ. თ. ეჯიბიას ხსოვნას

კიდევ ერთი საუკეთესო ამხანაგი მოსწყდა პოლიტ-სამმართველოს მუშაკთა რიგებს. ტრაგიკულად გარდაიცვალა ამხ. თეოფანე ეჯიბია, მოწინავე მებრძოლი.

ღარიბი ოჯახის შვილი, ჭირვარამში გამოზრდილი ის არ ასცდენია მუშათა კლასიურ გზას და მან მთელი თავის არსება მუშების და გლეხების სამსახურში გაატარა. და აი კაცი, რომელიც ბევრ საშინელებას გადარჩა თავის მუშაობაში, დაიმსახურა წითელი დროშის ორდენი, ამხანაგი, რომელსაც სულით და გულით ბრძოლა სწყუროდა მუშების და გლეხების კლასიური მტრების წინააღმდეგ, დღეს ბრმა შემთხვევის მსხვერპლი გახდა.

ჯერ კიდევ მისი გაუცივებელი ცხედრის წინაშე ჩვენ ფიცსა ვდებთ, რომ მისივე სიმტკიცით განვაგრძობთ ბრძოლას პროლეტარიატის დიქტატურის მტრების წინააღმდეგ, მათ მოსასპობად.

მშვიდობით ძვირფასო ამხანაგო. შენი ბრძოლა სამაგალითო დარჩება ჩვენთვის, რომლებიც განვაგრძობთ შენს საქმეს.

რაფავა.

ტრაგიკულად დაიღუპა ამიერ-კავკასიის რკ. გზის სატრანსპორტო გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტ-სამმართველოს უფროსი **თეოფილე ბესარიონისძე ეჯიბია**. სიკვდილმა ულმობელად გამოგლიჯა ჩეკისტთა ოჯახიდან, ჩვენი პარტიის, სოციალიზმის და პროლეტარიატის დიქტატურის მშენებელთა გმირულ რიგებიდან ერთი მათგანი, ვინც 11 წლის განმავლობაში იწოდა თავის რევოლიუციონურ საგუშაგოზე, დაუზოგავად იბრძოდა პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის.

ამხ. ეჯიბიას მიერ განვლილი გზა მეტად შინაარსიანია. მშრომელი ხალხის ღვიძლი შვილი, მუშის ოჯახიდან გამოსული, წითელი მედროშე და საპატიო ჩეკისტი—აი ვინ იყო ის. მან ბრძოლისა და მუშაობის მკაცრი სკოლა განვლო, მიაღწია საპასუხისმგებლო პოსტებს თანდათანობით, ქვედა საფეხურის მუშაკებიდან თავისი დაუშრეტელი ენერგიის, ბუნებრივი ნიჭის და ოქტომბრის მონაპოვართა საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების წყალობით დაწინაურდა პირველ რიგებში. დიახ, რევოლიუციამ ის დააწინაურა უმაღლეს პოსტზე, რევოლიუციამ ის ჩვენზე უფრო მაღლა ასწია, მაგრამ ამხ. ეჯიბია დარჩა ამხანაგი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ყველასთვის, ვინც მას ახლოს იცნობდა, ყველა მის უახლოეს თანამშრომლებისათვის. მიუხედავათ იმისა, რომ ამიერ-კავკასიის რკ. გზის სატრანსპორტო გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე ამხ. ეჯიბია მხოლოდ ცოტა ხანს მუშაობდა, ის თავიდანვე, პირველ დღიდანვე მჭიდროთ დაუახლოვდა თავის ახალ თანამშრომლებს, რომლებმაც მასში დაინახეს საუკეთესო ხელმძღვანელი და საუკეთესო ამხანაგი.

ულმობელმა სიკვდილმა გამოგვაცალა ჩვენი რიგებიდან ერთ-ერთი სახელოვანი მებრძოლი. ამიერ-კავკასიის ტრანსპორტის ჩეკისტთა ოჯახი დაობლდა; მან დაჰკარგა თავისი ხელმძღვანელი. როგორღაც ძნელად დასაჯერებელია, რომ ადამიანი, რომელსაც ასე დაუახლოვდით, რომელსაც ასე აფასებდა ჩეკისტების ოჯახი, რომელიც იყო არა მარტო უფროსი, არამედ კეთილი, მგრძნობიარე ამხანაგი და მეგობარიც—აღარ არის ჩვენს შორის. მეტად სამძიმოა იმის გრძნობა, რომ დავკარგეთ ენერგიითა და ძალღონით სავსე მებრძოლი.

ვ. ნ.

ამხ. კოჩეტკოვის ხსოვნას

სულ უბრალო შემთხვევისაგან დაიღუპა რევოლიუციის ძველი ვეტერანი, საყვარელი ხელმძღვანელი, მგრძნობიარე ამხანაგი...

ძნელია სიტყვებით გამოთქმა იმ უსაზღვრო მწუხარებისა, რომელსაც განვიცდით ჩვენ, ვის წრეშიაც ჯერ კიდევ გუშინ ასე ხალისიანად და ენერგიულად მუშაობდა ძვირფასი ამხანაგი იაშა...

ზედმეტია ლაპარაკი იმაზედ, რომ ამხ. კოჩეტკოვს დიდი დამსახურება მიუძღვის მუშათა კლასის წინაშე. წარსულში, შორეულ შავბნელ წარსულში ის თავგანწირვით იბრძოდა ცარიზმის წინააღმდეგ, ამჟამად კი ენერგიულად ასრულებდა მასზე დაკისრებულ საპასუხისმგებლო მუშაობას.

ჩვენ არ გვახსოვს შემთხვევა, რომ ამხ კოჩეტკოვს უკან დაეხიოს დაბრკოლებების წინაშე, რომლებიც აუცილებელია იმ დიდ საბჭოთა მუშაობაში, რომელსაც ის ხელმძღვანელობას უწევდა უკანასკნელ წლინახევრის განმავლობაში.

მისი უბრალოება, გულწრფელობა, გულახდილობა, პირდაპირობა და იშვიათი გულკეთილობა ურთიერთ ნდობის ატმოსფერას ქმნიდა მუშაობისთვის. და ჩვენ, მისმა უახლოესმა თანამშრომლებმა, ამხ იაშას სახით დავკარგეთ არა მარტო შესანიშნავი ხელმძღვანელი, არამედ იდეალური უშუალო ამხანაგიც, რომლის ხსოვნა ყოველთვის გააღვიძებს ჩვენში საუკეთესო გრძნობებსა და მისწრაფებებს.

თანამშრომლები.

ავადმყოფების მდგომარეობა

ამხ. ფეტერი

ამხ. ფეტერი მიიყვანეს საავადმყოფოში სრულიად უგრძნობელ მდგომარეობაში. მას აღმოაჩნდა ჩატეხილი თავის ქალა კეფის და თხემის ძვლების საზღვარზე. გუშინ სალ. 6 საათზე ამხ. ფეტერს პროფ. მაჭავარიანმა, პროფ. მუხაძის თანდასწრებით გაუკეთა თავის ტრეპანაცია, რის შემდეგ ავადმყოფს თითქოს გამოკეთება დაეტყო.

დღეს დილის 5 ნახ. საათზე ჩვენმა თანამშრომელმა ინახულა საავადმყოფოში მორიგე ქირურგი ექ. ყიფიანი, რომლის სიტყვით ავადმყოფი ისევ უგრძნობელ მდგომარეობაშია და იჩენს მოუსვენრობას.

ამხ. ს. ულენტი

ამხ. სიმ. ულენტს დაზიანებული აქვს პირის სახე ცხვირის ფუძის არეში და დაშავებული მარცხენა ფეხი. ავადმყოფის მდგომარეობა სახიფათო არ არის. დღეს დილის 5 ნახ. საათისათვის მას ძილი დამშვიდებული ჰქონდა.

დამკრძალავი კომისია

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა გამოყო დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ვ. ბოლქვაძე (თავმჯდომარე), ასრიბეკოვი, ფანცულაია, ანთიძე, ვარძიელი, სტანსკი, გ. ქავთარაძე და სხვ.

დამკრძალავი კომისიის სხდომა

გუშინ 3 საათზე ამხ. ვ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით შესდგა დამკრძალავი კომისიის სხდომა ამხ. ეჯიბიას და კოჩეტკოვის დაკრძალვის ორგანიზაციის შესახებ. კომისიის დადგენილებით დაღუპულთა ნეშტი ქალაქის მეორე საავადმყოფოდან ოთხშაბათს, 28 ნოემბერს 4 საათზე გადატანილი იქნება მუშათა სასახლეში. სამგლოვიარო პროცესია გაივლის შემდეგი მარშრუტით: კრილოვის ქ., პლეხანოვის პროსპექტი, მარქსის მოედანი, გლეხთა სასახლე და მუშათა სასახლე.

იმავე დღეს სალ. 6 საათზე მუშათა სასახლეში გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, დაკრძალვა ხუთშაბათს, 29 ნოემბერს დღის 2 საათზე.

საპატიო ყარაულის დაყენება და წესრიგის დაცვა დაღუპულთა ნეშთის მუშათა სასახლეში გადასვენებისა და დაკრძალვის დღეს ევალება ქალაქის კომენდანტს და ქ. ადმ. განყოფილების უფროსს.

გვირგვინები იქნება: საქ. სახ. გაერ. პოლიტ. სამმართველოსაგან, ს. კ. პ. თბ. კომიტეტისაგან, თბ. საბჭოსაგან; ლენინის რაიკომისაგან. სხვა ორგანიზაციებს წინადადება ეძლევა გვირგვინის ნაცვლად განსაზღვრული თანხა შეიტანონ „წერა-კითხვის“ საზ-ბის ფონდში.

სამძიმრის დეპეშები

აჭარისტანის სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თანამშრომელნი ღრმად დამწუხარებულნი არიან კარგი ამხანაგის, ყოფილი უფროსის, ამხანაგ თეოფანე ეჯიბიას ტრაგიკული სიკვდილის გამო.

—:—

სამტრედიის საგზაო-სატრანსპორტო გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თანამშრომელნი და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ქუთაისის განყოფილება დამწუხრებულნი არიან პროლეტარიატის საქმისათვის ბრძოლაში ნაცადი და გამოწრთობილი სახელოვანი ძველი ჩეკისტის ამხ. ეჯიბიას ტრაგიკული დაღუპვის გამო.

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ მტკიცე ბოლშევიკების, სოციალიზმის საქმისათვის ნაცადი მებრძოლების ამხ. ეჯიბიას და კოჩეტკოვის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

თავბერიძე, კეკელია, ღვამიჩავა, მალანია.

მივიღეთ რა ცნობა ამიერ-კავკასიის საგზაო სატრანსპორტო გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს უფროსის ამხ. ეჯიბიას სიკვდილის შესახებ, ჩვენ, ლენინაკანის საგზაო-სატრანსპორტო გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თანამშრომელნი დიდად დაგვამწუხარა ჩვენი ხელმძღვანელის, ამხ. ეჯიბიას დაკარგვამ და უდროო სიკვდილმა. მუხლს ვიდრეკთ ჩვენი ხელმძღვანელის ნეშტის წინაშე და ვიძლევით ჩეკისტის პატიოსან სიტყვას განვაგრძოთ და ცხოვრებაში გავატაროთ ის აღთქმები და ამოცანები, რომლების განსახორციელებლადაც იბრძოდა თავის სიცოცხლეში უდროოდ დაღუპული ამხ. ეჯიბია. საუკუნო ხსენება სახელოვან მებრძოლს რევოლიუციის საქმისათვის.

ლენინაკანის საგზაო-სატრანსპორტო გაერთიანებულ სახელმწიფო-პოლიტიკურ სამმართველოს თანამშრომელნი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი იუწყება პროლეტარული რევოლიუციის ერთგულ მებრძოლების, ძველი ბოლშევიკების

ამხ. იაკობ კოჩეტკოვისა და თეოფანე ეჯიბიას

ტრაგიკულად დაღუპვას

საბჭოთა მომავალი არჩევნები

ცენტრალურ საარჩევნო კომისიის სხდომა

გუშინ საღამოს 6 საათზე საქართველოს ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის კაბინეტში შესდგა ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა ამხ. ი. ვარძიელის თავმჯდომარეობით.

რადიო - არჩევნებში

კომისიამ დაადგინა დაევალოს რადიოს ქსელის სამმართველოს საბჭოთა მომავალი არჩევნებისათვის წესრიგში მოიყვანოს საქართველოში არსებული ყველა რადიო-სადგურები, ვინაიდან ამჟამად მათი 40 პროცენტი უმოქმედოთაა. კომისიამ აგრეთვე დაადგინა საარჩევნო კამპანიის განმავლობაში თბილისის ცენტრალურ რადიო სადგურიდან სისტემატიურად იქნეს გადაცემული მოხსენებები და საუბრები არჩევნების შესახებ.

არჩევნები წითელ არმიაში

შემდეგ კომისიამ მოისმინა ამხ. ნემერზელის მოხსენება წითელ-არმიაში არჩევნების ჩატარების შესახებ. მოხსენების შემდეგ კომისიამ დაადგინა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან დაარსებული იქნეს წითელ არმიაში არჩევნების ჩამტარებელი ცენტრალური ქვე-კომისია, ასეთივე კომისიები დაარსებული იქნება რესპუბლიკის დანარჩენ დიდ ქალაქებში.

სხვადასხვა ორგანიზაციების მონაწილეობა არჩევნებში

კინო - მრეწველობა

საარჩევნო კამპანიის დროს კინოს გამოყენების შესახებ კომისიამ მოისმინა ამხ. ამი[illegible]ოვის მოხსენება. კომისიამ დაადგინა დაევალოს სახკინმრეწვს, სამაზრო ქალაქებს არჩევნების განმავლობაში მოაწყოს პოპულარული სოციალური შინაარსის სურათები დაკლებულ ფასებში, ხოლო სოფლებს მოძრავი კინოებისათვის ისეთი სურათები რომლებიც გამოხატავენ ღარიბ გლეხობისა და კულაკების დამოკიდებულებას, საბჭოთა აღმშენებლობას სოფლად და სხ. სახკინმრეწვი სოფელს სურათებს მიაწვდის უფასოთ.

ფოსტა - ტელეგრაფის კ—ტი

ამხ. ჟამარაულმა სხდომაზე განაცხადა, რომ ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის გადაწყვეტილებით არჩევნებთან დაკავშირებული ყოველგვარი ამანათები და ცნობები გადაგზავნილი იქნება პირველ რიგში. ასევე პირველ რიგში იქნება გადაცემული ცნობები ტელეგრაფით და პირდაპირი ტელეფონით. ტელეგრაფით კორესპონდენციას გაგზავნა საერთოდ ღირს სამჯერ მეტი, მაგრამ კორესპონდენციები არჩევნების შესახებ ტელეგრაფით და ტელეფონით გადაცემული იქნება ერთმაგ ფასში. არჩევნების შესახებ წერილების გამგზავნელებმა კონვერტზე უნდა დააწერონ სიტყვა „საარჩევნო". თემებში არსებულ ფოსტებში არჩევნების განმავლობაში შემოღებული იქნება მორიგეობა ღამით.

თავდაცვა - ავიაქიმი

კომისიამ დაავალა თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას თავისი ორგანიზაციების საშუალებით მოაწყოს ადგილებზე იმის ჩვენება, თუ რა სარგებლობა მოაქვს მიწის ქიმიურად განოყიერებას სოფლის მეურნეობისათვის და ქიმიური საშუალებებით მავნებლებთან ბრძოლას. საზოგადოებას დაევალა აგრეთვე წარმოადგინოს არჩევნებში თავის მონაწილეობის წერილობითი გეგმა.

მიწად - მოქმედების კომისარიატი

არჩევნებში მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატის მონაწილეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. ქურდაძემ. მან აღნიშნა, რომ არჩევნების განმავლობაში მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატი ადგილებზე მოაწყობს სასოფლო-სამეურნეო გამოფენებს, და თავის ადგილობრივ ორგანიზაციების საშუალებით გლეხებს გააცნობს, თუ რა გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად და რა ზომების მიღებას აპირებს ამავე მიზნით მომავალში.

პოლიტგანათლების მთ. მმართველობა

დასასრულ კომისიამ მოისმინა მოხსენება პოლიტგანათლების მთავარმმართველობის მონაწილეობის შესახებ არჩევნებში. კომისიამ დაამტკიცა პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის არჩევნებში მონაწილეობის გეგმა, რომლის მიხედვით საარჩევნო კამპანიაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ყველა სახის წრეები, სამკითხველოებში მოეწყობა ხმამაღლა კითხვა, გამოფენები, კლუბებში—წარმოდგენები და სხვა.

კომისიამ დაადგინა დაევალოს იუსტიციის სახ. კომისარიატს შემდეგ სხდომაზე წარმოადგინოს არჩევნებში თავის მონაწილეობის გეგმა.

პროფკავშირების მონაწილეობა არჩევნებში

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ წარუდგინა არჩევნებში პროფკავშირების მონაწილეობის გეგმა. გეგმის მიხედვით სრ. საქართველოს პროფკავშირთა მე-7 ყრილობის სახელით არჩევნებში მონაწილეობის შესახებ პროფკავშირის წევრებისადმი გამოშვებული იქნება მოწოდება. გარდა ამისა საკავშირთაშორისო ორგანიზაციებთან მოწვეული იქნება სპეციალური თათბირები, რომელზედაც გამომუშავებული იქნება გეგმა არჩევნების წარმატებით ჩასატარებლად პროფკავშირთა წევრებს შორის. ამავე მიზნით მოწვეული იქნება პროფაქტივის საერთო საქალაქო კონფერენცია. პროფსაბჭომ წინადადება მისცა პროფკავშირების ცენტრ. გამგეობებს თავიანთი წარმომადგენლები წარგზავნონ საარჩევნო კომისიებში. მათვე დაევალათ შესაფერი ინსტრუქცია დაუგზავნონ ადგილებს.

პროფსაბჭომ აგრეთვე წინადადება მისცა მიწა-ტყის, განათლების, მედსანშრომის და საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირთა თავიანთ ადგილობრივ ორგანიზაციებს და იმ წევრებს, რომელნიც სოფლად მუშაობენ. ცირკულიარში განმარტებული იქნება არჩევნების მნიშვნელობა და ის, თუ რა სახით უნდა მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა აღნიშნულ კავშირების წევრებმა.

ყველა ცენტრალურ გამგეობებს აგრეთვე დავალებული აქვთ შეადგინონ არჩევნებში მონაწილე კავშირის წევრთა და მათი ოჯახის წევრთა სიები, გამოუშვან სპეციალური კედლის გაზეთები, კლუბებში მოაწყონ შესაფერი მოხსენებები და წარმოდგენა-საღამოები და თავიანთი ხაზით მოიწვიონ საქარხნო-საფაბრიკო და ადგილკომების კონფერენციები საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით.

პროფსაბჭოს გადაწყვეტილი აქვს მაზრებში მიავლინოს პროფსაბჭოს წევრები და კავშირების ცენტრ. გამგეობათა წარმომადგენლები საარჩევნო კამპანიისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

საარჩევნო სიების შედგენა

საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილებამ დაამზადა და მაზრებს დაუგზავნა საარჩევნო სიების ფორმები. მაზრებს წინადადება მიეცათ ფორმების მიღებისთანავე დაუყოვნებლივ შეუდგენ ამრჩეველთა და შავი სიების შედგენას.

თათბირი

რაჭა-ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომი 3 დეკემბერს იწვევს სათემო და სასოფლო საბჭოების, პროფბიუროს, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირს, რომელზედაც განხილული იქნება მომავალ არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები.

თათბირზე მონაწილეობის მისაღებათ საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილებამ მრებალოში მიავლინა ინსტრუქტორი ს. ცუცქირიძე.

26 კომუნარის რაიონის პარტკონფერენცია

გუშინ, საღამოს 6 საათზე ავლაბრის მუშათა კლუბში გაიხსნა 26 კომუნარის სახელობის რაიონის მე-9 პარტიული კონფერენცია.

კონფერენციის გახსნისას მოკლე შესავალი სიტყვა წარმოსთქვა რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ტერ-ვართანოვმა.

ამხ. ტერ-ვართანოვის სიტყვის შემდეგ არჩეულ იქნა კონფერენციის ხელმძღვანელი ორგანოები: საქმიანი პრეზიდიუმი 45 კაცის შემადგენლობით, სამანდატო კომისია 7 კაცის შემადგენლობით, სამდივნო აგრეთვე 7 კაცის შემადგენლობით.

საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები:

სტალინი, მოლოტოვი, რუძუტაკი, რიკოვი, კალინინი, ბუხარინი, ტომსკი, კუიბიშევი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, მიქოიანი, ორახელაშვილი, ელიავა, ნაზარეტიანი, ქართველიშვილი, კახიანი, ცხაკა[illegible] და ხ[illegible]რაძე.

კონფერენციამ დღის წესრიგში დაამტკიცა შემდეგი საკითხები:

1. ცენტრალური კომიტეტის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ამოცანების შესახებ;
2. რაიკომის ანგარიში, კომკავშირის რაიკომის თანამოხსენება, სარევიზიო კომისიის მოხსენება;
3. მოხსენება კულტურულ მშენებლობის შესახებ;
4. არჩევნები.

დასასრულ კონფერენციამ მოისმინა ამხ. ქართველიშვილის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ამოცანების შესახებ.

ღონისძიებები გლეხთა სახლების მუშაობის გამოსაცოცხლებლად

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა განიხილა როგორც ცენტრში, ისე მაზრებში არსებულ გლეხთა სახლების მუშაობის გაცხოველების საკითხი და დაადგინა წინადადება მიეცეს გლეხთა ცენტრალურ სახლის გამგეობას განამტკიცოს და გააძლიეროს კავშირი ადგილობრივ გლეხთა სახლებთან.

რომ ადგილობრივ გლეხთა სახლების მუშაობა არაფერმა არ შეაფერხოს, ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სამაზრო აღმასკომებს, გლეხთა სახლების საჭიროებათა ნაწილობრივ დასაკმაყოფილებლად საჭირო თანხები შეიტანონ 1928—29 წლის ბიუჯეტში.

გლეხთა სახლების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მათი ავტორიტეტის ასამაღლებლად გლეხობაში, პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო, გლეხთა სახლების გამგეობათა შემადგენლობაში შეყვანილი იქნენ მომზადებული და ავტორიტეტული მუშაკები.

ცაკის საორგანიზაციო განყოფილებას დაევალა სამაზრო აღმასკომებს დაუგზავნოს შესაფერი დირექტივები იმის შესახებ, თუ რა სახით უნდა მიიღონ აღმასკომებმა მონაწილეობა ადგილობრივ გლეხთა სახლების მუშაობაში და როგორი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ მათ.

საორგანიზაციო განყოფილებას დაევალა აგრეთვე შეიმუშაოს გლეხთა სახლების დებულება და სახლებთან საბჭოთა კუთხეების მოწყობის გეგმა.

ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით გლეხთა ცენტრალურ სახლის გამგეობას წინადადება მიეცა შეიმუშაოს და ადგილებს დაუგზავნოს კონკრეტული მითითებანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აწარმოონ გლეხთა სახლებმა საზოგადოებრივ-კულტურული მუშაობა. გლეხთა ცენტრალურ სახლს დაევალა აგრეთვე შესაფერი ახსნა-განმარტებანი დაუგზავნოს ადგილობრივ გლეხთა სახლებს იმ დიდი კამპანიების მნიშვნელობის შესახებ, რომ მათ შესაფერი მუშაობა ჩაატარონ სახლებში მისულ გლეხებს შორის.

ამასთანავე პრეზიდიუმმა დაადგინა დაევალოს ცენტრალურ საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, გლეხთა ცენტრალურ სახლში, ამ უკანასკნელის გამგეობის მოთხოვნილებისამებრ, გაგზავნონ მომხსენებლები სხვადასხვა საკითხებზე მოხსენებების გასაკეთებლად. ამ უკანასკნელი საკითხის მოგვარება ადგილებზე ევალება სამაზრო აღმასკომებს.

საექიმო რაზმების მუშაობა სოფლად

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სამკურნალო განყოფილებაში გაიმართა სოფლად გაგზავნილი საექიმო რაზმების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელზედაც განიხილეს რაზმების მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები.

თათბირზე გამოირკვა, რომ გასული ზაფხულის განმავლობაში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა პროვინციაში გაუგზავნა 13 სხვადასხვა სპეციალობის საექიმო რაზმი. თვითეულ რაზმს საშუალოდ აღმოუჩენია სამკურნალო დახმარება 3.500 კაცისათვის.

უმთავრეს დეფექტად, რაც თან ახლდა რაზმების მუშაობას, უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ორგანიზაციულად რაზმები არ იყვნენ შესაფერისად მოწყობილნი. რაზმებში შედიოდნენ ერთი დარგის სპეციალისტები, ხოლო სოფლებში კი გლეხები რაზმს მიმართავდნენ სხვადასხვა ავადმყოფობათა სამკურნალოდ. ასე, მაგალითად, თვალის სნეულებათა საექიმო რაზმს ხშირად მიმართავდნენ შინაგან სნეულებიანი ავადმყოფები და სხ. ამიტომ თათბირზე გამოითქვა აზრი, რომ მომავალ ზაფხულზე სოფლად გასაგზავნ საექიმო რაზმებში ჩაბმული იქნენ სხვადასხვა დარგების სპეციალისტები.

გარდა ამისა ადგილობრივ ორგანოებს წინდაწინ უნდა ეცნობოთ, რომ მათ რაიონში სამუშაოთ მიემგზავრება საექიმო რაზმი; ეს საჭიროა იმისათვის, რომ ადგილობრივმა ორგანოებმა ადრიანად გააფრთხილონ ამის შესახებ მოსახლეობა.

მომავლისათვის, თათბირის დადგენილებით, რაზმების გაგზავნის წინ მოწვეულ უნდა იქნეს სპეციალისტთა თათბირი, რომელზედაც უნდა გამოიმუშაონ რაზმების მუშაობის გეგმა.

სამშაბათს, 27 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის

ქალაქის რაიონული მეათე მოწვევის კომიტეტის უკანასკნელი გაფართოებული პლენუმი

რაიონული კომიტეტის ყველა წევრისა და კანდიდატის, სარევიზიო და საკონფლიქტო კომისიების წევრების, უჯრედების მდივნების და რაიკომის შტატგარეშე ინსტრუქტორების დასწრება სავალდებულოა

საქ. კ. პ. (ბ) ქალაქის რაიონული კომიტეტი.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

ქალთა აქტივის კონფერენციები

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა მომავალ საბჭოთა არჩევნებთან დაკავშირებით მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში ამა წლის დეკემბერში მოწვეული იქნეს ქალთა აქტივის კონფერენციები. ამ მიზნით ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს, ზუგდიდის, რაჭა-ლეჩხუმის და ოზურგეთის მაზრაღმასკომებს გადაეგზავნებათ 250 მანეთის თვითეულს.

პრეზიდიუმის დადგენილებით, წინადადება მიეცათ აფხაზეთის და აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკების ცაკებს და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცაკს, თბილისის, კახეთის, გორის, ქუთაისის, სენაკის და შორაპნის მაზრაღმასკომებს ქალთა აქტივის კონფერენციები მოიწვიონ თავიანთი საშუალებებით.

თემების რეორგანიზაცია რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა განიხილა რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში თემების რეორგანიზაციის საკითხი და დაადგინა: გაუქმდეს გლოლის თემი და მთლიანად შეუერთდეს უწერის თემს, გაერთიანებულ თემების ცენტრად მიჩნეული იქნეს ს. უწერა. გაუქმებულ გლოლის თემში დაარსებული იქნება სასოფლო საბჭო; გაუქმებული იქნება ცხმორის თემი და მასში შემავალი სოფლები განაწილდება ონისა და წედისის თემებს შორის. ონის თემს შეუერთდება სოფ. უაშვა, ხოლო წედისის თემს—სოფ. ღუნდა, ცხმორი, ბაჯიხევი, ფსორი, ჩორდი და ხომიგინო. წედისის თემის ცენტრათ მიჩნეული იქნა ს. ქვერდული.

უქმდება წესის თემი და მასში შემავალი სოფლები განაწილებული იქნება ამბროლაურისა და სორის თემებს შორის. ამბროლაურს შეუერთდება—სოფ. წესი, კვაცხუთი და ხიმში, ხოლო სორის თემს—ჩონისი და მუხლი.

პრეზიდიუმმა აგრეთვე დაადგინა გაუქმდეს ნაბანევის თემი და მთლიანად შეუერთდეს პატარა ონს, ნაბანევის თემში დაარსებული იქნება სასოფლო საბჭო; პატარა ონსავე შეუერთდება მთლიანად ცახის თემი. გაერთიანებულ თემების ცენტრი მოეწყობა პატარა ონში; უქმდება ზნაკვის თემი და მთლიანად შეუერთდება ხადმელის თემს, ცენტრი რიცეულში. გარდა ამისა გაუქმებული იქნება ზუბეულის თემი, რომელიც მთლიანად შეუერთდება ზვანეჭკარის თემს, ცენტრი სარდაფიანში. დანარჩენი თემები რჩება უცვლელად.

საღამო ნ. გ. ჩერნიშევსკის ხსოვნის აღსანიშნავად

ნ. გ. ჩერნიშევსკის დაბადებიდან 100 წლის თავის შესრულების გამო—გუშინ რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგა პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირის და საბჭოთა აქტივის საზეიმო კრება, რომელსაც დაესწრენ პროლეტარულ სტუდენტობა, სამეცნიერო მუშაკთა სექციის, მწერლების და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა განათლების სახალხო კომისარმა ამხ. დ. კანდელაკმა.

მოხსენებით ნ. გ. ჩერნიშევსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გამოვიდა ამხ. ბოლოტნიკოვი.

მომხსენებელი ახასიათებს იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებს, რომელშიაც უხდებოდა მოღვაწეობა ჩერნიშევსკის და აღნიშნავს, რომ ნ. გ. ჩერნიშევსკის მოღვაწეობა მეტად მრავალფეროვანი და მდიდარი იყო. ჩერნიშევსკი თავის განმანათლებელ მუშაობას აწარმოებდა, უმთავრესად, ჟურნალისტიკის საშუალებით. იგი იყო რევოლიუციონერი-პუბლიცისტი, რომელმაც მთელი თავისი ენერგია მოახმარა ამ საქმეს.

1858 წლიდან ნ. გ. ჩერნიშევსკი შეუდგა პოლიტიკური ეკონომიის შესწავლას. ეს მისთვის საჭირო იყო იმისათვის, რომ შეემუშავებია გარკვეული შეხედულება გლეხთა „განთავისუფლებაზე", რომელიც იმ დროს მზადდებოდა. პოლიტიკური ეკონომიის შესწავლის დროს ნ. გ. ჩერნიშევსკი მივიდა იმავე დასკვნამდე, როგორც კარლ მარქსი. მაგრამ ჩერნიშევსკის ჰქონდა დიდი შეცდომებიც. მაგალითად, ის წინადადებას იძლეოდა მოწყობილიყო კომუნისტური სახელოსნოები, მაგრამ თანხებს ამ სახელოსნოების შესანახად მოითხოვდა მთავრობისაგან დოტაციის სახით.

იმ დროინდელი რუსეთი იყო აგრარული ქვეყანა. ჩერნიშევსკის აზრით საწარმოო იარაღები უნდა გახდეს მწარმოებლის, ე. ი. გლეხების საკუთრებად. მაგრამ ვინაიდან ინდივიდუალური, დაქსაქსული მეურნეობა ვერ გაუძლებს კაპიტალიზმის იერიშებს, ამიტომ საჭიროა წვრილი მეურნეობების კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანება, საჭიროა შენარჩუნებული იქნეს სათემო წყობილება რუსეთში, რომლის საშუალებითაც შეიძლება მივიდეთ სოციალიზმამდეო.

რაც შეეხება ჩერნიშევსკის ფილოსოფიურ მსოფლ-მხედველობას, იგი ფეიერბახის მატერიალისტურ ფილოსოფიის მიმდევარი იყო.

ჯამს უკეთებს რა ნათქვამს, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ნ. გ. ჩერნიშევსკი იყო პირველი მატერიალისტი და კომუნისტების პირველი წინამორბედი რუსეთში.

მოხსენების შემდეგ გაიმართა ჩერნიშევსკისათვის მიძღვნილი კონცერტი.

თბილისის აღმასკომის პლენუმი

გუშინ, 26 ნოემბერს საღამოთი მუშათა თეატრში გრძელდებოდა კამათი თბილისის აღმასკომის კომუნალური განყოფილების მოხსენების და კომუნალურ სექციის თანამოხსენების გარშემო *).

ამხ. ჩილაჩავა აღნიშნავს ტრამვაის მოძრაობის მოუწესრიგებლობას და საჭიროდ სთვლის ტრამვაის ვაგონების რიცხვის გადიდებას 12 საათის შემდეგ, როცა მგზავრების რიცხვი მატულობს.

ამხ. მგელაძეს საჭიროდ მიაჩნია, რომ კომუნალურმა განყოფილებამ დაასრულოს დაწყებული სამუშაოები. ხშირად დაწყებული საქმის დამთავრებას ბოლო არ უჩანს. ორთაჭალაში დაწყებული იყო გზის შეკეთება, მაგრამ წესიერად არ დამთავრდა. კომმეურნეობის განყოფილების მიერ აშენებული სახლები არ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნილებებს. მუშა-მოსამსახურეებს არა აქვთ საშუალება ელექტრო-სინათლე გაიყვანონ სახლებში, რადგან ეს ძვირი ჯდება. ქალაქის განაპირა უბნებში არ არის მოწესრიგებული ტრამვაის მიმოსვლა.

ამხ. **აფანასიევი**.—ეხება ელექტრო-განათების გაყვანის სიძვირეს და ამბობს, რომ „თელას"-ი არავითარ ზომებს არ ღებულობს გაუნათებელი ქუჩების განათებაზე. „უქს"-ში ადგილი აქვს საქმისადმი ბიუროკრატიულ მიდგომას, რაც გამოიხატება შეტანილ განცხადებების თავის დროზე გაურჩევლობაში.

დავითიძე: კომუნალური განყოფილების მიერ აშენებული საცხოვრებელი ბინები კოშკებს უფრო წააგავს, ვინემ საცხოვრებელ სახლებს. საჭირო შენობების და სხვა სამუშაოთა პროექტების უფრო დაკვირვებულად გარჩევა, და არსებული დებულების თანახმად სამხედრო უწყებას უნდა ეძლეოდეს ბინების განსაზღვრული პროცენტი. მაგრამ ეს დებულება სწორად არ სრულდება.

გოგიევა: ჯანმრთელობისათვის მავნე წარმოებებში მომუშავე მუშები არ არიან უზრუნველყოფილი ბინებით. მათ ცხოვრება უხდებათ ვიწრო და ნესტიან ოთახებში. საჭიროა ასეთი მუშების უზრუნველყოფა უკეთესი ბინებით.

ცერცვაძე: ქუჩების 40 პროცენტი მოუკირწყლავია. დანარჩენი კი არ არის დამაკმაყოფილებლად მოკირწყლული. ქუჩები უსუფთაო, ანტიჰიგიენურ მდგომარეობაშია. კომმეურნეობის განყოფილება უნდა შეუდგეს მუნიციპალიზაციაქმნილ სახლების შეკეთებას და ამავე დროს ახალი სახლების აშენებას, რომ ამით შენელებული იქნეს საბინაო კრიზისი.

მიქელაძე:—პლეხანოვის პროსპექტის მოკირწყვლის შემდეგ ქუჩა ხელახლად იქნა ითხრილი წყალსადენის მილების გასაყვანად. ჯერ უნდა გაყვანილიყო წყალსადენის მილი და შემდეგ უნდა მოკირწყლულიყო ქუჩა,რომ ამით თავიდან აცილებული ყოფილიყო ზედმეტი ხარჯი.

კარაკოზოვი: კომუნალურმა განყოფილებამ გამოიტანა დადგენილება უმუშევართა ღამის გასათევ ბინის აგების საჭიროებისათვის ფულის გადადების შესახებ, მაგრამ დადგენილება განხორციელებული არ არის.

ბუზიშვილი:—კომმეურნეობის განყოფილება სახლებს უგეგმოდ აშენებს. იყო შემთხვევა, როცა აშენებულ სახლებში დაავიწყდათ სათბობი მოწყობილობის გაყვანა. წვრილმან უმნიშვნელო საქმეზე მუშას „უქს"-ში კვირაობით უხდება სიარული.

არუთინოვი: არ ეთანხმება ჩილაჩავას ტრამვაის მოძრაობის მოუწესრიგებლობას საკითხში. აღნიშნავს დიდუბეში ხიდის შეკეთების საჭიროებას, რის შესახებაც არა ერთხელ ეცნობა კომ. მეურნეობის განყოფილებას, მაგრამ ამას არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყვა.

ლაზინი საჭიროდ სთვლის კომუნალური სექციის დადგენილების მთლიანად ცხოვრებაში გატარებას აზარტულ სათამაშოების დახურვის შესახებ და აგრეთვე „უქს"-ის აპარატის გამოჯურებას.

ამხ. **სიხარულიძე** განმარტებებს იძლევა ქალაქის კეთილმოწყობის საკითხებზე. ქუჩების ცუდი მდგომარეობა აიხსნება არა ცუდი მოკირწყვლით, არამედ მტკვრის ქვის ცუდი ხარისხით. ასფალტის სიმცირის გამო ყველგან ვერ სწარმოებს ფილაქნების შეკეთება. ნაწილობრივად ეს აიხსნება სათანადო თანხების უქონლობითაც.

ამხ. ასრიევის საბოლოო სიტყვა

კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოდის ამხ. ასრიევი, რომელიც ანალიზს უკეთებს რა კამათში გამოსულ ამხანაგების სიტყვებს, აღნიშნავს, რომ კომუნალური განყოფილების განკარგულებაში არსებულ თანხების გამოყენება ხდებოდა თანახმად აღმასკომის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტისა და მუშაობაც სწარმოებდა სექციის მიერ მოწონებული პროგრამის თანახმად.

ამხ. ასრიევი იზიარებს მოკამათეების აზრს არსებულ ბინების შეკეთების და ახალი ბინების აშენების შესახებ და აგრეთვე მთელ რიგ სხვა პრაქტიკულ წინადადებებს. ამასთანავე უმატებს, რომ კომუნალური მეურნეობის განყ. ხარჯთაღრიცხვა შეკვეცილია 1929 წლისათვის, რის გამო საჭირო იქნება დამტკიცებული ხარჯების უაღრესად რაციონალურად გამოყენება.

რეზოლიუცია

ამხ. ასრიევის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომლითაც კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას ევალება: წყალსადენის და კანალიზაციის ქსელის თანდათანობით გაფართოება მოსახლეობას მოთხოვნილებების მიხედვით, არა უგვიანეს 1 იანვრისა ნატახტარის წყალსადენის სამუშაოების დაწყება, ქუჩების მოკირწყვლა ახალი სისტემის მიხედვით, ქალაქის განაპირა უბნებში ახალი ტრამვაის ხაზების გაყვანა, ყურადღების მიქცევა საზოგადოებრივ სანიტარიის და ჰიგიენის გაუმჯობესებაზე. საბინაო კრიზისის აღმოსაფხვრელად ისეთ ღონისძიებათა გატარება, როგორიცაა; სამეურნეო ორგანოების მიერ საბინაო ფონდში შეტანილ ანარიცხების რეალურად გამოყენება, ახალი საბინაო ტარიფის გატარება, არსებულ ბინების შეკეთება და ახალი ბინების აშენება გეგმიანად; შტატების გადათვალიერება, წარმოების რაციონალიზაცია პროფორგანოების დახმარებით და სხვა.

---

*) იხ. „კომუნისტი"-ს 13 და 20 ნოემბრის №№.

სახალხო სასამართლოების მუშაობა თბილისსა და მის მაზრაში

(ამხ. ტალახაძის მოხსენება თბ. აღმასკომის პრეზიდიუმში)

გუშინ, დღის 12 საათზე ამხ. ვ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც თბილისსა და მის მაზრაში სახალხო სასამართლოების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილემ ამხ. ი. ტალახაძემ. გასულ საანგარიშო წლის უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში, განაცხადა მომხსენებელმა, შრომის სასამართლოებში შემოვიდა 1364 საჩივარი; აქედან 80 პროცენტი გადაწყვეტილი იქნა მუშების სასარგებლოდ. ეს გარემოება ამტკიცებს იმას, რომ ჩვენი წარმოება-დაწესებულებების ადმინისტრაცია არ იცავს შრომის კანონებს, რაც იწვევს შრომის სასამართლოების დატვირთვას და ზედმეტ ხარჯებს თვით დაწესებულებების საზარალოთ.

ძალზე დატვირთული არიან საბინაო სასამართლოებიც, რომლებშიაც დაგროვილია ძველი საქმეები. საბინაო სასამართლოების განტვირთვის შემდეგ განზრახულია საბინაო სასამართლოების გაუქმება და მათი ფუნქციების გადაცემა რაიონული სასამართლოებისთვის.

თბილისში ამჟამად მუშაობს 5 სახალხო საუბნო სასამართლო, რომლებმაც 1927 წელში მიიღეს 15.563 საჩივარი.

მიმდინარე წელში სახალხო სასამართლოებში განსახილველად მიღებული საქმეების რიცხვი კიდევ უფრო მეტია. სახალხო სასამართლოების მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი. საქმეების 50 პროცენტი დაგვიანებით ირჩევა. რაც უნდა ჩაიწეროს მოსამართლეების სისუსტეს. თბილისსა და მის მაზრაში სახალხო მსაჯულთა რიცხვი უდრის 41, ყველა მსაჯული მუშებია.

თბილისის მაზრაში არსებობს 10 სახალხო სასამართლო, თვითეული სასამართლო სამსახურს უწევს 4—5 თემს, ვინაიდან ზოგიერთი თემი მეტად მრავალრიცხოვანია და დიდი რიგის გამო საქმეების თავის დროზე გარჩევა გართულებულია.

იუსტიციის სახალხო კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს როგორც თბილისსა, ისე მის მაზრის სახალხო სასამართლოებში ჩაატაროს რეორგანიზაცია, გაამარტივოს საქმის გარჩევის პროცესები, და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საქმეების თავის დროზე გარჩევას და მოსამართლეთა გადამზადებას.

1927 წელში თბილისის სასამართლოებში შემოვიდა 15.563 საქმე. მარტო საქმეების გარჩევის ხარჯები აღემატება 60.000 მანეთს. თუ ამას დაუმატებთ მომჩივან-მოპასუხის და მოწმეების გაცდენას სამუშაოზე და მათ სხვა ხარჯებს, მაშინ ხარჯები ერთი ორათ უნდა ვივარაუდოთ.

ამ ხარჯების შემცირების მიზნით და მომჩივანთა თავის დროზე დასაკმაყოფილებლად, იუსტიციის სახალხო კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს სასამართლოები განტვირთოს პატარა საქმეებისაგან. ამ მიზნით პროფკავშირებთან დაარსებული იქნება საარბიტრაჟო კომისიები, რომლებიც გაარჩევენ შრომის საკითხებთან დაკავშირებულ მცირე მნიშვნელობის კონფლიქტებს. ამგვარივე კომისიები მოეწყობა თემისა და სოფლის საბჭოებთან. გარდა ამისა უწყებების თავის დროზე ჩასაბარებლად და სასამართლოები გადაწყვეტილებების შესასრულებლად იუსტიციის კომისარიატს განზრახვა აქვს მოაწყოს ცალკე საუწყებო მილიცია.

სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონებში შეტანილი იქნება ცვლილება მათი გამარტივების მიზნით. შრომის ახალ კოდექსის მიხედვით, რომელიც ძალაში შევა 1 დეკემბრიდან, შრომის სასამართლოს განაჩენი იმ საჩივარზე, რომელიც არ აღემატება მუშა-მოსამსახურის ერთი თვის ხელფასს, საბოლოოა. თუ სარჩელი შეეხება 1 თვის ხელფასზე მეტს, ამ შემთხვევაში, შრომის სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებული იქნეს, რის შემდეგ სასამართლოს მიერ ხელმეორედ გამოტანილი დადგენილების შეცვლა არ შეიძლება. თუ სასამართლოში გამოირკვა, რომ მუშა-მოსამსახურე ადმინისტრაციის მიერ უსაფუძვლოთაა მოხსნილი სამუშაოდან, პასუხს აგებს ადმინისტრაცია, ვინაიდან ეს უკანასკნელი ვალდებულია იცნობდეს და იცავდეს შრომის კანონებს.

გადაწყვეტილია შეტანილი იქნეს ცვლილება მომჩივან-მოპასუხეთა დაცვის საქმეში. საანგარიშო ხნის განმავლობაში მთელ რესპუბლიკაში განხილული იქნა 120.000 საქმე. აქედან უფასოთ დამცველი დაინიშნა 5.000 კაცს. დანარჩენი (ორივე მხარე) მიმართავდა პირადათ დამცველებს, რისთვისაც მათ აძლევდნენ გასამრჯელოს. ამრიგად ვისაც ფული ქონდა, მას საშუალება ეძლეოდა მიემართა იმ დამცველისათვის, რომელიც მას უნდოდა. ამ არა ნორმალურ მდგომარეობის მოსპობის მიზნით გადაწყვეტილია დაარსებულ იქნეს დამცველთა კოლექტივი, რომელიც დაუნიშნავს როგორც მომჩივანს, ისე მოპასუხეს დამცველს, წინასწარ განსაზღვრულ გასამრჯელოს გადახდით.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში გამოსული ამხანაგები უმთავრესად შეეხნენ სასამართლოებში საქმის გაჭიანურების და ბიუროკრატიზმს.

ამხ. ტალახაძის საპასუხო სიტყვის შემდეგ, სხდომამ აირჩია კომისია 5 წევრის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა მოხსენების შესახებ შესაფერი რეზოლიუციის გამომუშავება.

ჭიათურა

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

საუწყებათაშორისო კომისიის გამგზავრება ფოთში

კვირას 25 ნოემბერს საუწყებათაშორისო კომისიის მთელი შემადგენლობა გაემგზავრა ფოთში. ფოთში კომისია გაეცნობა შავი ქვის გაზიდვასთან დაკავშირებულ სამუშაოებს, შავი ქვის გადმოტვირთვა - დატვირთვის ტეხნიკას, გზების მდგომარეობას და სხვ. კომისიის მუშაობა ფოთში გასტანს 4 დღეს. კომისიას თან ახლავს შავი ქვის მრეწველობის ტრესტის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. კ. მოდებაძე.

„წერა-კითხვას" კვირეული

25 ნოემბრიდან დაიწყო „წერა-კითხვას" საზოგადოების კვირეულის ჩატარება. ქალაქის ქუჩებში მრავლად არის გაკრული კვირეულის ლოზუნგები. კომკავშირლები და მოწაფეები ჰყიდიან ნიშნებს და ყულაბებით აგროვებენ ფულს. მუშები და ადგილობრივი მოსახლეობა ხალისიანად იღებს თავის წვლილს წერა - კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველად. კვირეულის პირველ დღეს, მიუხედავად ცუდი ამინდისა, შეგროვილ იქნა მნიშვნელოვანი თანხა.

„წერა - კითხვას" საზოგადოება ჭიათურაში დაარსდა მიმდინარე წლის აგვისტოში. საზ-ბას აქვს 14 სალიკვიდაციო სკოლა, რომლებშიაც ირიცხება 300-დე მოსწავლე. განზრახულია მოკლე ხანში ჩამოყალიბდეს 7 სკოლა მცირე მცოდნეთათვის. საზ-ბის კვირეული ფართედ იქნება გამოყენებული საზ-ბის მატერიალური საშუალებების გასაძლიერებლად და წ.-კ. უცოდინართა და მცირე მცოდნეთა ჩასაბმელად სალიკვიდაციო სკოლებში.

1907 წ. დაბადებულთა სამხედრო წვევამდე მზადება

გამოქვეყნებულია შორაპნის მაზრის სამხედრო კომისარიატის და სამაზრო აღმასკომის განცხადება 1907 წ. დაბადებულ ახალგაზრდების სამხედრო წვევამდე მზადების შესახებ,დღეის რიცხვიდან 30 ნოემბრამდე იწარმოებს 1907 წ. დაბადებულ ახალგაზრდების საექიმო შემოწმება. ამავე დღეებში საექიმო შემოწმებაზე უნდა გამოცხადდნენ 1904, 1905 და 1906 წ. დაბადებული ის ახალგაზრდები, რომლებიც სამხედრო სამსახურს გადიან ჯარის გარეშე მომზადების წესით.

„კრასინ"-ის ექსპედიციის მონაწილეთა გამგზავრება

გუშინ დილით სომხეთიდან თბილისში დაბრუნდნენ და ნაშუადღევს მოსკოვში გაემგზავრნენ „კრასინის" ექსპედიციის უფროსი პროფ. **სამოილოვიჩი** და მფრინავი **სტრაუბე**.

სომხეთში „კრასინის" გმირებმა დაჰყვეს სამი დღე. ამ ხნის განმავლობაში პროფ. სამოილოვიჩმა ქ. ერევანში გააკეთა სამი მოხსენება. უკან დაბრუნებისას ისინი შეჩერდნენ ლენინაკანშიც. საქართველოში და საერთოდ ამიერ-კავკასიაში მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ პროფ. სამოილოვიჩმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— სამწუხაროდ ჩვენ დრო არ გვაძლევდა საშუალებას, რომ უფრო საფუძვლიანად გავცნობოდით აქ წარმოებულ ფართო, სოციალისტურ აღმშენებლობას. ჩვენი ექსპედიციის მონაწილეებს ამიერ-კავკასიის ყველა ქალაქებში და განსაკუთრებით კი თბილისში, დიდი ენტუზიაზმით ხვდებოდნენ. ეს იმის დამადასტურებელია, რომ ამიერ-კავკასიის მშრომელნი დიდის ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ჩვენი ექსპედიციების მუშაობას და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელებთან ერთად ისინიც დაინტერესებული იყვნენ საბჭოთა ექსპედიციების გამარჯვებით.

თბილისიდან წასვლის შემდეგ,—განაგრძობს პროფ. სამოილოვიჩი,—ერთი დღით შევჩერდებით როსტოვში, ხოლო იქიდან პირდაპირ გავემგზავრებით მოსკოვში და შემდეგ ლენინგრადში. დეკემბერში ჩვენი ექსპედიციის მონაწილეთაგან მე და ჩუხნოვსკი გავემგზავრებით ევროპაში, პირველ რიგში გერმანიაში. შუა ევროპის მთელ რიგ ქალაქებში გადაწყვეტილი გვაქვს მოვაწყოთ მოხსენებები, „კრასინის" ექსპედიციის შესახებ, შემდეგ შესაძლებელია გავემგზავროთ ამერიკაშიაც, თუმცა ეს საკითხი ჯერ-ჯერობით საბოლოოთ არ არის გადაწყვეტილი.

მომავალ ზაფხულზე განზრახვა გვაქვს მოვაწყოთ ორი ექსპედიცია. ერთი ექსპედიცია ჩემი ხელმძღვანელობით გაემგზავრება „კრასინით" ე. წ. „ჩრდილოეთის მიწის" შესასწავლად. ეს მიწა პირველად აღმოაჩინა არკტიკის ცნობილმა მკვლევარმა ვილკიცკიმ 1918 წელს და მას შემდეგ ამ მიწაზე არავინ ყოფილა.

მეორე ექსპედიცია, რომლის ხელმძღვანელადაც ალბათ პროფ. ვიზე იქნება დანიშნული, გაემგზავრება ფრანც იოსების მიწისაკენ სამეცნიერო მიზნით.

რაც შეეხება ამუნდსენსა და „იტალიას" მესამე დაკარგულ ჯგუფს, ჩემის აზრით მომავალ ზაფხულზე მათ მოძებნას არავითარი აზრი აღარ ექნება, რადგან ზამთრის გადატანა ადამიანს არქტიკაში გაუჭირდება მაშინაც კი, როცა ის კარგათ მოწყობილია. ჩვენ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ „იტალიას" მესამე ჯგუფი არ იყო კარგათ მოწყობილი და მაშასადამე მომავალ ზაფხულზე მათი მოძებნაც უმიზნო საქმე იქნება, ამუნდსენი კი, ჩემის აზრით უთუოდ დაიღუპა.

თბ. მეხანძრეთა რაზმის დაჯილდოება

კვირას, 25 ნოემბერს, დილის 10 საათზე თბილისის საბჭოს წითელ დარბაზში შესდგა თბილისის საბჭოს კომუნალური სექციის სხდომა, სექციაზე მიმაგრებულ აქტივთან ერთად.

დღის წესრიგში იდგა მოხსენება თბილისის ცეცხლის მქრობელი რაზმის მუშაობის შესახებ. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა თბილისის ბრანდმაიორი და რესპუბლიკის სახანძრო დაცვის ინსპექტორი ამხ. **ბერიძე**, რომელმაც აღნიშნა შემდეგი:

მეხანძრეთა რაზმი თბილისში დაარსდა 1824 წელში ბრანდმაიორ ტონაგელის ხელმძღვანელობით. თუ როგორი იყო ეს „ხელმძღვანელობა", სჩანს იქიდან, რომ აღნიშნული ტონაგელი ამ თანამდებობის გარდა აძლევდა ცეკვის გაკვეთილებს. ცეცხლის მქრობელი რაზმი არ იყო შეარაღებული უსაჭიროესი პრიმიტიული იარაღებითაც კი. ხანძრის ჩასაქრობად მათ წყლის მოტანა ხშირად ვედროებით უხდებოდათ. რადგან რაზმის განკარგულებაში მყოფი ცხენებით წყალს ზიდავდენ სხვადასხვა დაწესებულებებისათვისაც.

სახანძრო საქმეს გაუმჯობესება არც მენშევიკური მთავრობის დროს დაეტყო. რაზმელები 4—5 თვეობით ჯამაგირს ვერ ღებულობდნენ, მოთავსებული იყვნენ ვიწრო და ბინძურ ყაზარმაში. „დემოკრატიულ" მთავრობას ზედმეტად მიაჩნდა 8 საათის სამუშაო დღის შემოღება მეხანძრეებისათვის, ყოველივე ამის გამო ცეცხლის მქრობელ რაზმში გამეფებული იყო სრული უდისციპლინობა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე გადაწყვეტილი იქნა რაზმის რეორგანიზაცია და შრომის პირობების გაუმჯობესება. მეხანძრეებს გაუდიდდათ ჯამაგირი და ულუფა, შემოღებული იქნა 8 საათის სამუშაო დღე, გაუმჯობესდა საბინაო პირობები, ტეხნიკური მოწყობილობანი და სხვა.

ამჟამად რაზმს მოეპოვება 10 ავტო-მანქანა, რომელთაგან 3 უცხოეთშია შეძენილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი მანქანა ავტომატიური კიბით, რომელიც აგებულია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. წარმოებებში ხანძრებთან საბრძოლველად მოწყობილია საუწყებო სახანძრო რაზმები.

რადგან ცეცხლის მქრობ რაზმების ამოცანები მარტო ცეცხლის ქრობით არ განისაზღვრება, სახანძრო ინსპექცია აწარმოებს იმ პირობების შესწავლას, რომლებიც წარმოშობენ ხანძარს. მეხანძრეთა რაზმთან არსებობს აგრეთვე საკვამლე მილების მწმენდავი რაზმი.

როგორც თვით მეხანძრეებისათვის, აგრეთვე მათი ოჯახის წევრებისათვის საექიმო დახმარების აღმოსაჩენად მოწყობილია ამბულატორია. რაზმის გამოძახების შემთხვევაში ხანძრის ადგილზე რაზმთან ერთად ცხადდება ექიმიც. რაზმს აქვს თავისი ავტო-სახელოსნო. თბილისის ცეცხლის მქრობელი რაზმი სამსახურს უწევს არა მარტო ქ. თბილისს და მის რაიონებს, არამედ რესპუბლიკის სხვადასხვა მაზრებსაც.

ამჟამად თბილისში დაარსებულია მეხანძრეთა სკოლა, რომელშიაც სწავლობენ აგრეთვე მაზრებიდან ჩამოსული პირებიც.

1921 წლის იანვრიდან—1928 წლის ოქტომბრამდე რაზმმა ჩააქრო სულ 2748 ხანძარი. 1921 წელთან შედარებით წელს ხანძრების რიცხვი ერთი ორად გაიზარდა, რაც უმთავრესად აიხსნება მოსახლეობის ზრდით, ბინების სივიწროვით და ზაჰესის ელექტრო-ენერგიაზე გადასვლამდე მოძველებული ელექტრო-მავთულების ძალიან დატვირთვით.

ამხ. ბერიძის მოხსენების შემდეგ თავისუფლების მოედანზე გაიმართა მეხანძრეთა რაზმის აღლუმი და მიტინგი.

აღლუმს და მიტინგს აურაცხელი ხალხი დაესწრო, რომელსაც რაზმმა უჩვენა თავისი მიღწევები ხანძრებთან ბრძოლის საქმეში.

ამ მიღწევათა დემონსტრაციის შემდეგ ამხ. დოლიძეს თავმჯდომარეობით გაიხსნა მიტინგი.

პირველი მისასალმებელი სიტყვით საქ. ცაკის სახელით გამოვიდა ამხ. **ვარძიელი**, რომელმაც აღნიშნა რა თბილისის მეხანძრეთა რაზმის ენერგიული მუშაობა, წაიკითხა სრ. საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება თბილისის მეხანძრეთა რაზმის შრომის ორდენით და ამხ. ბერიძის (ბრანდმაიორის) ოქროს საათით დაჯილდოვების შესახებ. ჯილდოების დარიგების შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ვ. **ბოლქვაძე** (თბილისის აღმასკომის სახელით), **თავდგირიძე** (კომუნალური მეურნეობის მუშაკთა პროფკავშ. (ც. გ.), **პოპოვი** (არსენალ.), **კოლჩევსკი** (რკინის გზის მეხანძრეთა რაზმი) და სხვ.

მისალმებების შემდეგ საპასუხო სიტყვით მეხანძრეთა სახელით გამოვიდა ამხ. ბერიძე, რის შემდეგ მიტინგი დახურა.

საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მეორე პლენუმი

შაბათს, 24 ნოემბერს ხელოვნების სასახლეში გაიხსნა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მეორე პლენუმი. პლენუმის პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ბ. ბუაჩიძის მოხსენება თანამედროვე ლიტერატურისა და პროლეტარული მწერლობის ამოცანების შესახებ.

თავისი მოხსენების დასაწყისში ამხ. ბ. ბუაჩიძე შეჩერდა კულტურული რევოლიუციის საკითხებზე და ამასთან დაკავშირებით პროლეტარული მწერლობის ამოცანებზე. მან განაცხადა, რომ კულტურული რევოლიუცია არ არის მარტო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, კულტურული რევოლიუციის ცნება უფრო ფართოა. აქ შედის, როგორც წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, ისე ბურჟუაზიული მწერლობის კრიტიკული გადამუშავება და მისი შესწავლა, ახალ სიოს შეტანა თეატრში, მუსიკაში, მხატვრობაში. კულტურულ რევოლიუციის მოხდენაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ხელოვნებას და ლიტერატურას. მოსკოვში, ლენინგრადში და ხარკოვში ჩატარებული გამოკვლევების დროს აღმოჩნდა, რომ მკითხველთა ნახევარი ეტანება მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურას. აქედან უკვე გასაგებია, თუ რა ხვედრითი წონა ექნება მხატვრულ ლიტერატურას კულტურული რევოლიუციის მოხდენის საქმეში.

შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს ქართულ ლიტერატურულ ფრონტზე შექმნილ მდგომარეობას და ამბობს, რომ ქართულ მწერლობაში დაახლოებით ასეთი ძალთა განწყობილებაა შექმნილი; არის ფენა ძველი ბურჟუაზიული მწერლობისა და არის თანამგზავრთა ფენა, რომელიც თავის მხრივ იძლევა სამ მიმდინარეობას: პოლიტიკურად თანამგზავრი მწერლები, თანამგზავრები მემარჯვენე გადახრით და მესამე—თანამგზავრები, რომლებიც შედარებით უფრო ახლოს დგანან რევოლიუციონურ პროლეტარულ მწერლობასთან. მესამე, ერთი უძლიერესი ფენა, ესაა პროლეტარული მწერლობა.

ცალკე ლიტერატურული დაჯგუფებების მუშაობას მომხსენებელი შემდეგნაირად ახასიათებს: 1-ლი ფენა, ე. ი. ბურჟუაზიულ-ფეოდალური მწერლობა ხასიათდება მით რომ ის მიუღებლად თვლის თანამედროვეობას, ამ მწერლობას და მის წარმომადგენელ ცალკე მწერლებსაც ახასიათებს—ისტორიზმი, წარსულისაკენ მზერა (მასალების აღება წარსული საუკუნოებიდან, ნაციონალისტურ სიმებზე თამაში, მისტიციზმი და სხვა). ხშირად ამ ფენის წარმომადგენლები ისეთ გამოუმჟღავნებელ მხატვრულ ფორმებში აყალიბებენ თემას, რომ ერთგვარ გავლენას ახდენენ პროლეტარულ მწერლებზედაც. თანამგზავრების ფენას, ორატორის აზრით, უნდა მიეკუთვნონ „ცისფერი ყანწების" ჯგუფი. შემოქმედებაში ამ ჯგუფის წარმომადგენლები უფრო ბურჟუაზიულ სულისკვეთებას გამოხატავენ, პოლიტიკურად კი თანამგზავრებად აცხადებენ თავს.

ჩვენს მწერლობაში არსებობს კლასობრივი დანაწილება და თვითეული ფენა ცდილობს მოიპოვოს არსებობის საშუალება.

პროლეტარული მწერლობის შესახებ მომხსენებელი ამბობს: პროლეტარული მწერლობის ხვედრითი წონა იზრდება, დღითი დღე ძლიერდება და მატულობს პროლეტარული მწერლების შემოქმედებითი უნარი. თუ საერთოდ მწერლობაში და განსაკუთრებით ქართულ მწერლობაში ლექსი, ანუ პოეზია სჭარბობდა, პროზას, თანამედროვე ქართულ პროლეტარულ მწერლობაში, საწინააღმდეგო მოვლენას ვხედავთ: აქ პროზა სჭარბობს პოეზიას. მთელი რიგი მწერლები ცდილობენ მხატვრულ პროზაზე გადასვლას და ამ მხრივ მათ უკვე მოგვცეს საინტერესო ნიმუშები.

როგორ უნდა შესძლოს თანამედროვეობის ათვისება ჩვენმა პროლეტარულმა მწერალმა? —ამისათვის იგი უფრო უნდა დაუახლოვდეს ცხოვრებას და თავისი შემოქმედება უნდა დაუკავშიროს თანამედროვეობას.

დასასრულ მომხსენებელი დაწვრილებით ეხება ყველა იმ სუსტ მხარეებს, რომლებიც ახასიათებს პროლეტარულ მწერალთა შემოქმედებას. ეს არის—ძველი ლიტერატურულ ფორმების გავლენა, კლასიკოსების გამეორება, სხვადასხვა უფრო ხშირად ანტიპროლეტარულ განწყობილებების შეთვისება და სხვ.

მომხსენებელი საჭიროდ სთვლის, რომ აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და დისკუსიების გამართვის წესი შემოღებულ იქნეს ასოციაციის პრაქტიკულ მუშაობაში, რადგან ამ გზით გაუადვილდება სხვადასხვა პროლეტარულ მწერლებს მავნე მოვლენების თავიდან აცილება.

შირაქის ნავთი

ამოხეთქა ახალმა შადრევანმა

იმის შემდეგ, რაც შირაქში რამოდენიმეჯერ ამოხეთქა ნავთმა, ს. მ. უ. საბჭოს სამთო სამმართველომ წინადადება მისცა კონცესიონერს ამოევსო თიხით ჭაბურღილი, რომ ამ უკანასკნელიდან არ ამოსულიყო ნავთი და გაზი.

კონცესიონერი 23 ნოემბერს შეუდგა თიხის ჩაყრას ჭაბურღილში, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ იქიდან ამოხეთქა სუფთა ნავთის ძლიერმა შადრევანმა, რომლის სიმაღლე 15 მეტრს აღწევდა. ნავთის დინა გრძელდებოდა 10 წუთი.

თიხის ჩაყრა ჭაბურღილში გრძელდება.

ფეხსაცმელები

საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის განკარგულებით მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საბჭოთა კავშირიდან ამიერ-კავკასიაში შემოზიდული იქნება 1.796.000 მანეთის ფეხსაცმელები. ამ რაოდენობიდან საქართველოსათვის გამოყოფილია—720.600 მანეთის ფეხსაცმელი, რომელიც სავაჭრო ორგანიზაციათა შორის განაწილებულია შემდეგნაირად: მუშკოოპს მიეცემა—144.000 მან., სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებს („გრუზგოსტორგი", „აჭარტორგი" და აფხაზეთის „გოსტორგი")—108.000 მან., ცეკავშირს—216.500 მან., „ზაკვოენპო"-ს—43.000 მან., აფხაზეთის კოოპ. კავშირს—29.000 მან., „ზაკტპო"-ს—72.000 მან. და სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—107.800 მანეთის ფეხსაცმელი.

რკინის გზებზე

რკინისგზელთა ჯანმრთელობის დაცვა

ა.-კ. რკ. გზების მთელ რიგ ადგილობრივ ორგანოებიდან საგზაო კომიტეტს მისდის საჩივრები იმის შესახებ, რომ იმ რკინისგზელება და მათი ოჯახის წევრებს, რომლებიც არ ცხოვრობენ რკინის გზის ფარგლებში, საექიმო დახმარებას უწევენ არა რეგულიარულად.

ამის გამო ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა მიმართა გზის ჯანმრთელობის განყოფილებას მოაწესრიგოს ეს საკითხი.

მტვირთავები—რკინისგზელთა პროფკავშირში

მტვირთავი მუშები გადაყვანილი არიან რკინისგზელთა პროფკავშირში.

ამასთან დაკავშირებით საგზაო კომიტეტმა წინადადება მისცა საუბნო კომიტეტებს მოითხოვონ გზის ადგილობრივი ადმინისტრაციისაგან მტვირთავებზე რკინისგზელთა კოლექტიური ხელშეკრულების გავრცელება. ამასთანავე გაცემულია განკარგულება, რომ მოხდეს მტვირთავ მუშების ხელფასის ტარიფის გადასინჯვა.

ქრონიკა

ინჟ. ვ. ვ. კალედინსკის დაღუპვის გამო

14 ნოემბერს, გამოკვლევითი მუშაობის დროს მდინარე ალაზანში დაიღუპა ა.-კ. ნავთსადგურების სამმართველოს გამოკვლევითი ბიუროს უფროსი ინჟ. ვ. ვ. ვალედინსკი.

მიუხედავად მიღებული ზომებისა, ინჟ. ვალედინსკის გვამი აქამდე ვერ იპოვეს.

განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავად გუშინ რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგა თბილისის ინჟენერ-ტეხნიკოსების სამგლოვიარო სხდომა.

სიტყვები წარმოსთქვა 15-დე ინჟენერ-ტეხნიკოსმა, რომელთაც განსვენებული დახასიათეს, როგორც ენერგიული მუშაკი, რომელმაც დასტოვა მრავალი სამეცნიერო ხასიათის ნაშრომი.

სხდომამ სამძიმარის დეპეშები მიიღო: გზათა კომისარიატის კოლეგიის წევრისაგან—ამხ. კოლუიანისაგან, ნავთსადგურების ცენტრალურ სამმართველოს უფროს—სერგეევისაგან, შინა-წყლებზე მიმოსვლის სამმართველოს უფროს—ლეპინისაგან, პროფ. კომინსკისგან, პროფ. ვოზნესენსკისგან, პროფ ლეხნიცკისგან და მთელ რიგ ორგანიზაციებიდან.

შექმნილია სპეციალური კომისია ა.-კ. ნავთსადგურების უფროს ამხ. ტ. ს. სპრინკველის თავმჯდომარეობით, რომელსაც დავალებული აქვს შუამდგომლობის აღძვრა უმაღლეს ორგანოების წინაშე, რათა ინჟ. ვალედინსკის ოჯახს დაენიშნოს პენსია.

იურიდიული დახმარება მშრომელ ქალებს

დედათა და ბავშთა დაცვის კონსულტაციასთან (ლენინის ქ. № 50) ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა მოაწყო მშრომელ ქალთა იურიდიული დახმარების ბიურო, რომელიც მუშაობს ორშაბათობით და პარასკეობით საღ. 5—7 საათამდე.

იურიდიული ბიურო უფასო რჩევა-დარიგებას აძლევს ყველა მშრომელ ქალებს ალიმენტების, საბინაო საკითხის და სხვა ხასიათის შეკითხვებზე.

რენტგენის კაბინეტები ქუთაისში და სენაკში

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ახლო მომავალში მიიღებს რენტგენის კაბინეტების მოწყობილობას ქუთაისისა და სენაკის საავადმყოფოებისათვის.

მეთოდბიუროს გამოკვლევა

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია შეუდგა განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ მეთოდბიუროს მუშაობის გამოკვლევას.

ფასები კომბოსტოზე

ამიერ-კავკ. სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს დადგენილებით, კომბოსტოზე დაწესებულია ფასები: 25 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე კილო კომბოსტო გაიყიდება 7 კაპეიკათ; 5 დეკემბრიდან 1 იანვრამდე,—8 კაპეიკად; 1 იანვრიდან 1 თებერვლამდე—9 კაპეიკად და 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე—10 კაპეიკად.

თბილისის აღმასკომში

◆ **დახურული ბაზარი**. კომუნალური განყოფილება კახეთის მოედანზე აწყობს დახურულ ბაზარს.

◆ **სავაჭრო ქსელის გამოკვლევა**. ვაჭრობის მომწესრიგებელი განყოფილება შეუდგა სავაჭრო ქსელის გამოკვლევას.

სხვადასხვა

◆ **8 მილიონის ფართალი**. მიმდინარე წელში ამიერ-კავკასიაში შემოტანილი იქნება 8 მილიონ მანეთის ფართლეულობა.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები**. დერბენტიდან—სპირტლაძეს, თბილისიდან—აკოპოვს, არტემოვსკიდან—კაჩალკინს, სოხუმიდან—გასპაროვს, ოდესიდან—ჩიკვაშვილს.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„ჰუგენოტები"—ოპერა მეიერბერგის

ეჭვს გარეშეა, რომ ოპერა „ჰუგენოტები" ჯაკომო მეიერბერის (1791—1864), გასული საუკუნის ამ გამოჩენილი საოპერო კომპოზიტორის საუკეთესო თხზულებაა. მელოდიურობასთან, მძლავრი ანსამბლის შექმნის უნართან და საორკესტრო დარგის ბრწყინვალე დამუშავებასთან ერთად მეიერბერს ახასიათებდა მაყურებლის გაოცების სურვილი. ხანდახან იაფფასიანი ეფექტებით და ძლიერი კონტრასტებით.

„ჰუგენოტებ"-ში აწერილია საშინელი ეპიზოდი საფრანგეთის ისტორიის იმ ეპოქიდან, როდესაც იქ სწარმოებდა ბრძოლა რელიგიურ პარტიებს შორის. ეს ეპიზოდი ცნობილია „ბართლომეუს ღამის" სახელწოდებით (1572 წ.). ამ ღამეს მორწმუნე კათოლიკებმა 2000 ჰუგენოტი მოჰკლეს) რადგან მსხვერპლთა ეს რიცხვი მეტად მცირეთ ეჩვენათ, ამიტომ შემდეგში დამატებით კიდევ 30.000 კაცი ამოწყვიტეს).

ამ ოპერის სცენიური განსახიერება ძნელია, რადგანაც მისი დადგმისათვის საჭიროა დიდი და ძლიერი ხმები (ასეთების რიცხვი უკანასკნელ ხანებში თანდათან მცირდება). გარდა ამისა ოპერას ახასიათებს რთული ანსამბლები.

როგორც სჩანს, დირიჟორს **ი. ფალიაშვილს** ბევრი უმუშავნია ოპერის მოსამზადებლად და მან კიდეც მიაღწია მნიშვნელოვან შედეგებს: ყველა საანსამბლო სცენები(გარდა სეპტეტისა მე-3 მოქმედებაში) ჩატარებულ იქნა მწყობრად, აღფრთოვანებით.

უნაკლო იყო ორკესტრი (კერძოდ უნდა აღინიშნოს ლამაზი სოლო ფლეიტისა და ინტროდუქცია მე-2 მოქმედების წინ).

სოლისტებში აღტაცება გამოიწვია **დერჟინსკაიამ**, რომელმაც მეტად ლამაზათ, დიდი გრძნობით და მხატვრული სიმართლით შეასრულა ვალენტინას როლი.

ისეცკის მშვენიერი ბანისათვის მარსელას პარტია ცოტა დაბალია (ეს პარტია დაწერილია basso—profundo-სათვის). მე-3 მოქმედების დიდ დუეტში ვალენტინასთან და შემდგომ სცენებში ისეცკი საუცხოვოდ მღეროდა. მან შექმნა მრისხანე ჰუგენოტის ტიპიური სახე.

მეტად მოხდენილი ნევერი იყო **ინაშვილი**, რომელმაც დიდი გამომეტყველებით იმღერა თავის რეჩიტატივები.

ბრიგინევიჩს ძლიერი ხმა აქვს, მაგრამ ლირიულ ადგილებს ის ცუდად ასრულებს თავისი გამოსასვლელი რომანსი მან გრძნობით ჩაატარა, მაგრამ ეს არ იყო ნამდვილი სიმღერა. არ იყო ის, რასაც belcanto-ს ეძახიან. როგორც სჩანს, არტისტი ცოტა უქეიფოდ იყო (უკანასკნელ დუეტში ვალენტინასთან მას კინაღამ ხმა ჩაუწყდა), როლის სცენიური მხარის გადაცემა არტისტმა ვერ შესძლო.

სენბრის ცოცხალი ფიგურა მოგვცა **ნიკოლსკიმ**. საკმაოდ კარგი დედოფალი იყო **აფრამეევა**. დამაკმაყოფილებლად ჩაატარა პაჟის (ურბანის) პარტია **ბლანკმანმა**.

ამ შემთხვევაში დიდი გამარჯვება ხვდა ბალეტს, რომელიც ეფექტიურად დადგმულია სერგეევის მიერ. დიდის ტემპერამენტით იქნა შესრულებული ცეკვა მე-3 მოქმედებაში (ცეკვა განმეორებულ იქნა).

შემდგომ სპექტაკლებში რაულის პარტიაში გამოვლენ **დროზდოვი** და **ქუმსიაშვილი**; მარსელის პარტიაში—**სუხოდოლსკი**.

ვ.

სომხური დრამა

„კაცი პორტფელით"

ა. ფაიკოს პიესა „კაცი პორტფელით" არსებითად მელოდრამას წარმოადგენს.

პიესის გმირია ნიჭიერი მეცნიერი, პროფესორი გრანატოვი. სამეცნიერო დამსახურებისთვის ის გადაჰყავთ მოსკოვში—უმაღლეს სამეცნიერო დაწესებულებაში. გრანატოვის გამგზავრების წინ მისი მსმენელი სტუდენტები უძღვნიან მას პორტფელს. ეს არის დრამის სათაურის გარეგანი საბაბი.

გრანატოვს საბჭოთა ადამიანად მოაქვს თავი, მაგრამ სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ის კარიერისტია, რომელიც თავისი მიზნების მისაღწევად არავითარ ავანტიურას არ ერიდება. რევოლიუციის პირველ წლებშივე ის თურმე კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობას! აწარმოებდა. და როდესაც ვაგონში ხვდება თავის ამხანაგს, აგრეთვე ყოფილ კონტრრევოლიუციონერს, რომელსაც ხელთ აქვს ორივეს სახელის გამტეხი დოკუმენტები, გრანატოვი ჰკლავს მას ვაგონში პორტსიგარის დარტყმით და გადააგდებს ვაგონიდან „ყველაფერი კარიერისათვის".

შემდეგ გრანატოვი სცდილობს თავი შეაყვაროს კომკავშირელ ქალს ბაშკიროვას და კიდევაც ახერხებს ამას. შესაძლებელია მას თითონაც მოსწონს ბაშკიროვა, მაგრამ უმთავრესად იმიტომ ეარშიყება მას, რომ ბაშკიროვას ძმას საპასუხისმგებლო თანამდებობა უჭირავს. აქაც „ყველაფერი კარიერისათვის".

უცხოეთიდან გრანატოვთან ბრუნდებიან მისი ცოლი და ვაჟი. ის იმათაც ულმობელად იშორებს, რომ მათ ხელი არ შეუშალონ მას დაქორწინებას და შემდგომ კარიერას. გრანატოვი სასტიკად ილაშქრებს თავისი პროფესორის ანდროსოვის წინააღმდეგ, რომელიც მის კარიერას აფერხებს, და იმდენად აუღელვებს მას, რომ ანდროსოვი კვდება გულის დამბლით. ეს უკვე ორი მკვლელობა. გრანატოვის ცოლი ვეღარ იტანს შექმნილ მდგომარეობას და თავს იწამლავს (უკვე მესამე მკვლელობა!) და გრანატოვი აუღელვებლად მოუთხრობს ამას თავის ვაჟს. რომელსაც ჰპირდება გამოიყვანოს მეცნიერად და ძლიერ კაცად, რომ მან უკეთ შესძლოს ბოლშევიკებთან ბრძოლა... დაბოლოს გრანატოვი აღიარებს თავის ყველა დანაშაულს და თავს იკლავს.

ასეთია ამ პიესის შინაარსი.

„კაცი პორტფელით" სცენიურია, რაც ხშირად ახასიათებს მელოდრამებს.

პიესის შესრულება სომხურ სცენაზე საერთოდ დამაკმაყოფილებელია. მთავარ როლში (გრანატოვი) გამოვიდა ახალგაზრდა არტისტი მალიანი, რომელიც თამაშობდა ტემპერამენტით და გულწრფელად. მაგრამ ერთის მხრივ ეჭვს იწვევს მალიანის მიერ გრანატოვის როლის გაგება. მალიანს გრანატოვი გამოჰყავს ფიცხი, ექსპანსიური ხასიათის მქონედ. განა უფრო სწორი არ იქნებოდა, რომ მას დაეხატა გრანატოვი უგულო და ულმობელ კარიერისტად? მალიანმა ბევრი უნდა იმუშაოს, რომ განთავისუფლდეს დეკლამაციის გავლენისაგან (ეს ნაკლი, სამწუხაროდ, ბევრ სომეხ არტისტს ახასიათებს), რათა სადად ძალდაუტანებლად ილაპარაკოს. მაგრამ გრანატოვის როლის შესრულება მაინც საფუძველს გვაძლევს იმედით ვუცქიროთ ამ ახალგაზრდა არტისტის მომავალს.

გარეგნულად მოხდენილმა ჭინიამ (გრანატოვის ცოლი)—სიბარმა გამოიჩინა გულწრფელი კილო და კარგი მიმიკა ქმართან შეხვედრის სცენაში. უფრო ნაკლებ იხერხება მას წმინდა დრამატიული სცენები (გრანატოვთან გამოთხოვება). მოჩორიანი (ზინა ბაშკიროვა) პირველად უფერული იყო და მხოლოდ მე-4 მოქმედებაში იპოვა სათანადო კილო. გვარიანი იყო მარი ბეროიანი გრანატოვის დედის როლში. კარგად ჩაატარა თავისი საძნელო [illegible] ბეროიანმა (პროფესორი ანდროსოვი). გრანატოვის ამხანაგ რიდოტკინის (რომელიც ბოროტმოქმედებაზე შეისწრო გრანატოვი მატარებელში) საკმაოდ მკაფიო სახე შექმნა სანამიანმა. ტიპიური იყო რიდოტკინის ცოლიც. დადგმა გვარიანია. მაგრამ... რომელ ჩქარ მატარებელში ნახავთ ასეთ სიბინძურეს და ვაგონ-რესტორანების ასე ღატაკ მოწყობილობას?

დ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„ხოჭოების დოლი"**. დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება ხოზიკას პიესა: „ხოჭოების დოლი".

◆ **ხელოვანთა სასახლეში** ოთხშაბათს, საღამოს 8 ს. გაიმართება ჟურნ. „მემარცხენეობა"-ს საღამო. მონაწილეობას მიიღებენ: ლ. ასათიანი, ბ. აბულაძე, შ. ალხაზიშვილი, ა. ბელიაშვილი, ბ. ჟღენტი, ვ. ჟურული, დ. შენგელაია, ნ. ჩაჩავა და ს. ჩიქოვანი. შესვლა თავისუფალია.

◆ **ლიტერატურული დისპუტი**. 25 ნოემბერს ამხ. მ. კახიანის სახელობის ქართულ მუშფაკში ადგილობრივ ლიტერატურულ წრის თაოსნობით შესდგა ლიტერატურული დისპუტი, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. ბ. ბუაჩიძემ შემდეგ თემაზე: „თანამედროვე მწერლობა და საბჭოთა საზოგადოებრივობა". მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. დასასრულ პროლეტარულმა მწერლებმა წაიკითხეს ლექსები.

◆ **„ევგენი ონეგინი"**. მე-2 აბონიმენტისათვის დღეს ოპერის თეატრში სლივინსკის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ევგენი ონეგინი".

◆ **სოხუმის ქართული დრამა**. სოხუმის ქართულმა დრამამ ოქტომბრის დღესასწაულის დღეს, 7 ნოემბერს, დასდგა ლავრენევის პიესა „რღვევა". წარმოდგენამ აუდიტორიაზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. სეზონის ოფიციალური გახსნა მოხდა 24 ნოემბერს ეგნატე ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული პიესით „ჯანყი გურიაში"-თ. მეორე წარმოდგენად მიდის „რღვევა". უახლოეს პრემიერებად დანიშნულია ერთაწმინდელის „ცეკვა ბებუთით" და ბუხნიკაშვილის „კომისარი მოსკოვიდან". კლასიკურ ნაწარმოებებიდან მზადდება ახალი დადგმით შილლერის „ყაჩაღები". დირექციის მიერ შემოღებულია აბონიმენტების სისტემა.

სასამართლო

კომბინატორები შრომის ბირჟაში

გასული წლის სექტემბრიდან **ნიკოლოზ გარსევანისძე კენჭაძე** მუშაობდა თბილისის შრომის ბირჟაში რეგისტრატორის თანამდებობაზე. მისი მოვალეობა იყო უმუშევრების საბუთების გადასინჯვა და მათი აყვანა აღრიცხვაზე.

შრომის ბირჟაში ჩარიცხული უმუშევარი, თუ მას საკმაო შრომის სტაჟი აქვს, განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ყოველთვიურ დახმარებას იღებს დამზღვევ სალაროდან.

კენჭაძის პირველი ნაბიჯი შრომის ბირჟაში იყო ის, რომ მან პირველ რიგში თავისი კარგი მეგობარი **მელიტონ ტალიკაძე** შინაურულად მოაწყო ბირჟაში „დროებით" სამუშაოზე. მელიტონ ტალიკაძემ „დროებით" იმუშავა მთელი წლის განმავლობაში კენჭაძესთან ერთად, რომელიც მიუხედავად თანამშრომლების შენიშვნებისა, რომ არ შეიძლება ამდენი ხნით დროებით მომუშავის გაჩერება, არაფრის გულისთვის თავიდან არ იშორებდა მეგობარს.

მელიტონ ტალიკაძემ მალე მოიპოვა „პოპულიარობა" უმუშევართა შორის თავისი კომბინატორული ნიჭის წყალობით. იგი სექციის გამგეთ ასაღებდა თავს უცნობ უმუშევართა შორის და სათანადო გასამრჯელოზე მორიგების შემდეგ აღუთქვამდა მათ ყოველგვარი საქმის გაკეთებას.

ტალიკაძე „სიტყვის კაცი" იყო. თუ ვინმეს დაჰპირდებოდა საქმის გაკეთებას, თუ ხელს შეარებდა ფულს („გასამრჯელოს სახით") „გაისარჯებოდა" და კიდეც გააკეთებდა საქმეს.

ტალიკაძეს და კენჭაძეს წინასწარ ჰქონდათ შედგენილი კომბინატორული მუშაობის გეგმა. ისინი მოქმედობდნენ შეთანხმებულად და ადვილად აჩერხებდნენ „გამოსარჩენის" მიღებას.

როგორც ზემოდ ვსთქვით, შრომის ბირჟაზეა დამოკიდებული უმუშევრის გადარიცხვა დამზღვევ სალაროზე. უმუშევარი ვერ მიიღებს დახმარებას სალაროდან, თუ მას ბირჟიდან არ აქვს სათანადო საბუთი.

ტალიკაძე დადიოდა ისეთ უმუშევრებთან, რომელთაც არავითარი შრომის სტაჟი არ ჰქონდათ, სთხოვდა მათ ქრთამს და აღუთქვამდა დახმარების დანიშვნას ყოველ თვიურად.

ტალიკაძე თვითონ ამზადებდა სათანადო „საბუთებს". უსტაჟო უმუშევარს ისეთი დაწესებულების ძველ თანამშრომლად გამოიყვანდა, რომლის ახლოსაც არ გაუვლია უკანასკნელს.

„გასამრჯელოსათვის" ტალიკაძე ვაჭრობას იწყებდა ასი მანეთიდან. ცოტას ზოგჯერ დაუკლებდა განსაკუთრებულ „ხათრის" გულისთვის.

ამა წლის მარტში ტალიკაძე ხვდება ერთ თავის ნაცნობ უმუშევარს ხარუხანიანცს, რომელსაც სთხოვს 100 მანეთს „საქმის მოწყობისათვის". „ხათრის გულისთვის" ტალიკაძემ დაუკლო ას მანეთს და 70 მანეთზე ჩამოვიდა. ხარუხანიანცი ტალიკაძემ კავშირშიაც ჩარიცხა გაუკეთა საბუთი, რომ იგი წყალთა მეურნეობის სამმართველოს ძველი თანამშრომელია, გადარიცხა დამზღვევ სალაროზე, რომელმაც მას თვიურად 14 მანეთი დაუნიშნა დახმარების სახით.

ნიკოლოზ კენჭაძის მეუღლეს ლიუბას დამზღვევმა სალარომ უარი უთხრა თვიური დახმარების მიცემაზე, რადგან 1922 წლის შემდეგ იგი შრომის ბირჟაში არ ირიცხებოდა.

მელიტონ ტალიკაძემ მაშინვე გააჩინა „საბუთი", რომ ლიუბა „მსახურობდა ყელდარი" და ალაზნის არხების სამმართველოში 1927 წლის 28 ოქტომბრამდე, ჩარიცხა ბირჟაში „უხსოვარ დროიდან" და დამზღვევ სალაროს რაღა ეთქმოდა! დაუნიშნა ლიუბას ყოველთვიური დახმარების სახით 14 მან და 50 კაპეიკი, რომელსაც სისტემატიურად იღებდა იგი.

უკანასკნელად ტალიკაძემ „საქმე გაუკეთა" ვინმე ხარიტოვს, რომელიც გაატარა კენჭაძის დახმარებით რეგისტრაციაში, გაუკეთა მას „საბუთები", დააზღვევა და მოეწყოსაქმე ისე, რომ ყოველთვიური დახმარება მზად იყო.

ამ „საბუთებით" ხელში ტალიკაძე იდგა ხარიტოვის ბინაზე ფულის მისაღებად, მაგრამ იქ ადმინისტრაციის წარმომადგენლები აპატიმრებენ მას.

ტალიკაძესთან ერთად ციხეში იგზავნება მისი მარჯვენა ხელი კენჭაძე თავის მეუღლითურთ.

შრომის ბირჟის კომბინატორებს ამ დღეებში გაასამართლებს თბილისის მაზრის სასამართლო.

ზერ.

ფიზკულტურა და სპორტი

თბილისის რკინისგზელთა გუნდი ბათომში

ამ დღეებში ბათომიდან დაბრუნდა თბილისის რკინისგზელთა გუნდი, რომელმაც იქ ჩაატარა ორი შეჯიბრება.

პირველი მატჩი ბათომის რკინისგზელთა გუნდთან დამთავრდა თბილისელების გამარჯვებით (2:1), ხოლო მეორე შეჯიბრება ბათომის „დინამო"-სთან დამთავრდა 3:2 ბათომელების სასარგებლოდ.

თბილისის რკინისგზელთა გუნდი ბათომში გამოდიოდა შემდეგი შემადგენლობით: სოლონინი, ოტტო, გლუშჩენკო, სპირინი, რამიშვილი, კარტაშოვი, როსტიაშვილი, სომოვი, რ. მდივანი, ფალავანდიშვილი და ხვედელიძე.

ზესტაფონი—თბილისი

კვირას, 25 ნოემბერს, „დინამო"-ს სტადიონზე გაიმართა მატჩი-რევანში ზესტაფონის რკინისგზელთა გუნდსა და „დინამო-მეორე"-ს შორის.

„დინამო" ამ შეჯიბრებაში რამდენიმეთ გაძლიერებული შემადგენლობით გამოვიდა. თამაში დამთავრდა დინამოელების გამარჯვებით 2:0.

„დინამო"—გემოკვების მუშაკები

ხაზ-ბა დინამო და პროფსაბჭოს ფიზკულტურის ცენტრალური ბიურო მართავენ შეჯიბრებას „დინამო"-სა და გემო-კვების მუშაკების გუნდს შორის. შეჯიბრება იმართება ქალაქის შემოდგომის პირველობის გამოსარკვევად.

პირველი შეჯიბრება უნდა გამართულიყო კვირას, 25 ნოემბერს, მაგრამ უამინდობის გამო გადაიდო შემდეგი კვირისათვის. თუ პირველმა შეჯიბრებამ შედეგი არ გამოიღო, გადაწყვეტილია მატჩი გადათამაშებული იქნეს.

შემთხვევები

დაჯახება

გუშინწინ, ღამით, მცხეთიდან ლენინის ქუჩაზე მომავალი ავტო-მანქანა (№ 18) წყნეთისა და ლენინის ქუჩის კუთხეში დაეჯახა ალ. ღარიბაშვილს (მცხ. მლეთის ქ. № 5) და მძიმე დაუშავა ორივე ფეხები. დაშავებული გადაგზავნეს რკინის გზის საავადმყოფოში.

შეპყრობა

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ავაზაკებს ოღლი გირ-ბაგიროვი, რომელსაც ბრალდება ქურდობა.

თავდასხმა

ამას წინად სოფ. ზანაში (სენაკის მაზრა) მგზავრ გლეხებს თავს დაესხა ყაჩაღები და გაძარცვეს.

სენაკის სამაზრო მილიციამ ყაჩაღები დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდნენ: ეოსმან, ანტონ და სევასტი შურღაიები და ამბაკო გაგუა.

გატაცებული საქონელი და ფული აღმოჩენილია და ჩაბარდა გლეხებს.

ქურდობა

გაქურდეს მინა ბედიას ბინა (ყორღანოვის ქ. № 2); წაიღეს 250 მანეთის ნივთები.—ამ საქმეზე ეჭვით დააპატიმრეს ნ. ყაველდაშვილი.—გაქურდეს ერნესტ რინკერის ბინა (ლომინაძის ქ. № 10), წაიღეს 300 მანეთის ნივთები.—იოსებ ფარაჯანოვის ბინიდან (ბესიკის ქ 16), მოიპარეს 500 მანეთის საოჯახო ნივთები.—გაქურდეს მეჩექმეთა კოლექტივი (ბამბის რიგი № 2); წაიღეს 1000 მან. საქონელი.—სახმედვაჭრობის მე-7 მაღაზიიდან (პლეხანოვის პროსპექტი № 106), მოიპარეს 700 მანეთის საქონელი.—გაქურდეს სოფ. ძალისის კოოპერატივი; მოპარულია 250 მანეთი

სისხლის სამართლის მილიციაში მიღებულია განცხადება მიხ. ცაგარელისაგან (მცხ. არკადის შესახვევი № 2), რომ თბილისის სადგურში მატარებელში ჯდომის დროს ვიღაც უცნობმა პირმა მოპარა მას ჩემოდანი, რომელშიაც ჰქონდა 2.885 მანეთის ნივთები.

მეცნიერება და ტეხნიკა

საბჭოთა რადიო-მრეწველობის განვითარება

სუსტი დენის ქარხნების საკავშირო ტრესტი მიმდინარე წელსაც განაგრძობს რადიო-მრეწველობის გაფართოებას. ამ მიზნით ხელმოწერილია ხელშეკრულება ამერიკულ ფირმასთან—„რადიო-კორპორეიშენ"-თან ტეხნიკური კონსულტაციის შესახებ. ამ ხელშეკრულების თანახმად საბჭოთა კავშირში ჩამოვა ამერიკელ სპეციალისტების ჯგუფი. ამავე ფირმისაგან შეძენილია 1.200.000 მანეთის რადიო-აპარატურა, რომელიც საბჭოთა კავშირში არ მზადდება.

უცხოეთის რადიო-ტეხნიკის მიღწევებთან გასაცნობათ ტრესტი ევროპის სახელმწიფოებში და ამერიკაში გზავნის 100 საბჭოთა ინჟინერსა და ტეხნიკოსს.

ახალი ასაფეთქებელი ნივთიერება

შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს თანამშრომლებმა აღმოაჩინეს ახალი ასაფეთქებელი ნივთიერება, რომელიც წყალქვეშაც კი ფეთქდებოდა. ეს ასაფეთქებელი ნივთიერება, სპეციალისტების აზრით, ფართე გავრცელებას ჰპოვებს სამხედრო-საზღვაო საქმეში. თავისი შემადგენლობით ახალი ნივთიერება ეკუთვნის რთულ ორგანიულ შენაერთების ჯგუფს.

აეროპლანების ავტომატიური მართვა

გერმანელმა მფრინავმა კელმა, ინგლისელმა ფრიც მორისმა და ამერიკელმა ჩემბერლინმა (სამივე მფრინავს აქვს ატლანტის ოკეანეზე გადაფრენის სტაჟი) ამ რამდენიმე ხნის წინათ ბერლინში მოახდინეს აეროპლანების ფრენის ავტომატიურად სამართავად დამზადებული აპარატის გამოცდა (აპარატი ბოიკოვის კონსტრუქციისა) აეროპლანზე დასდგეს ბოიკოვის აპარატი, დანიშნული „სიღრმის საჭის" სამართავად. ვერტიკალურ საჭეს თვით მფრინავები ძართავდნენ. საჭირო სიმაღლის მიღწევის შემდეგ მფრინავებმა აამუშავეს აპარატი. რომელიც უნაკლოდ მუშაობდა. თითქმულ „ჰაერის ორმოში" მოხვედრის შემდეგ აპარატი ისე მშვენივრად ასწორებდა აეროპლანს, თითქო დახელოვნებული მფრინავი უძღვება მას. დანიშნულ ადგილას მიფრენის შემდეგ მფრინავებმა შეამოწმეს სიმაღლე და გამოირკვა, რომ იგი ისეთივე დარჩა, როგორც ფრენის დაწყებისას იყო.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 27 ნოემბერი

დღეს, 27 ნოემბერს, თბილისის 4 კილოვატიან სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

გლეხური რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე. საერთაშორისო მიმოხილვა რუსულ ენაზე; მუსიკალური ნომრები; რადიო-გაზეთი სომხურ ენაზე; ტეხნიკური კონსულტაცია; კონცერტი სტუდიიდან; ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია და ცნობები ამინდის შესახებ—რუსულ ენაზე.

შრომის ბირჟაში

დღეს, თბილისის შრომის ბირჟაში სამუშაოზე გასაგზავნად გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები:

მშენებელ მუშაკთა სექციიდან—კორნელი ი., შეძმარიაშვილი ი., ოგანეზოვი ბ., ხაჩატუროვი ა., კანდელაკი ა., ბესელია გ., გორდეზიანი შ., პანიევი ხ. ყაზაროვი მ., ხატელაშვილი ს., პლატონოვი ა., მირზოევი ი., გულულოვი ს., ტერ-ოგანიანი ო., სარქისიანი ა. სმირნოვი ა., იეიკოვი ს., ავეტისოვი მ., მაკაროვი ე., რაიზულოვი ი., გოსელაშვილი პ. ცოტნიაშვილი ი., ბასიშვილი ბ.

მედსექციიდან—ბახტაძე პ., ვარშამოვი ა ჰაჯიიელი ა., კრასლავსკაია დ., დათაძე ე.—ამავე სექციის გამგის მიერ მიღებულია სხვადასხვა ადგილებიდან მოთხოვნილებები შემდეგი შემადგენლობაზე: წალკის საავადმყოფოდან, სადაც საჭიროა ერთი ექიმი დოსტაქარი; ქუთაისის ვენერალოგიურ დისპანსერიდან, სადაც საჭიროა ერთი ექიმ-ქალი ვენეროლოგი.

შავ მუშათა სექციიდან—აზათოვი ი., გუდაშაური გ., პაპინაშვილი ნ., ფილოსოვი მ ხელაშვილი ა., არუთინოვი ვ., როზაროვი ქ. კიბელოვი ა.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან—შავლაძე ო., დოლგიხი ფ., კრავჩენკო გ., აგაჯანოვი მ., პეტროსოვი ს., პლატევიჩ ა., პოზოევი ე კუტირიოვი ლ., სიდორენკო ე., ბიკოვი ე სკანდარიანი ა., შუბლაძე ლ., მიკირტუმოვი ლ., კაციტაძე ს., ლეშკაშელი ქ., ტროიცკაია ს., დარპინიანი ლ., იტკოვიჩი ა., კარაბეგოვი ნ. მანსურაძე-ლებედევი ე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის ხაალმშენებლო ფაკულტეტის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის უჯრედი აცხადებს, რომ დღეს 27 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე შესდგება უჯრედის კრება. წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

—:—

საქართველოს სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის კომუჯრედის კრება კომკავშირის უჯრედის ბიუროსთან ერთად შესდგება დღეს, 27 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე. ბიუროს კრება შესდგება დღეს საღამოს 5 საათზე.

—:—

საქ. სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სამთო-ქიმიურ ფაკულტეტთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედის მორიგი კრება შესდგება დღის 27 ნოემბერს საღამოს სრულ 9 საათზე. უჯრედის ბიუროს კრება შესდგება დღეს საღამოს 6 საათზე. წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 27 ნოემბერს, დღის პირველ საათზე მოწვეულია ბიურო-კოლექტივი. სხდომა. ბიურო-კოლექტივის წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა. აგრეთვე უნდა გამოცხადდნენ ის ამხანაგები, რომლებსაც შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიის წევრათ ან კანდიდატათ მიღების შესახებ.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტის მესამე და მეოთხე კურსთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო აცხადებს, იმ ამხანაგების საყურადღებოდ, რომლებიც გასულ ზაფხულში გაგზავნილი იყვნენ პრაქტიკაზე, რომ ისინი ვალდებული არიან წარმოადგინონ ანგარიშები თავიანთი მუშაობის შესახებ (წერილობით) და ადგილობრივი დაწესებულებების მიერ მიცემული სათანადო საბუთები. ვინც აღნიშნულ ანგარიშებსა და საბუთებს არ წარმოადგენს სამი დღის განმავლობაში, გამორიცხული იქნება ორგანიზაციიდან.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია იუწყება ძველი ბოლშევიკის, საკონტროლო კომისიის წევრის და აქტიური მომუშავის

ამხ. იაშა კოჩეტკოვის

ტრაგიკულად გარდაცვალებას.

საქართველოს კომპარტიის (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს პარტიისა და აჭარისტანის საოლქო კომიტეტის წევრის, მუშათა საქმისათვის დაუღალავი მებრძოლის, პატიოსანი მუშაკის და საუკეთესო

ამხ. თეოფანე ეჯიბიას

უდროოდ ტრაგიკულ გარდაცვალებას დიპ

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ა. წ. 25 ნოემბერს ტრაგიკულად დაიღუპნენ ძველი ბოლშევიკები, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის წევრები

ამხ. ი. კოჩეტკოვი და თ. ეჯიბია

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ნ. 1897

აჭარისტანის ცაკის პრეზიდიუმი და სახკომსაბჭო იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა მედგარი მებრძოლი მუშურ-გლეხური ხელისუფლებისათვის და დაუღალავი მუშაკი

ამხ. თეოფანე ეჯიბია

დიპ.

ამიერ-კავკასიის საგზაო-სატრანსპორტო გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თანამშრომელნი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1928 წლის 25 ნოემბერს ტრაგიკულად გარდაიცვალა ამიერ-კავკასიის საგზაო-სატრანსპორტო გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს უფროსი

ამხ. თეოფანე ბესარიონის-ძე ეჯიბია

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ა | კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება ძველ გამობრძმედილ რევოლუციონერ—რკინისგზელების

ამხ. ი. კოჩეტკოვის და თ. ეჯიბიას

უდროოდ და ტრაგიკულად დაღუპვას 1928 წ. 25 ნოემბერს. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული

ა | კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საუბნო კომიტეტი მწუხარებით იუწყება ძველ დაუღალავ მებრძოლების

ამხ. ი. კოჩეტკოვის და თ. ეჯიბიას

უდროოდ და ტრაგიკულად დაღუპვას. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული

თბილისის საბჭო იუწყება, რომ ა. წ. 25 ნოემბერს ტრაგიკულად დაიღუპნენ ძველი ბოლშევიკები, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის წევრები

ამხ. ი. კოჩეტკოვი და თ. ეჯიბია

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

საქართველოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების ბიურო მწუხარებით იუწყება ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრის, ძველი ბოლშევიკის და რევოლუციონერის

ამხ. იაკობ ავერიანის-ძე კოჩეტკოვის

ტრაგიკულად დაღუპვას ამა წლის ნოემბრის 25-ს.

ამიერ-კავკასიის საგზაო სატრანსპორტო გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს უჯრედი № 6 და ამიერ-კავკასიის საგზაო-სატრანსპორტო გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს კულტურულ-ყოფა ხოვრებითი კომისია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1928 წლის 25 ნოემბერს ტრაგიკულად გარდაიცვალა

ამხ. თეოფანე ბესარიონის-ძე ეჯიბია

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული

სააქციო საზოგადოება „ზაკპოგრუზ"-ის დირექცია იუწყება, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა საზოგადოების დირექტორი

იაკობ ავერიანის-ძე კოჩეტკოვი

(შ)

ა.-კ. კავშიოგაბმულობის სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება საქართველოს სახკომფოსტელის ყოფილი პირველ კოლეგიის წევრის

ამხ. თეოფანე ბესარიონის-ძე ეჯიბიას

ტრაგიკულად დაღუპვას, რომელიც მოხდა ავტომობილის ავარიის დროს 25 ნოემბერს.

5009

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის საქართველოს სამმართველო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ა. წ. 24 ნოემბერს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სამმართველოს ერთგული პატიოსანი თანამშრომელი

ამხ. პავლე თედორეს-ძე არაჩემია

გამოსვენება დღეს, 27 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე. ვარდისუბნის ქ. № 3. ნ. 1898

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის საქართველოს თანამშრომლები გულითადი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. ნოემბრის 24 ს გარდაიცვალა სამმართველოს ძველი თანამშრომელი, იშვიათი მუშაკი და სპეტაკი ადამიანი

პავლე თედორეს-ძე არაჩემია

გამოსვენება დღეს, 27 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათ. ვარდისუბნის ქ. 3. ნ 1898

დიდათ დამწუხრებული ულნი ზაკდიდელი ყოფ მოწაფეები: ძელიტონ გაბისოაია, სერ პიონ შენგელია, ბეჯი გეგეჭკორი და სილიბისტრო როგავა იუწყებიან, რომ 24 ნოემბერს უდროოდ გარდაიცვალა მათი ყოფილი საყვარელი მასწავლებელი და სპეტაკი ადამიანი

პავლე თედორეს-ძე არაჩემია

(ე)

აპოლონ, ტატიანა, ძ. რკალიტა, ნადია, აბო, როზა, ნინა, სუსანა, ალექსანდრა, შოთა, სოსო, ჯიმშერი, კორნილი, მიშა და ზინობი რამიშვილები და ელ. თევზაძე აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქიმ. ტეხ. მე 4 კურს. მოწაფე

მიხეილ (მიშა) სერაპიონის ძე რამიშვილი

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი: ბიცოლები დარია და ფლორენცია, ბიძაშვილები: მიხეილ, ნგი, ამბროსი, ლავრენტი და ალექსანდრე რამიშვილები და ვლასა ბარამიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის უსაყვარლესი

მიხეილ (მიშა) სერაპიონის ძე რამიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 27 ნოემბერს დღის 3 ს.

ქ. თ. 1-ლი ქიმიურ ტეხნიკუმის მე-4 კურსის მსმენელები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას გულითად მეგობრის

მიშა რამიშვილის

დაკარგვას. (ე)

თბილისის სამრეწველო-მომ ყოლო ტეხნიკუმის პედაგოგიური პერსონალი და მოსწავლეობა აუწყებენ საზოგადოებას ამავე ტეხნიკუმის მე 4 კურსის მსმენელის

მიხეილ (მიშა) რამიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება საკუთარ ბინიდან დღეს 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

5008

თბილისის სამრეწველო-მომწყობრო ტეხნიკუმის მე-4 კურსის მსმენელები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. ნოემბრის 24-ს გარდაიცვალა მათი ძვირფასი ამხანაგი ამავე კურსის მსმენელი

მიხეილ (მიშა) რამიშვილი

გამოსვენება საკუთარი ბინიდან დღეს 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

5002

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი დედა

ს ო ფ ი ო

რასაც ვაუწყებთ ნათესავებს და ნაცნობ მეგობრებს შვილები: პანტელეიმონ და პარმენ და რძლები: მარია და მარო ჭანიშვილები. დაკრძალვა ხუთშაბათს, ნოემბრის 29-ს, სოფ. ზედა ხანში (გურია). ნ. 1895

მოულოდნელად გარდაიცვალა ჩვენი საყვარელი

ბებია ს ო ფ ი ო

რასაც ვაუწყებთ ნათესავებს და ნაცნობებს შვილიშვილები: ჩიტო, ლიდა, ლადო. კარლო მეუღლით, ლეო. იონა, სერგო, გივი და ჟუჟუ ჭანიშვილები. დაკრძალვა ხუთშაბათს ნოემბრის 29-ს, სოფ ზედა ხანში. ნ. 1895

ღრმად დამწუხრებული დედა ევგენია და ძმა ფეოფილაკტი ფეოფილაკტოსეპა, დიდედა ნატალია შვილებით: ივანე და ნიკოლოზ ანანიაშვილები, რძალი ქეთევან და ძმა იროდიონ ნანობაშვილი აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს ძვირფასი პატარა

მედეია (დოდო) ფეოფილაკტოს (ანანიაშვილის)

გარდაცვალებას პარასკევს დღეს, 27 ნოემბერს, (ბინაზე უდელის ქ. № 30). დაკრძალვა 28 ნოემბერს, დღის 3 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 5012

რუსთაველის თეატრი

2—1 ნ. 1886

სამშაბათს, 27 ნოემბერს—ღია წარმოდგენა მე-3 ჯერ

„ხოჭოების დოლი"

კომ. 3 მოქ. ხ ო ზ ი კ ა ს ი

დადგმა ალ. ახმეტელის. და კ. პატარიძის

მხატვარი ირ. გამრეკელი

მუსიკა ი. გოკიელის

დასაწყისი სრულ 8 საათზე

ბილეთები თეატრის სალაროში დილ. 11—3 საათ სალ. 6—10 საათ.

სახელმწ. აკადემიური ოპერა

2—2 ნ. 1864

(1928—29 წლის სეზონი)

დღეს, 27 ნოემბერს, მე-2 აბონემენტის მე-2 წარმოდგენა გ. რ. სლივინსკის მონაწილეობით ევგენი ონეგინი

28 ნოემბერს მე-7 აბონემენტის მეორე წარმოდგენა რესპ. დამსახ. არტისტის ქ. გ. დერჟინსკაიას მონაწ. ჰუგენოტები

29 ნოემბერს მე-4 აბონემენტის მეორე წარმოდგენა გ. რ. სლივინსკის მონაწილეობ. ევგენი ონეგინი

სახკინმრეწველის კინოები

ანტეიადი	სეზონის საუკეთესო სურათი ფ უ მ კ ე
არფასტო	მხატვრული სურათი ე ლ ი ს ო რეჟ. ნ. შენგელაია
სოლეი მინიონი	ბარბარა ლა მარ მხატვრულ ბოევიკში მილორდ მაკ-გრიუ მინიონში პირველი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ სოლეი ი 6 ს. 40 წ.
აპოლო	მხატვრული სურათი კინო-ვარსკვლავი
კაზბეკი	მეორე კვირა ე ქ ს პ რ ე ს ი გარი პილი მონაწილეობით
დარბაზი	მისტერ ლოიდის რეისი
კრულ ტარი	ლეონიდოვი ბოევიკში მისი აღმატებულება

პირველი სეანსის დასაწყისი 6 საათზე 15 წუთზე. სალარო ღიაა 5 ს. 20 წუთიდან ს—17

ც ი რ კ ი **კოლოსი**

ტელეფ. № 8—64

დ ღ ე ს, სანახაობანი ფართო

გაძლიერებული პროგრამით

3 განყოფილებათ

ახალი გასტროლები!

ატრაქციონის ნომრები

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

სალარო ღიაა 12-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან.

წაიკითხეთ აფიშები!

დირ. ი. ზ. კუდრიაშევი, გამგე მ. ი. ტადე

ნ. 1857 3—2.

ს90 3—1

მალე

კინო-თეატრ პალასში

თავისი დადგმით და სიუჟეტით არაჩვეულებრივი ფილმი

იკ-ქ-ე-ია

მეჩექმე

დადგმა რეჟისორ ერმლერის

მალე

ნ. 1879

ფ. მახარაძე

თბილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა

მოსამზადებელი ხანა (1870—1890)

ფასი 25 კაპ.

იყიდება გაზეთ „კომუნისტი"-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34).

0—7. მთავარი კანტორა.

თბილისის ყოფ. საბაჟოს ეზოში

ორშაბათს, ა. წ. 3 დეკემბერს დილის 10 საათზე

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა

საუქციონო ვაჭრობა

კონფისკაციაქნილ საქონლის გასასყიდად. საუქციონო ვაჭრობაში შეუძლიათ მონაწილეობის მიღება სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, იმ სააქციო საზოგადოებებს, რომლებშიაც მთავარ მონაწილეობას იღებს სახელმწიფო კაპიტალი, და აგრეთვე პროლეტარულ საზოგადოებრიობის ორგანიზაციებს, რომელთა წარმომადგენლები აღჭურვილი უნდა იქნენ სათანადო რწმუნებებით.

გაიყიდება: შალის მატერიები: კოვერკოტი, ინდიგო და 3001, ქალის ჩულქები „ვიქტორია", დუხი „კოტი", სანდალოზის (ლაკის) ტყავი, შეკერილი კოსტიუმები და პალტოები, საგალანტერიო და სხვა საქონელი ღირებული, 14.000 მანეთად.

ბათომის საბაჟოს საკონფისკაციო

ნ. 1892 განყოფილების გამგე ქ. ხომერიკი.

გაზეთ „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა სთხოვს პროვინციის ყველა სასამართლოს აღმასრულებლებს საჯარო ვაჭრობის განცხადებები და კანტორის ხვედრი ფული

გადაუგზავნონ ა ციუებლივ კანტორის სახელზე (თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 34).

0—2 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

ი ყ ი დ ე ბ ა

სახლი

ქალ. ოზურგეთში, ალექსანდრეს ქუჩაზე, სადგურის ახლოს, 5 ოთახი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში, (სახლი კანტორის საკუთრებას შეადგენს), თბილისი, რუსთაველის პრ. № 34, და სამტრედიაში ვლასა გოგელიასთან.

0—11 „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი ზ. ლორთქიფანიძე

ამით აცხადებს, რომ ის 30 ნოემბერს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 8 რუსთაველის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მიხა ბრეგვაძის მოძრავ ქონებას: საკონდიტრო მოწყობილობას შეფასებულს 523 მანეთად, სახკვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 20 ნოემბრის 1928 წ. თარიღით, № 6490 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 5017

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი ივ. სანებლიძე

ამით აცხადებს, რომ ის 29 ნოემბერს 1928 წ. დღის 3 საათზე სახლში № 5 სოლოლაკის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის „კახიმერი"-ს მოძრავ ქონებას: ბოჭკას და 200 ვედრო ღვინოს შეფასებულს 600 მანეთად სურსათგამომცემლობის კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 15 ნოემბრის 1928 წ. თარიღით, № 6353 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 5016

წალენჯიხის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი თ. ეფსია,

ამით აცხადებს, რომ 8 დეკემბერს 1928 წ. დილის 10 საათზე ადგილობრივად ს. ლიაში **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება ალექსი პავლეს ძე ბერიშვილის ქონება: ერთი ოდა სახლი წაბლის მასალისა, დახურული ყავრით, ოთხი განყოფილებით იატაკით და ჭერით, სამთვალიანი ფანჯრით, სიგანით 12 არშინი, სიგრძით 12 არშინი, სიმაღლით 4 არშინი სამზარეულოთ 2 განყოფილებით დახურული ყავრით, სიგანით 8 არშ, სიგრ. 19 არშ, სასიმინდე მუხის მასალის, დახურული ყავრით, გასახსნელი მაგიდა, 2 არშ. ნახ. დაკეცილად, ორი ტახტი, ერთი რგვალი მაგიდა ნიგვზის მასალისა, და მიხა პავლესძე ბერიშვილის ქონება: ერთი ოდა სახლი წაბლის მასალისა დახურული ყავრით იატაკიანი და ჭერიანი, ბუხარიანი ოთხი განყოფილებით და ორ თვალიანი სახლი ოთხი განყოფილებით, დახურული ყავრით, იატაკიანი და ჭერიანი სიგრძით 13 არშ. სიგანით 12 არშ. სიმაღლით 3 არშ. ნახ. შეფასებული სულ ორივე 995 მ. ნ. 64 კაპ. პოკრო ლაგავას და სხვების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად წალენჯიხის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელ ფურცლისა ა. წ. აგვისტოდან № 2289. ვაჭრობა დაიწყება ზემოაღნიშნულ თანხიდან.

ე ქ ი მ ი

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა

ღებულობს 5—6 ს. ვარდა კვირისა სანაპირო ქ. № 7 (ყოფ. ნაბერეჟნაია ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02

ნ. 7 25—1

ე ქ ი მ ი

ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. № 10

ე ქ ი მ ი

პ. ი. ჯალალოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება. სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა

მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალების და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 10—9. ნ. 1. 25—1

მათემატიკის მასწავლებელი

ამზადებს (პრაქტიკა 1910 წ.) 1929 სას. წ. წლის მათემატიკასა და რუსულ ენაში

უმაღლეს სასწავ., 9 წლედის მოწმობაზე, სამხედრო აკადემიაში და ყველა სასწავლებლებში შემსწავლელის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., 8 ჯგუფში შესასვლელი საკონკურსო გამოცდებისათვის და ასწორებს სუსტებს და ჩამორჩენილ მოწაფეებს. თვითგანვითარების და საბუღალტრო კურსებზე შესასვლელად ასწავლის არითმეტიკას (მთელი რიცხვები, წილადები, პროცენტები, პროპორციული განაწილება). პლეხანოვის ქუჩის და ჩერქეზიშვილის ყოფ. ალექსის ქუჩა № 5 ქუჩის კუთხე 25 | 5 იახვა 12—2 ს. საღ. 4—7 საათ.

6—1 4996

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნელოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. დღ. 5—7 საათ. საღ.—მისამართი: კრიბოედოვის ქუჩა № 34 როსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 ნ. 6 25—1

ე ქ ი მ ი

ი. ი. ქეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ

კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)

იღება { დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ.

1598 25—1

ე ქ ი მ ი

ა. ს. ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ. № 3

25—15

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და ზვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე მესასვლელი შესახვევიდან.

4821 25—1

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" ყოფ „ნოეს", პირდაპირ ხოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 2. 25—2

ექიმი—ვენერ. ლოგი

ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 5—7 საათამდე ძოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ე ქ ი მ ი

ი. ვ. ხანდამოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.

ავადმყოფთა მიღება დღის 2-დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ძნელაძის ქ. № 35, (ყოფ. მესხიშვილის ქ.), ყოფ. კადეტთა კორპუსის მახლობლად

ე ქ ი მ ი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროსპ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 3 25

ლ ო გ ო პ ე დ ი

ა. ა. კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტის.

ა ს წ ო რ ე ბ ს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ. № 13.2

13—1 ნ. 1804

ექიმი

ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.

ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.

4903 25—1

ა. წ. 22 ნოემბერს

დავკარგე

1901 წ. ქუთაისის ნოტარიუსის მიერ დამტკიცებული საბუთი მიხეილ გრიგოლის ძე მეროპიანცის მიერ ნატალია მესხიშვილზე საჯახო ნივთების გადაცემის შესახებ. მპოვნელს ვთხოვ აცნობოს ქუთაისში ზუბალოვის ქუჩის მე-3 შესახვევი № 1. ნატალია ჯანელიძეს რაშიაც მიიღებს გასამრჯელოს. 2—1

დავკარგე: პირადობის მოწმობა და პროფკავშირის წიგნაკი ციხელ იკოლოზისძე ცაგარელის სახელზე, ჩ. გ. 5006

დავკარგე: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 23740 ტარიელ საჯაიას სახელზე, ჩ. გ. 5004

დავკარგე: სამხედრო სა ღრიცხვო ბარათი ილია სოლომონის ძე დარჩიას სახელზე, ჩ. გ. 5007

დავკარგე: კავშირის წიგნაკი № 1303 ოლღა რატიანის სახელზე, ჩ. გ. 5010

დავკარგე კომპარტიის საკანდიდატო ბარათი № 4371 ამხ ალექსანდრე ისიდორესძე ხვადაგიანის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1888

დავკარგე: აღმშენებელთა კავშირის წიგნაკი № 14 | 24614 გრიგოლ არსენისძე კიკვაძის სახელზე, ჩ. გ. 5019

დავკარგე: ალექსანდრე გიორგის ძე გონჯილაძე სამასი მანეთის ღირებულების თამასუქი არტამ მალოლეტოვის მიერ ხელმოწერილი. 5014

დავკარგე: პარტიული ბილეთი № 1857513 ისააკ აბრამისძე კაზაროვის სახელზე ჩ. გ. 5013

დავკარგე: პირადობის მოწმობა ოქროპირე ივანეს ძე ლობჟანიძის სახელზე, ჩ. გ. 5015

დავკარგე: დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 475 ბესარიონ ნესტორის ძე დუნდუას სახელზე, ჩ. გ. 5011

დავკარგე: საბჭოთა მუშაკების კავ. წიგ. № 18859, დამზღვევის წიგნაკი № 1224, კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 3467 მიხეილ ნიკოლოზისძე კეპულაძის სახელზე ჩ. გ. ნ. 1894

დავკარგე: სამხედრო წიგნაკი № 147 სილოვან ვლადიმერის ძე მაჭავარიანის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1894

დავკარგე: სამხედრო წიგნაკი ლუკა მიხეილის ძე ენუქიძის სახელზე ჩ. გ. ნ. 1894

დავკარგე: რედიკული რომელშიაც იყო საპენსიო წიგნაკი, მუშკოოპის წიგნაკი № 27703, ინვალიდთა ბადე „რეკორდის" საწევრო წიგნაკი სხვა საბუთები და ფული ოცი მანეთი. საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად. მპოვნელს ვთხოვ დაიტოვოს ფული და ზემო აღნიშნული მოწმობები გამომიგზავნოს ფოსტით სამგორის ქუჩა № 14 ეკატერინე ჩიტაშვილის სახელზე № 5005